პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გერმანიის ნაციონალისტები არჩევნებში გამოდიან მონარქიის აღდგენის ლოზუნგით.
— ბაზელის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია კომუნისტი.
— საბერძნეთში მოელიან სახელმწიფო გადატრიალებას.
— ჩეხო-სლოვაკიაში ჯარში ახლად გაწვეულები კომუნისტური ლოზუნგებით გამოდიან.
— სპარსეთ-თურქეთის კონფლიქტის მოგვარება.
— გაფიცვების ტალღა ინდოეთში.
— 22 აპრილისათვის ლონდონში მოწვეულია საბჭ. კავშირის მეგობართა საზ-ბის კონფერენცია.
— ბერლინში გარდაიცვალა პ. ბ. აქსელროდი.
— დიდი მიწისძვრა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე.

ხუთშაბათი, 19 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 90 (2133)

ექვს მილიარდიანი ბიუჯეტი

საკავშირო ცაკის მიმდინარე სესიამ უკვე დაამტკიცა საბჭოთა კავშირის 1927—28 წ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის ჯამი უდრის 6 მილიარდ 87 მილიონ 670 ათას მანეთს. ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი კავშირის ბიუჯეტი გაიზარდა ორჯერ. კერძოდ 1926—27 წ. კავშირის ბიუჯეტი შეადგენდა 5.051 მილ. მან. მატება მეტად თვალსაჩინოა. ეს მით უფრო გეცემათ თვალში, როცა გაითვალისწინებთ, თუ როგორ იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნების ბიუჯეტი; მაგ., საფრანგეთში ეს ზრდა მიმდინარე წელს განვლილ წელთან შედარებით უდრის მხოლოდ 3,7 პროცენტს, გერმანიაში — 9.1 პროც., ამერიკაში 3,6 პროც. თვით ბურჟუაზიული პრესაც იძულებულია აღიაროს ამ მხრივ ჩვენი უდიდესი წარმატება.

ჩვენი ბიუჯეტის ასეთი ზრდა მაჩვენებელია ერთი მხრით სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების, მეორე მხრივ, ის მოწმობს, რომ ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი სულ უფრო ექცევა ბიუჯეტის ფარგლებში და ბიუჯეტი ხდება კავშირის სამეურნეო ცხოვრების, მისი სასურველი კალაპოტით წარმართვის უძლიერეს ფაქტორად.

ბიუჯეტის ზრდა ჩვენში, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს მშრომელ მოსახლეობაზე ზედმეტი საგადასახადო ტვირთის აკიდებას. ამითაც ჩვენ ძირითადად განვსხვავდებით კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან, რომელთა საგადასახადო პოლიტიკა ემყარება მშრომელ ფენებისაგან ყველაფერ შესაძლებელის მაქსიმალურად ამოქაჩვას. მუშურ - გლეხური მთავრობა კი, პირიქით, ყოველნაირად ცდილობს ღარიბ მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, და ეს ნათლად იხატება, სხვათა შორის, ჩვენს ბიუჯეტშიც. კერძოდ მთელი კავშირის სოფლის მეურნეობათა 35 პროცენტი სრულებით განთავისუფლებულია სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან. კიდევ მეტი: მცირე შეძლების საშუალო გლეხობისათვის წინანდელთან შედარებით უფრო დაკლებულია საგადასახადო ნორმა. სამაგიეროდ გადასახადი საგრძნობლადაა გადიდებული შეძლებულ და მდიდარ გლეხთა ჯგუფების მიმართ.

მაგრამ არა სას.-სამ. გადასახადია შემოსავლის უმთავრესი წყარო. ნავარაუდევია ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლიანობის გაზრდა 10 პროცენტ.; სახელმწიფო მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკების, ტყეების და სახ. მეურნეობის სხვა დარგების შემოსავალი მოგვცემენ საერთოდ 13 პროცენტით მატებას. ბიუჯეტში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს, გარდა ამისა, სახელმწიფო სესხები, რომელთა ზრდა წასულ წელთან შედარებით უკვე 70 პროც. შეადგენს. ყველაფერი ეს სავსებით რეალურს ხდის 6 მილიარდიან ბიუჯეტს. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაჭიმული არ იყოს. ბიუჯეტში ამოწურულია ყველა საშემოსავლო შესაძლებლობანი, რომელთა რეალიზაცია მოითხოვს დიდ მუშაობას და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცებას.

ბიუჯეტის ასეთი დაჭიმვა აუცილებელია. მაგრამ, რომ ჩვენ უამრავი თანხები გვჭირდება იმ გრანდიოზულ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ამ ამოცანებიდან ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, თავისთავად იგულისხმება, პირველ რიგშია მოქცეული. სახ. ბიუჯეტით სახალხო მეურნეობაზე გაღებული იქნება 1.370 მილ. მან.;—350 მილიონით უფრო მეტი განვლილ წელთან შედარებით. აქედან მრეწველობას მიეცემა 586 მილ. მან. (34 პროც. მეტი შარშანდელთან შედარებით); ამ თანხიდან 70 პროცენტი წავა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაზე და ამგვარად უზრუნველყოფილი იქნება სოციალისტური მშენებლობის წარმატების მთავარი საფუძველი. სასოფლო - მეურნეობაზე ბიუჯეტით დაიხარჯება 170 მილიონი მანეთი. სხვა თანხები მოხმარდება საბინაო მშენებლობას, ელექტროფიკაციას, საგარეო ვაჭრობას და სხვა დარგებს. მაგრამ სინამდვილეში სახალხო მეურნეობის განსავითარებლად გაცილებით უფრო მეტი საშუალებები დაიხარჯება, ვინემ ამას ხსენებული ციფრები გვიჩვენებენ. ეს საშუალებები გაღებული იქნება საკრედიტო სისტემის ხაზით და შინასამრეწველო დაგროვების გზით.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა წარმოუდგენელია კულტურული რევოლიუციის გარეშე. მასების კულტურული დონის ამაღლება — ეს ჩვენი ერთი ძირითადი ლოზუნგთაგანია. ბიუჯეტით კულტურულ საჭიროებისათვის გაღებული იქნება 581 მილ. მან., მაშინ, როცა შარშან დაიხარჯა 490 მილ. მან.,—მატება უდრის 19 პროც. ჩვენ აქ მხედველობაში არ ვღებულობთ ადგილობრივი ბიუჯეტის და პროფკავშირული ხაზით გათვალისწინებულ დიდძალ თანხებს, რომლებიც მოხმარდება კულტურულ რევოლიუციის საქმეს.

მთელი ეს მშენებლობა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მშვიდობიანი პირობები იქნება უზრუნველყოფილი. ამავე დროს იმპერიალისტური სახელმწიფოები სისტემატიურ კამპანიას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ნიადაგს ამზადებენ მაზე თავდასასხმელად. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ თავდაცვისათვის. ჩვენ შეიარაღებულ ძალას სრულებით არ ვადიდებთ, მაგრამ მისი ნივთიერი და ტეხნიკური მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ. აქედან ბიუჯეტით სამხედრო ხარჯები გადიდებულია 108 მილ. მან. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა, სამხედრო ხარჯების ხვედრითი წონა ჩვენს ბიუჯეტში არ მატულობს, არამედ კლებულობს კიდეც. 1923—24 წ. ეს ხარჯები შეადგენდენ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის 16 პროც., 1924—25 და 1925—26 წ.—14 პროც., 1926—27 წ.—12,5 პროც., ხოლო ახალ ბიუჯეტში უდრის 12,3 პრ. ამავე დროს რას ვხედავთ ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებში? სამხედრო ხარჯები საფრანგეთში უდრის 47 პროც., პოლონეთში—41 პრ., რუმინეთში—40 პრ., იტალიაში—51 პრ., ინგლისში—62 პრ. და სხ. და სხ. ეს იმპერიალისტური ქვეყნები რომელნიც ამდენს ხარჯავენ სამხედრო საქმეზე, უტიფრად ავრცელებენ ჭორებს საბჭოთა კავშირის „იმპერიალიზმის და საომარ მზადებათა“ შესახებ. მაგრამ მშრომელი მასები კარგად ერკვევიან სინამდვილეში და იმპერიალისტების პროვოკაციული ლეგენდები ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

კაპიტალისტები ვერ ურიგდებიან სოციალისტურ მშენებლობის წარმატებას საბჭოთა კავშირში, რაც ჩვენი ბიუჯეტის ზრდაშიც იხატება, ეს მათ მოსვენებას არ აძლევს. ჩვენ კი, სხვა მიღწევებთან ერთად, ეს ექვსი მილიარდიანი ბიუჯეტი ახალ სტიმულს გვაძლევს შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერებისათვის ყოველგვარ სიძნელეთა გადასალახავად საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე.

პროვოკაციული ლეგენდა

„იზვესტია“-ს შაბათის ნომერში დაიბეჭდა პატარა შენიშვნა, რომელმაც ჩვენი საზოგადოებრივობის ყურადღება მიიქცია იმაზე, რომ გაზეთმა „პაქსმა“ ჩვენ შესახებ შეთხზა ახალი უხეში ჭორი; ამ გაზეთს რედაქტორობს, როგორც ვიცით, ბატონი სეიდუ, რომელსაც ახლახან საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეჭირა. ხსენებულ შენიშვნაში შეცდომით არის ნათქვამი, რომ გაზეთი პარიზში იბეჭდება. ნამდვილად თურმე იგი გამოდის ჟენევაში ერთა ლიგის ლოცვა-კურთხევით (თუმცა არა მისი უშუალო პატრონაჟის ქვეშ), ამიტომ გაზეთს ეწოდება „პაქს“, რაც ლათინურ ენაზე „მშვიდობიანობას“ ნიშნავს. თავის დროზე ხელგანთქმულმა რომაელმა ისტორიკოსმა ტაციტმა ცოცხალი ფერადებით დაგვიხატა რომის კეისართა განმანადგურებელი რეჟიმი და მათი მოღვაწეობა ლაკონიურ მკაფიო ეპიგრამით გამოსახა: „ისინი ქვეყანას უდაბნოდ აქცევენ და ამ უდაბნოს მშვიდობიანობას უწოდებენ“. სეიდუს გაზეთი უდაბნოებს არ ჰქმნის, არამედ ინტრიგებს მიმართავს და, ალბად ამიტომ უწოდებს თავის თავს „მშვიდობიანობას“. მის საქმიანობას ნამდვილად საერთო არაფერი აქვს მშვიდობიანობასთან, რადგან არ შეიძლება ეს სახელი უწოდოთ იმ ჭორს, რომელიც ვითომდა დაფუძნებულია „უაღრესად სარწმუნო“ ცნობებზე და რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი თითქო ომს ამზადებს და ისიც ლატვიის წინააღმდეგ, შემდეგ რუმინეთის წინააღმდეგ, შემდეგ პოლონეთის წინააღმდეგ; ერთი სიტყვით, თავდასასხმელად ემზადება ყველა თავის მეზობლებზე ცალცალკე და ერთად. რა ფართო დაპყრობითი გეგმებია, რა დიდი სამხედრო განავარდება, ჭეშმარიტი ჩინგისყაენისებური სიხარბე სხვათა მიწაწყლის მიმართ!

„პაქსი“ უმნიშვნელო გაზეთია, ვეჭვობთ, რომ იგი ძალიან გავრცელებული იყოს დასავლეთ ევროპაშიაც კი, ბურჟუაზიული საგაზეთო წრეებში. შესაძლებელია, რომ ჩვენი ლაპარაკით მას უქმნით სრულიად დაუმსახურებელ რეკლამას. რა უეჭოთ, რომ ევროპაში იბეჭდება გაზეთები, რომლებსაც ასაზრდოებს გამოურკვეველი წყაროები, უვარგისი სენსაციები და ლუკმა-პურს შოულობენ წვრილმანი შანტაჟისა და ბურჟუაზიულ საჟურნალო წრეებში მიღებული სხვა საშუალებების შემწეობით. მთელ ქვეყნიერებაზე არავინ, მით უმეტეს საბჭოთა პრესა, მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევს; „პაქს“-საც მიუხედავათ მისი წარჩინებული რედაქტორებისა, ჩვენი პრესა არც ერთ სიტყვას არ აღირსებდა, ადგილი რომ არ ჰქონებოდა იმ გარემოებას, რომ, რაღაც უცნაური შემთხვევის გამო, მისი ჭორი არ მოჰყოლოდა ბალტიკის ქვეყნების სხვადასხვა გაზეთების ფურცლებზე და ადგილობრივი საზოგადოებრივობის ხშირი მითქმ-მოთქმა არ გამოეწვია. მართალია, უმეტეს შემთხვევაში ეს მითქმა-მოთქმა ძალიან სასახელო არ არის „პაქს“-ისათვის. მის ცნობას საკმაოდ გულგრილად განმარტავენ, როგორც უხეშ პროვოკაციულ ჭორს, რომლის საშუალებით ძუძუმწოვარა ბავშვების მოტყუებაც კი ძნელია. მაგრამ იგი მაინც მოხვდა პრესის ფურცლებზე, მაშასადამე, არსებობს რაღაც ხვრელები, რომლებიც საიდუმლო გზით აერთიანებენ უბადრუკ გაზეთს ბალტიკის პრესასთან; სწორედ ეს საეჭვო გარემოება გვაიძულებს ყურადღება მივაქციოთ მის ჭორს. მართლა იგი მოცლილმა ჟურნალისტებმა სენსაციების მოსაყვარულე პირებმა გამოიგონეს თუ არა? შემთხვევითია ეს ჭორი, თუ მასში, როგორც ჰამლეტის სიგიჟეში, არსებობს რაღაც სისტემა?

ჩვენი სიფრთხილე გვაიძულებს, რომ თვალ გაფაციცებით ვადევნოთ ყური გარედან და შიგნიდან გარშემორტყმული ბურჟუაზიული მსოფლიოს ხრიკებს; ამ სიფხიზლემ უკვე დიდი ხანია მოგვიპოვა მეტის-მეტად ეჭვიანი და მოხერხებული ადამიანების რეპუტაცია. რეპუტაცია ისეთი ადამიანებისა, რომელიც ეჭვიანობას სხვების მიმართ ვითომც ნიღბად ვიყენებდეთ და ვცდილობდეთ, რომ მსოფლიოს ყურადღება დავაშოროთ მას. გერმანული პრესაც კი, რომელსაც თითქოს უნდა ახსოვდეს ის ახლო წარსული, როცა გერმანიის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოები შეუჩერებლად გაჰკიოდენ მისი სიფხიზლის მიხედვით, არწმუნებდნენ და ეფიცებოდნენ, რომ მის წინააღმდეგ არავითარ გარემოცვას არ აწყობენ,—აი, სწორედ ეს პრესაც კი ხშირად გვისაყვედურებს ვითომ საყოველთაოდ გაუმართლებელ ეჭვიანობას და ხმამაღლა გამოსთქვამს ვარაუდს, რომ მაგალითად, ჩვენი ბედნიერების უდიდეს საწინდარად არ მიგვაჩნია ჩვენს ბაზარზე საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობის გეგმები. თუმცა შეიძლება ისეც გვისაყვედურონ ეჭვიანობა, მაგრამ სეიდუს გაზეთის გამო მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამ გაზეთუნამ უმიზნოდ არ წამოაყრანტალა თავისი ჭორი იმ კამპანიასთან შეხმატკბილებით, რომელიც ამჟამად ჩვენს წინააღმდეგ წარმოებს ბურჟუაზიულ სამინისტროების კაბინეტებიდან, დიპლომატიური კანცელარიებიდან, სამხედრო წარმომადგენლობებიდან და ბანკებიდან. ამ კამპანიის მთავარი მიზანია ლეგენდის შექმნა ჩვენი უდიდესი შეიარაღებისა და იმის შესახებ, რომ ჩვენ ეს შეიარაღება გვინდა არათავდაცვისათვის, არამედ შეტევითი ომისათვის ამა თუ იმ მეზობლის წინააღმდეგ—ალბად უფრო პოლონეთისა და მისი მოკავშირის—საფრანგეთის წინააღმდეგაც კი, ისიც უახლოეს ხანში. „პაქს“-მა, რომ ჩვენი მოჩვენებითი შეიარაღების მახვილი მიმართა სწორედ ლატვიის წინააღმდეგ,—იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც სავაჭრო ხელშეკრულება გვაქვს და საერთოდ საუკეთესო განწყობილებაში ვიმყოფებით,—სრულებითაც არ აქარწყლებს ხსენებული კამპანიის მიზნის სერიოზულობას: ეს კამპანია მეტად აქტიურად წარმოებს, მეტად საქმიანად, ტემპერამენტითაც კი და ფრიად მრავალმხრივი და ხშირად მოულოდნელი ხვრელები გვიდასტურებენ მისი ავტორების დიდ მოხერხებას და სითამამეს.

გიჟის მოგონილი ხომ არ არის ეს ამბავი? იმ დროს, როდესაც ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე მტკიცედ მოვითხოვთ ყოველგვარი შეიარაღების მოსპობას, იმ დროს, როდესაც ჩვენ უფრო და უფრო გადაჭრით და გეგმაზომიერად განვახორციელებთ ჩვენი არმიის გადაყვანას სატერიტორიო-სამილიციო სისტემაზე, რაც შეუძლებლად ხდის ყოველგვარ აგრესიას, იმ დროს, როდესაც თავით ფეხამდე ჩაფლული ვართ ჩვენი შინაური მშენებლობის პრობლემებში და ჩვენ თავს არც მოსვენებასა და არც დროს ვაძლევთ,—აი სწორედ ამ დროს ლეგენდები იქმნება იმის შესახებ, რომ ჩვენ თითქო მოგვწყინდა მშვიდობიანობა, გვწყურია ომი ვემზადებით თავდასასხმელად ჩვენს მეზობლებზე და შორეულ სახელმწიფოებზედაც კი, და რომ ჩვენ ამ ნატარ აქტისათვის ციებ-ცხელებით ვაწარმოებთ შეიარაღებას. გაგონილა როდისმე ასეთი სიგიჟე? მაგრამ თურმე, ზოგიერთი ჩვენამდე მოსული ცნობების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ,—სიგიჟეს სწორედ ჩვენ ჩავდივართ, სიგიჟეს ჩვენი სასოწარკვეთილებისას, რომლის გამო ჩვენ სამხედრო ავანტიურისაკენ მივექანებით და ამით გვსურს თავი დავაღწიოთ შინაურ უბედურებას. დიახ, ეს სწორედ ის ახსნაა, რომლითაც სრულიად სერიოზულად განმარტავენ ავტორები თავისსავე შეთხზულ სისულელეს: ვითომდა ჩვენი შინაური მდგომარეობა ისე საშინელია, რომ ჩვენ, იმ ანდაზისა არ იყოს, რომელიც ამბობს: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“, მზადა ვიყოთ გადავეშვათ ომის ქარ-ცეცხლში საკუთარი თავის გადასარჩენად. ძალიან საკვირველია, რომ ჩვენი კეთილისმსურველნი საშუალებას გვართმევენ, რათა ჩვენს „შინაურ მდგომარეობაში“ ამოვუხუთოთ სული, ჩვენი თავის ხსნის გზები შეგვიკრან მით, რომ დასდონ ჩვენთან თავდაუსხმელობის პაქტები და მიიღონ ჩვენი წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ. რა ადვილად, იაფად და მარჯვედ მოიშორებდნენ ისინი მათგან შეძულებულ საბჭოთა რეჟიმს!

შედარებით სასიამოვნო საფიქრებელი იქნებოდა, რომ ამ ერთი შეხედვით, იდიოტური ჭორის მიზანი იყოს იმ შთაბეჭდილების შენელება, რომელიც ჟენევაში ჩვენმა მუშაობამ მოახდინა მთელი ქვეყნის მუშათა მასების და ინტელიგენციის უფართოეს წრეებზე. ბოლოს და ბოლოს შებრალებაც კი შეიძლებოდა ერთა ლიგის გარშემო თავმოყრილ „გმირებისა“, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მათ სხვა საშუალება არა აქვთ თავისი თავის რეაბილიტაციისათვის გარდა იმ საშინელი ზღაპრის გავრცელებისა, რომ ჩვენ, რომელნიც ასე მშვიდობიანად ვლაპარაკობთ ჟენევაში, ნამდვილად ვემზადებით იმისათვის, რომ გადავყლაპოთ ბალტიის მხარის ქვეყნები, პოლონეთი, გავიაროთ გერმანიაზედაც კი, რათა თავს დავესხათ საფრანგეთს. არც ისე ცუდი იქნებოდა, თუმცა კი ძალიან საწყენი, რომ ეს ზღაპარი დანიშნული იყოს იმ ამომრჩეველებისათვის, რომელთა რიგიანად დაშინება ურიგო არ იქნებოდა, რათა მათ დაევიწყათ თავის მმართველთა ცოდვები და ყუთებში ჩაეშვათ თავისი საარჩევნო ბიულეტენები „წესიერებისა და კეთილი ზნის“ პარტიის წარმომადგენლებისათვის. მაგრამ არის საფრთხე, რომ აქ სხვა აზრია ჩამარხული, რომ მგელი კრავს ბრალდებს და თვითონვე ღრიალებს საშველად.

ისტორიაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევები, რომ ასეთ ბრალდებათა ხმაურობაში მზადდებოდა საკუთარი აგრესია, როდესაც სწორედ ამ ხმაურობით წინასწარ მზადდებოდა თავდასხმის გამართლება. ხომ არა გვაქვს ჩვენ ამჟამად ასეთი შემთხვევა? მაგალითად ურთიერთობა პოლონეთისა და ლიტვას შორის სრულებითაც არ გამოსულა კონფლიქტის სტადიიდან. მიუხედავათ კენიგსბერგში ამას წინად ჩატარებულ მოლაპარაკებისა. უცხოეთის პრესაში პირდაპირ ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ პოლონეთს განზრახვა არა აქვს დაუსრულებლად იცადოს რომ თუ ერთა ლიგის სეისის სესიაზე ლიტვის მთავრობამ არ წარადგინა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები მისთვის კენიგსბერგში დასმულ კითხვაზე, პოლონეთი, დაეყრდნობა რა ლიგის სტატუტის მე-5 პარაგრაფს, მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას და თავისებურად გადასწყვეტს ამ საკითხებს. ეშინიათ თუ არა პოლონეთის მეგობრებს ჩვენი ჩარევის და ხომ არ ცდილობენ ისინი ჩვენ დაგვასწრონ და ამით უზრუნველჰყონ პოლონეთის არწივის თავისუფალი აფრენა ლეგენდის გავრცელებით ჩვენი აგრესიულობის შესახებ? თუ პირიქით, ამ ლეგენდის საშუალებით მათ იმედი აქვთ უკვე წინასწარ უზრუნველჰყონ პოლონეთისათვის თავისუფლება ჩვენს წინააღმდეგაც იმ საბაბით, თითქოს ჩვენ საფრთხეს ვუმზადებთ მის ფლანგს? ჩვენ სრულებითაც არ გვინდა დაუშვათ, რომ პოლონეთ-ლიტვის პრობლემა აუცილებლად კატასტროფით დამთავრდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ორივე მხარეს აღმოაჩნდება საკმაო კეთილგონიერება, რომ მშვიდობიანად და მეგობრულად მოაგვარონ კონფლიქტი. მაგრამ, როგორც ჩანს, ის მხარე, რომელიც ამჟამად არევ-დარევას სთესს, უფრო პესიმისტურად არის განწყობილი და დასაშვებია, რომ სწორედ ჩვენს საზღვრებზე მშვიდობიანობის დარღვევის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ის ცდილობს, სანამდე დროა, ჩვენ გამოგვიყვანოს აგრესიულ მხარედ და ამით გაამართლოს სამხედრო მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ მივაქცევთ მთელი ჩვენი და უცხოეთის საზოგადოებრივობის ყურადღებას იმ უსინდისო ინტრიგაზე, რომელიც იქსოვება ჩვენს გარშემო და გვინდა გვწამდეს, რომ ამ ინტრიგის გამოტანით ბნელი კაბინეტებიდან დღის სინათლეზე, ჩვენ ნაწილობრივ მაინც გავხდით მას უვნებლად. ჩვენ ისე, როგორც დღემდე, გულდამშვიდებით და მტკიცედ ვიდგომებით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის პოზიციებზე. თუ სხვებს სურთ ომი, დეე—ფრანგულად რომ ვთქვათ—„ბატონმა მკვლელებმა პირველად დაიწყონ“.

„იზვესტია“, 18 აპრილი.

ჩან-ძო-ლინის ჯარების დიდი დამარცხება

ფინ-იუი-სიანმა აიღო მთელი რიგი ქალაქები და ტყვეთ წაიყვანა 10.000 ჯარის კაცი

გენრი ფორდი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებებს

ფაშიზმის გაძლიერება იაპონიაში.-ოპოზიციონურ პარტიების დეპუტატების მოკვლა

ჩან-ძო-ლინის დამარცხება

ჩრდილოელების დამარცხება

შანხაი, 17 აპრილი. ნანკინის მთავრობის ჯარების სარდლობა ამტკიცებს, რომ სუნ-ჩუან-ფანის და ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარები განადგურებულია და შანდუნის პროვინციის მთავარ ქალაქ ცზინანს მოელის უშუალო საფრთხე.

გაზეთ „შუნ-ბაო“-ს ცნობით ფინ-იუი-სიანის ჯარებმა 16 აპრილს დაიკავეს ჩუე და ხელში ჩაიგდეს 40 დიდი ზარბაზანი და 10.000 ტყვე. ჩრდილოელების ჯარებმა დასტოვეს ქალაქი ინჩჟოუ (შანდუნის პროვინციის ყოფილი მთავარი ქალაქი).

იაპონიის დეპეშათა სააგენტოების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ სამხრეთელების ჯარებმა აიღეს ქალაქი ტენჩენი, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავენ, რომ შანდუნის ჯარებმა ისევ დაიკავეს ქალაქი ლინჩენი. შანდუნის ჯარები ძლიერ დაზარალდნენ ბრძოლებში ხანჩუანის მახლობლად, რომელიც დაიკავეს ნანკინის მთავრობის ჯარებმა. ხენან-ჩჟილის ფრონტზე ფინ-იუი-სიანის ჯარებმა ისევ დაიკავეს ჩუანდე და უკან დაახევინეს მუკდენის ჯარებს.

სამხრეთელების შეტევა

შანხაი, 17 აპრილი. ოფიციალური სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობის და ფინ-იუი-სიანის ჯარებმა წინ წაიწიეს ყველა ფრონტებზე. სამხრეთელებმა დაიკავეს ენჩჟოუ - შანდუნის პროვინციაში. მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტ ცზინინს 20 კილომეტრის მანძილზე იენჩჟოუს სამხრეთით ალყა აქვს შემორტყმული. სამხრეთელების ცხენოსანი ჯარი გადავიდა ყვითელ მდინარეზე შანდუნის დასავლეთ ნაწილში და ზურგში მოექცა ჩრდილოელებს. იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დამარცხებებთან დაკავშირებით სიკვდილით დასჯილია 3 შანდუნელი გენერალი. (ადს).

იაპონიის მუშტი

ტოკიო, 17 აპრილი. რადგან ჩინეთში სამხედრო მოქმედება გაფართოვდა, მთავრობამ დაადგინა: ცზინანში გაიგზავნოს ჯარი იაპონელების დასაცავად; მთავრობამ ნება დართო სამხედრო სამინისტროს, რომ თუ განსაკუთრებული საფრთხე შეიქმნება, გაგზავნოს ჯარი შანდუნის პროვინციაშიც. (ადს).

მღელვარება ნანკინში

ტოკიო, 17 აპრილი. შანხაიდან მიღებული ცნობით, ნანკინის მთავრობის წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებამ. ცზინანფუში იაპონელების დასაცავად ჯარების გაგზავნის შესახებ. (ადს).

საბჭოთა ოქროს გარშემო

ხმები.

ლონდონი, 17 აპრილი. გაზეთების უმრავლესობა აქვეყნებს ხმებს, რომ საბჭოთა ოქრო გემ „დრეზდენიდან“ გადატვირთეს გემ „რეიტერზე“. მაგრამ ზოგიერთი გაზეთები იმავე დროს აქვეყნებენ გემ „დრეზდენის“ კაპიტანის განცხადებას, რომელიც ამ ხმების გაბათილებას წარმოადგენს.

ჰავასის ცნობა.

პარიზი, 17 აპრილი. ჰავასის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, რომ ვითომც ღამით ფალმუტის მახლობლად, ბრიტანეთის ტერიტორიალური წყლების იქით, საბჭოთა ოქრო გადატვირთეს რომელიღაც საბჭოთა გემზე, რომელიც დაუყოვნებლივ წავიდა გამოურკვეველ მიმართულებით.

ჰავასის სააგენტო აცხადებს, რომ შერბურგის სამხედრო წრეებს არ სჯერათ ხმები ოქროს გადატვირთვის შესახებ, ვინაიდან გერმანელი ოფიცრები მტკიცედ იცავენ საზღვაო კოდექსს, ხოლო ტვირთის გადატვირთვას ღია ზღვაში შეიძლება ექნეს ადგილი მხოლოდ ავარიის შემთხვევაში.

„მატენ“-ს თვალსაზრისი.

პარიზი, 17 აპრილი. „მატენ“-ს მოჰყავს რა შერბურგიდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ შერბურგის ხელისუფლებას არ მისცეს ინსტრუქციები საბჭოთა ოქროთი დატვირთულ გემ „დრეზდენი“-ს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სწერს:

„სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან ოქრო გააქვთ გერმანიის დროშით. „დრეზდენი“-ს კაპიტანმა განაცხადა, რომ ის ოქროს გადაზიდავს ისევე, როგორც ყოველ სხვა საქონელს“ (ადს).

ფორდი საბჭოთა კავშირის შესახებ

ლონდონი, 17 აპრილი. ინგლისში ჩავიდა გენრი ფორდი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებთან საუბარში საბჭოთა კავშირის შესახებ შემდეგი სთქვა:

„რუსეთი განსაკუთრებულ ბაზარს წარმოადგენს. ჩვენს ფირმას დიდი სავაჭრო ოპერაციები ჰქონდა რუსეთთან და საქონლის ფასს ყოველთვის თავის დროზე ისტუმრებენ“.

შემდეგ ფორდმა აღნიშნა, რომ ინგლისი წარმოადგენს „ბუნებრივ სამრეწველო ცენტრს ისეთი ქვეყნისათვის, როგორც რუსეთი“.

ფორდის ინტერვიუს, განსაკუთრებით მის იმ ნაწილს, რომელიც რუსეთს ეხებოდა, დადებითად გამოეხმაურენ მთელი რიგი გაზეთები. (ადს).

ომის „აკრძალვის“ საკითხი

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 17 აპრილი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ: კელოგის წინადადება „ომის აკრძალავი“ ხელშეკრულების დადების შესახებ იმას მოასწავებს, რომ ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები აშკარად ხელს იღებს საფრანგეთ - ამერიკის კავშირის იმ პოლიტიკაზე, რომელსაც საჭიროდ სცნობდა საფრანგეთი თავისი - თავის უშიშროების უზრუნველყოფის მოტივზეზებით. ფიქრობენ, რომ საფრანგეთი ცდილობს შეინარჩუნოს კონტინენტალურ ევროპაში თავისი „არაბუნებრივი ბატონობა“ სამხედრო და პოლიტიკურ კავშირთა შემწეობით, კელოგის წინადადება კი აგებულია საერთო ინტერესებისათვის დადებულ ხელშეკრულებათა იდეაზე. (ადს).

ევროპა არჩევნების წინ

მონარქიის აღდგენის ლოზუნგით

ბერლინი, 17 აპრილი. ნაციონალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია; კომიტეტმა მოაწყო დიდი კრება მთელ რიგ რეაქციონურ კავშირებთან ერთად. კრება ჩატარდა ლოზუნგით: „გერმანიის მომავალი განსაცდელშია“!

ნაციონალისტური პარტიის ბელადმა ვესტარპმა კრებაზე განაცხადა, რომ ნაციონალისტები გერმანიის ეხლანდელი სახელმწიფო წყობილების, კერძოდ გერმანიის რესპუბლიკის სასტიკი წინააღმდეგი არიან და რომ ისინი კვლავ იცავენ თავის მონარქისტულ შეხედულებებს.

საგარეო პოლიტიკის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა [illegible] ფრეიტაგმა, რომელმაც განაცხადა, რომ შტრეზემანის პოლიტიკის ძირითადი შეცდომაა ის თვალსაზრისი, რომ „ანტანტა ურყევია“ და აუცილებელია გერმანიის შეყვანა ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში.

„ჩვენ, — სთქვა ორატორმა, — გერმანიის გამოსავალს ვხედავთ სახელმწიფოების გადაჯგუფებაში და დაახლოებაში საფრანგეთის ბუნებრივ მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც ჩვენი მოკავშირენი არიან“. (ადს).

პოლონელი მენშევიკები

ბურჟუაზიისადმი ერთგულებას ამტკიცებენ

ვარშავა, 17 აპრილი. შესდგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის უმაღლესი საბჭოს პლენუმი, პლენუმმა პარტიის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი დიამანდი დაშინსკის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე. პლენუმის მიერ მიღებულ პოლიტიკურ რეზოლიუციაში სპეციალური მუხლი ეხება კომუნისტებს. უმაღლესი საბჭო მოუწოდებს პარტიის წევრებს გადაჭრით ებრძოლონ კომუნისტებს. საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანიზაციებს მოაწყონ საპირველმაისო დემონსტრაციები კომუნისტებისა და „მოკომუნისტო ჯგუფებისაგან“ განცალკევებით. (ადს).

მუშების ბრძოლა

ინდოეთში

გაფიცვების ტალღა

ლონდონი, 17 აპრილი. ბომბეიში გაიფიცა 20.000 ფეიქარი. გაჩერდა 12 ფაბრიკა. გაფიცვა გამოცხადებულია იმასთან დაკავშირებით, რომ მწარმოებლები ატარებენ რეორგანიზაციას.

საყოველთაო გაფიცვის წინ

ლონდონი, 17 აპრილი. რეიტერი იუწყება: „ბომბეიში მზადდება საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულებმა კიდევ მიიმხრეს 10 ფაბრიკა. ეხლა გაფიცულთა რიცხვი აღემატება 32.000 კაცს. (ადს).

ლონდონი, 17 აპრილი. გაზეთების [illegible], გაფიცვა აღმოსავლეთ-ინდოეთის რკინის გზის სახელოსნოებში გრძელდება. გაფიცულთა რიცხვი 30.000 აღწევს. (ადს).

ამერიკაში

ორგანიზაციულად შეუკავშირებელ მუშების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. კომიტეტის — „იხსენით კავშირი“-ს მოწოდებით, პენსილვანიაში გაიფიცა 10.000 ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მემაღაროე. გაფიცულები მოითხოვენ პროფკავშირის ცნობას, სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის გადიდებას. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. ბედფორდში ნიშნად პროტესტისა მწარმოებლების მიერ, ხელფასის შემცირების წინააღმდეგ გაიფიცა 30.000 ფეიქარი.

იმპერიალისტების არმიები იხრწნება

ახალწვეულთა კომუნისტური დემონსტრაცია ჩეხო - სლოვაკიაში

პრაღა, 17 აპრილი. მთელი რიგი პუნქტებიდან იუწყებიან, რომ ახალწვეულები გამოცხადდნენ წითელი დროშებით. საფეიქრო მრეწველობის ცენტრ ქალაქ აშში ახალწვეულებმა ქუჩებზე გაიარეს ინტერნაციონალის სიმღერით. ანალოგიური დემონსტრაციები შესდგა მთელ რიგ პროვინციებში.

არმიის დაცვა „საშიშარი იდეებისაგან“

ტოკიო, 17 აპრილი. გაზეთების ცნობით, ტოკიოსა და პროვინციაში დააპატიმრეს ჯარისკაცები, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტებთან კავშირი. სამხედრო მინისტრმა გენ. ხატის თავმჯდომარეობით დანიშნა კომისია იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებიც საჭიროა „არმიის დასაცავად საშიში იდეებისაგან“. უნივერსიტეტების რექტორები კვლავ ეწინააღმდეგებიან მთავრობის სურვილს, რომ დათხოვნილ იქნან „რადიკალური“ პროფესორები და სტუდენტები და დაშლილ იქნას სტუდენტების საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემსწავლელი წრეები. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობასა და უნივერსიტეტებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის გამო ზოგიერთი უნივერსიტეტების რექტორები იძულებულნი იქნებიან გადადგნენ. შაბათს კიოტოში როდო ნომინტოს (მთავრობის მიერ დაშლილი მუშათა და გლეხთა მემარცხენე პარტია) მოაწყო მიტინგი, რომელიც პოლიციამ დახურა. კიოტოში როდო ნომინტოს ბინა ფაშისტებმა დაანგრიეს. (ადს).

პ. ბ. აქსელროდის გარდაცვალება

ბერლინი, 17 აპრილი. ბერლინში გარდაიცვალა პავლე ბორისის ძე აქსელროდი.

⁂

მენშევიკების ცნობილი ბელადი პავლე ბორისის ძე აქსელროდი დაიბადა 1850 წელს ებრაელი ხელოსნის ოჯახში. კიევის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს იგი ეწევა პოლიტიკურ პროპაგანდას მუშათა წრეებში. 1875 წელს მის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ წრის დარბევის შემდეგ აქსელროდი გადასახლდა შვეიცარიაში (ჟენევა). აქ ის მიემხრო ბაკუნინისტების ჯგუფს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მათ გამოცემებში.

1880 წლიდან იგი თანდათან შორდება ანარქიზმს. უახლოვდება მარქსიზმს და პლეხანოვთან და სხვებთან აარსებს რუს სოციალ-დემოკრატების პირველ ჯგუფს „ოსვობოჟდენიე ტრუდა“-ს.

1883 წ. ის თანამშრომლობს ჟურ. „სოციალ დემოკრატში“ და იბრძვის იმ ხანებში წარმოშობილ მიმართულების ე. წ. „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ. ეკონომიზმის წინააღმდეგ დაწერილ ბროშურებში მას ემჩნევა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის როლის გაზვიადება რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

1903 წელს რ. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობაზე (ლონდონში) უარყოფს რა პარტიის წესდების ლენინურ რედაქციას, მხარს უჭერს წესდების ოპორტიუნისტულ - მენშევიკურ ვარიანტს. ძველი „ისკრიდან“ ლენინის გასვლის შემდეგ პლეხანოვის მიწვევით ახალ „ისკრა“-ში მუშაობს აქსელროდიც, რომელმაც ხელი მიჰყო ს. დ. პარტიაში მომხდარ განხეთქილების პრინციპიალურ დასაბუთებას.

1904 წელს, როცა დღის წესრიგში დადგა აქტიური რევოლიუციონური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ის უპირდაპირებს დემონსტრაციებს ცარიზმის წინააღმდეგ (მისი აზრით ეს იყო კლასიური ბრძოლის „დაბალი ტიპი“) დემონსტრაციებს საერობო საკრებულოების წინაშე. ეს წარმოედგინა მას დემონსტრაციების „მაღალ ტიპად“. ფაქტიურად ეს უდრიდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ როლის მიჩქმალვას განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

რ. ს. დ. მ. პ. მეოთხე ყრილობაზე აქსელროდი იცავს „აბსოლიუტისტურ რუსეთში პროლეტარიატის და ბურჟუაზიის პოლიტიკურ თანამშრომლობის“ იდეას. მისი აზრით, სოციალ-დემოკრატია უნდა შეუთანხმდეს ლიბერალებს. შეთანხმების პირობები უნდა ირჩეოდეს მუშათა კრებებზე. ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა, აქსელროდის აზრით, სოციალ-დემოკრატიის საქმე არ არის.



პ. ბ. აქსელროდი

1908 წლიდან იგი უკვე „ლიკვიდატორობის“ ერთი იდეური ბელადთაგანია, რომელიც ხელმძღვანელობს ლიკვიდატორულ გაზეთს „გოლოს სოციალ - დემოკრატა“-ს. ამ დროიდან აქსელროდი მოითხოვს ს. დ. პარტიის „ევროპიულ საფუძვლებზე გარდაქმნას“, ე. ი. მიწისქვეშა რევოლიუციონურ პარტიის ლეგალურ რეფორმისტულ პარტიათ გარდაქმნას.

იმპერიალისტური ომის დასაწყისში იგი ემხრობა ციმერვალდის მემარჯვენე ფრთას და ამართლებს ყველა ქვეყნების სოციალ-მოღალატეების პატრიოტულ ტაქტიკას (ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვა).

1917 წლის თებერვლის რევოლიუციაში აქსელროდს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იგი ხდება მისი შეურიგებელი მტერი, 1920 წელს აქსელროდმა სასტიკად გაილაშქრა მენშევიკების ცეკას წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან,—ცეკამ სცნო მაშინ ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიული აუცილებლობა.

უკანასკნელ წლებში აქსელროდი მოითხოვდა შეიარაღებულ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლო დრომდე აქსელროდი ითვლებოდა მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო ბიუროს წევრად.

ვ. ა.

უკანასკნელი ცნობები

კამპანია წითელ ფრონტელების წინააღმდეგ გერმანიაში

კეიდელის წინადადება

ბერლინი, 18 აპრილი. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კეიდელმა (ნაციონალისტია) რესპუბლიკის დაცვის კანონის მუხლების მიხედვით წინადადება მისცა გერმანიის ყველა სახელმწიფოების მთავრობებს, აკრძალონ ფრონტელების წითელი კავშირი. აკრძალვის საჭიროებას იმით ასაბუთებენ, რომ ვითომც, ფრონტელების წითელი კავშირი „საფრთხეს უმზადებს არჩევნების თავისუფლებას და ჰქმნის იმ შენობებზე თავდასხმის საფრთხეს, სადაც არჩევნები მოხდება“. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, პრუსიის მთავრობა განასაჩივრებს უზენაეს სასამართლოში კეიდელის განცხადებას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ ცნობით ფრონტელების წითელი კავშირის დაშლის გეგმა უკვე დიდი ხანია, რაც არსებობს. გაზეთის სიტყვით, კეიდელის გამოსვლა მოხდა რეიხსკანცლერის თანხმობით და ამის შესახებ ეცნობა ბერლინში მყოფ გერმანიის ყველა მინისტრებს. (ადს).

ჩხრეკას ამზადებენ

ბერლინი, 18 აპრილი. „ველტ ამ აბენდ“-ის ცნობით, წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვასთან დაკავშირებით, ბერლინში ამზადებენ მუშათა ორგანიზაციების ჩხრეკას. გაზეთის სიტყვით, კეიდელის გამოსვლის მიზეზი მდგომარეობს არა მარტო იმ ზეგავლენაში, რომელიც მასზე მოახდინეს მისმა პარტიულმა თანამოაზრეებმა, არამედ იმ საიდუმლო თათბირებშიც, რომელიც ინგლისელ მოღვაწეებთან სწარმოებდა.

„წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა,—სწერს გაზეთი,—დასაწყისია იმ კამპანიის, რომელიც, მსგავსად ლონდონის ცნობილ ამბებისა, ჩატარებულ უნდა იქნას ლომებისა და მჟავბადიან სადნობ აპარატების საშუალებით“.

მენშევიკების ფარისევლობა

ბერლინი, 18 აპრილი. პრუსიისა და ჰესენის მთავრობებმა ტელეგრაფით მიმართეს გერმანიის უზენაეს სასამართლოს წითელ-ფრონტელთა კავშირის დევნის შესახებ. კომპარტიის წრეებში აღნიშნავენ, რომ პრუსიის მენშევიკური მთავრობის ეს ნაბიჯი უბრალო ფარისევლობაა, რადგან მენშევიკები მოუთმენლად მოელიან წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლას.

იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა უზენაეს სასამართლოს დაუყოვნებლივ გამოიტანოს გადაწყვეტილება.

მემარჯვენე პრესის იარაღები

ბერლინი, 18 აპრილი. მემარჯვენე პრესამ ფრონტელების წითელი კავშირის წინააღმდეგ დაიწყო მკაცრი კამპანია, რომელმაც, როგორც ჩანს, უნდა დაასაბუთოს მისი აკრძალვა. არგუმენტებათ წამოყენებულია აგრეთვე საბუთები პოლიტიკის დარგიდან და აშკარად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგალითად, სამხედრო წრეებისა და ნაციონალისტების ორგანო „კროიცცეიტუნგი“ სწერს: „ფრონტელების წითელი კავშირი ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომლებიც შეადგენს ბოლშევიკების ძალას გერმანიაში. ეს მოსკოვის მომავალი წითელარმიელია იმ ქვეყანაში, რომლის გარევოლიუციონერებაზე სრულებითაც არ აუღიათ ხელი. როდესაც საგარეო პოლიტიკის დარგში საქმე კონფლიქტამდე მივა, ფრონტელების წითელი კავშირი სახელმწიფო ხელისუფლების ერთგვარ ნეიტრალიზაციას მოახდენს საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ. საკითხი დასმულია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების შესახებ და ამ ინტერესების დაცვა წინასწარ უფრო ადვილია, ვიდრე მწვავე კრიზისის მომენტში.

„როტე ფანე“-ს წერილი

ბერლინი, 18 აპრილი. ბურჟუაზიული პრესის მიერ წითელ-ფრონტელების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის გამო „როტე ფანე“ სწერს: „ბურჟუაზია ხედავს, თუ როგორ იზრდება სიმპატიები კლასობრივი ბრძოლის ერთად-ერთი პარტიის მიმართ და იგი არაფერს არ ერიდება, რომ ჩაშალოს წითელ-ფრონტელთა და კომპარტიის საარჩევნო კამპანია. ეჭვს გარეშეა, რომ კეიდელის მოთხოვნილებას წინ უძღოდა ცენტრალურ მთავრობის ხანგრძლივი მოლაპარაკება გერმანიის ცალკე სახელმწიფოების მთავრობებთან. მენშევიკებმა და პროფბიუროკრატებმა იცოდენ ამ განზრახვის შესახებ. წითელ-ფრონტელთა კავშირის აკრძალვით ბურჟუაზიულ ბლოკს სურს მახვილი ჩასცეს აგრეთვე კომპარტიას. საარჩევნო ბრძოლა, როგორც ჩანს, უნდა ჩატარდეს კომპარტიის წინააღმდეგ მიმართულ თეთრი ტერორის ნიშან ქვეშ. გერმანიის ნეო იმპერიალიზმი სწრაფად ვითარდება, გერმანიის ბურჟუაზიული ბლოკის კავშირი საბჭოთა კავშირის მტრებთან სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება. წითელ-ფრონტელთა კავშირის აკრძალვა უნდა შეიქნეს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ გერმანიის იმპერიალიზმი მზად არის გაილაშქროს საბ. კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის ნეო-იმპერიალიზმის ნათლიებათ გამოდიან გერმანელი მენშევიკები და პროფბიუროკრატები. წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლის და კომპარტიისათვის მახვილის ჩაცემის ცდა უნდა დაიმსხვრეს გერმანიის მუშათა კლასის ფოლადისებურ ნებისყოფაზე“.

კომუნისტებს არ უშვებენ

ლონდონი, 17 აპრილი. მუშათა პარტიის ვულვიჩის ორგანიზაციის საბჭომ აცნობა მასში შემავალ პროფორგანიზაციებს, რომ მომავალში საბჭოს კრებებზე დაშვებული არ იქნებიან დელეგატები—კომპარტიის წევრები. საბჭო წინადადებას აძლევს იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საბჭოს დელეგატებად კომუნისტები აირჩიეს, შესცვალონ ისინი სხვა პირებით. ამ დადგენილებას საბჭო ასაბუთებს მით, რომ კომპარტიამ გადასწყვიტა არჩევნებში გამოვიდეს მუშათა პარტიის კანდიდატების წინააღმდეგ. (ადს).

ამხ. ლიტვინოვისა და ლოუდენის მიწერ-მოწერა

პარიზი, 17 აპრილი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგის სამდივნომ გამოაქვეყნა მიწერ-მოწერა განიარაღების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე ლოუდონსა და ლიტვინოვს შორის. ლიტვინოვი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ლოუდონმა საბჭოთა დელეგაციას ბრალი დასდო „დამანგრეველ მუშაობაში“. ამის საპასუხოდ ლოუდონი აცხადებს, რომ მას „სრულებით არ ჰქონია განზრახვა მიემართა ჭორებისათვის საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ“. (ადს).

ბერლინი, 17 აპრილი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი კომენტარიებს უკეთებს ლიტვინოვისა და ლოუდონის მიწერ-მოწერას და აცხადებს, რომ „ლიტვინოვის პროტესტი სავსებით საფუძვლიანია“. ლოუდონის წერილი ვერ აქარწყლებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც გამოიწვია მისი საბოლოო სიტყვის ზოგიერთმა შენიშვნებმა, მიმართულმა ერთი დელეგაციის წინააღმდეგ“. (ადს).

ფაშიზმის თარეში იაპონიაში

სამი დეპუტატის მოკვლა

ტოკიო, 17 აპრილი. იაპონელი ფაშისტები სამშაბათს თავს დაესხნენ ვაკაიამას თვითმმართველობის სამი დეპუტატის თათბირს. ეს დეპუტატები ეკუთვნოდნენ ოპოზიციონურ პარტიას. ისინი იხილავდნენ საკითხს საჩივრის შეტანის შესახებ პოლიციის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ პარტიის თანამგრძნობ პირების მიმართ, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ საპარლამენტო არჩევნების დროს. სამივე დეპუტატი მოკლულია. პარტიის საგანგებო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ დეპუტატის მოკვლა მოაწყო მთავრობის პარტიამ და პოლიციამ.

სტუდენტთა პროგრესიული ორგანიზაციის დაშლა

ტოკიო, 17 აპრილი. ტოკიოს უნივერსიტეტის რექტორმა გასცა ბრძანება პროგრესიულ სტუდენტების ორგანიზაციების დაშლის შესახებ. (ადს).

პროფ. კავაკამის გადადგომა

ტოკიო, 17 აპრილი. კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორმა—ცნობილმა მარქსისტმა კავაკამიმ განაცხადა, რომ იგი გადადგა არა განათლების მინისტრის მოთხოვნილებით, არამედ პროფესორთა საბჭოს დადგენილების გამო, რომელსაც იგი ემორჩილება უნივერსიტეტის ავტონომიის პრინციპების თანახმად.

ოკურას განთავისუფლება

ტოკიო, 17 აპრილი. განთავისუფლეს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ტოკიოს განყოფილების მდივანი ოკურა, რომელიც დაპატიმრებული იყო მუშათა და გლეხთა მემარცხენე პარტიის როდო ნომინტოს დაშლის დროს. (ადს).

დეპეშების გაგრძელება იხ. მე-5 გვერდზე

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„პრავდა“ საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის შესახებ

მოსკოვი, 18 აპრილი. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ამხ. იულინის წერილი საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხი უნდა დაისვას მთელი თავისი მნიშვნელობით.

ჩვენ უშუალოდ ვდგევართ ტეხნიკურ რევოლიუციის პრობლემის წინაშე, რომლის გადაუწყვეტლად წარმოუდგენელია სოციალისტური მეურნეობის წარმატებით განვითარებაზე ლაპარაკი.

მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქიმიურ მეთოდების შემოღება როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ეს მოგვცემს მეურნეობის ყოველ დარგში უდიდეს რაციონალიზაციას.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ქიმიურ სექტორის გაძლიერება პირველ ამოცანას წარმოადგენს ამჟამად.

რატომ იყო წარსული ორშაბათი დასვენების დღე

მოსკოვი, 18 აპრილი. ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარების დროს, მუშები ბევრ კრებებზე გაკვირვებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ ჩვენ ვებრძვით საეკლესიო დღესასწაულებს და ამასთან ერთად ზოგჯერ „ხელს ვუწყობთ“ ასეთ დღესასწაულების გამაგრებას. კერძოდ ბევრგან იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეგრედ წოდებულ „აღდგომის“ მეორე დღე, ორშაბათი 16 აპრილი არ უნდა ყოფილიყო გამოცხადებული დასვენების დღეთ.

როგორც ვიცით, როცა ორშაბათს აწესებდენ დასვენების დღეთ, უმთავრესად ხელმძღვანელობდენ შემდეგი მოსაზრებით: მორწმუნენი არიან მუშა-მოსამსახურეთა შორისაც, გარდა ამისა თვით არამორწმუნე მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობას მიიღებს დღესასწაულში. აქედან იქმნებოდა შემდეგი არასასურველი შესაძლებლობა: „აღდგომის“ მეორე დღეს წარმოება-დაწესებულებებში არ იქნებოდა ნაყოფიერი მუშაობა. მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან სრულიად არ გამოცხადდებოდა სამუშაოდ ან იმდენად ინტენსიურად ვერ იმუშავებდა, როგორც ამას ადგილი აქვს ნორმალურ დღეებში.

თუ რამდენად გამართლდა ეს მოსაზრება, ამას გვიჩვენებს ის ცნობები, რომლებიც დღეს უკვე მოგვეპოვება მოსკოვის მთელ რიგ მსხვილ წარმოებებიდან სამშაბათს, 17 აპრილის სამუშაო დღის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წელს მოსკოვში „აღდგომის“ დღესასწაულები შედარებით წინანდელთან უფერულად ჩატარდა, რადგან ანტირელიგიურ კამპანიამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მიუხედავად ამისა მოსკოვის მთელ რიგ დიდ ფაბრიკა-ქარხნებში სამშაბათს, 17 აპრილს, ადგილი ჰქონდა შემდეგ სურათს: ქარხანა „წითელ პროლეტარში“ არ გამოცხადდა სამუშაოდ—200 კაცი, ავტომობილების ქარხანა „ამო“-ში 170 კაცი, „პროვოდნიკში“—120 კაცი, „ბორეცში“ 110 კაცი. ზოგიერთ წვრილ ქარხნებში კი არ გამოცხადებულა მუშა-მოსამსახურეთა ერთი მეოთხედიც.

მოსკოვის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ორშაბათს, 16 აპრილს, იმ შემთხვევაში, რომ ეს დღე სამუშაო დღედ ყოფილიყო გამოცხადებული, სამუშაო საათების გაცდენის უარეს სურათს მივიღებდით.

ხელოვნების საქმეთა მართველობის დაარსება

მოსკოვი, 18 აპრილი. იმ მიზნით, რომ ხელოვნება დაუახლოვდეს ფართო მშრომელ მასებს და ახალ სოციალისტურ ფორმების ძიების გზები მხატვრობის დარგში სწრაფად წარიმართოს, რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა დაარსებულ იქნას ხელოვნების საქმეთა მთავარი მართველობა, რომელიც მოწყობილი იქნება განათლების სახალხო კომისარიატთან და ამავე კომისარიატის ხელმძღვანელობით იმუშავებს.

მცირე თეატრის მსახიობები მიემგზავრებიან თბილისში

მოსკოვი, 18 აპრილი. თეატრალური სეზონის დამთავრების შემდეგ მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი საგასტროლოდ მიემგზავრება თბილისში.

დისპუტი ბოგემის მიზეზების შესახებ ახალგაზრდობის შორის

მოსკოვი, 18 აპრილი. ლიტერატურულ კურსების მსმენელ ახალგაზრდა ქალის თვითმკვლელობამ გამოაამჟღავნა მთელი რიგი მტკივნეული საკითხები ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებიდან. ამ თვითმკვლელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია ჩატარებულ იქნეს რამდენიმე დისპუტი ბოგემის წარმოშობის მიზეზების შესახებ.

პირველი ასეთი დისპუტი გაიმართება მოსკოვის პოლიტეხნიკუმის მუზეუმში. კამათში მონაწილეობას ღებულობენ პროფესორი რეისნერი, ბუხარცევა, [illegible] და სხვები.

გამოცხადებულია მოხსენების თეზისები, რომლებშიაც, სხვათა შორის ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის სატახტო ქალაქებში შექმნილია ისეთი პირობები, რომელნიც ზოგჯერ ხელს უწყობენ პროვინციებიდან ჩამოსულ მოსწავლე ახალგაზრდობის დეგრადაციის გზაზე შედგომას. საჭიროა ენერგიული ბრძოლა გამოცხადდეს ბოგემის ბუდეების, როგორიცაა სპეციფიური სახის კაფე-რესტორანები, სადაც თავს იყრის მომეტებით ხელოვნების მუშაკი ახალგაზრდობა, და ინდივიდუალისტურ მიდრეკილებების, რომლებიც გამოხატულებას ჰპოულობენ ვიწრო კასტიურ კორპორაციებში და „ძმაბიჭურ“ დაჯგუფებებში.

ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგები

ამხ. სტალინის მოხსენება მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 13 აპრილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 17 აპრილი. ამხანაგებო! ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმს, რომელიც ეხლახან დამთავრდა, აქვს ერთი თავისებურობა, რომლითაც განირჩევა ის ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შემდგარ პლენუმებისაგან. ეს თავისებურობა გამოიხატება იმაში, რომ ეს პლენუმი იყო წმინდა საქმიანი პლენუმი, რომელზედაც ადგილი არ ჰქონია შინაურ პარტიულ შეხლა-შემოხლას და შინაპარტიულ გამწვავებას. დღის წესრიგში იდგა საჭირბოროტო საკითხები: საკითხი პურის დამზადების შესახებ, საკითხი შახტის საქმის შესახებ და, ბოლოს, საკითხი პოლიტბიუროსა და ცეკას პლენუმის მუშაობის გეგმის შესახებ. საკითხები, როგორც ხედავთ, საკმაოდ სერიოზულია. მიუხედავად ამისა, პლენუმზე გამართულ კამათს ჰქონდა წმინდა საქმიანი ხასიათი და რეზოლუციები მიღებულ იქნა ერთხმად. ეს აიხსნება იმით, რომ პლენუმზე არ ყოფილა ოპოზიცია. ეს აიხსნება იმით, რომ საკითხების განხილვას ჰქონდა წმინდა საქმიანი ხასიათი და ადგილი არ ჰქონია ფრაქციულ გამოსვლებსა და ფრაქციულ დემაგოგიას. ეს აიხსნება იმით, რომ მხოლოდ მე-15 ყრილობის შემდეგ, მხოლოდ ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ პარტიას მიეცა შესაძლებლობა სერიოზულად განეხილა პრაქტიკული საკითხები. ამაშია დადებითი მხარე და, თუ გნებავთ, იმ განვითარების პერიოდის დაუფასებელი პლიუსიც, რომელშიაც ფეხი შევსდგით ჩვენ მე-15 პარტყრილობის შემდეგ, ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ.

1. თვითკრიტიკის შესახებ

პლენუმის მუშაობის—პლენუმზე გამართულ კამათისა და პლენუმის რეზოლუციების დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პლენუმის მუშაობა თავიდან ბოლომდე ჩატარდა მეტად მკაცრ თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. კიდევ მეტი, არც ერთი საკითხი პლენუმზე, არც ერთი გამოსვლა არ დარჩენილა ჩვენი მუშაობის ნაკლის კრიტიკისა და ჩვენი ორგანიზაციების თვითკრიტიკის გარეშე. ჩვენი ნაკლის გაკრიტიკება, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების პატიოსანი ბოლშევიკური თვითკრიტიკა,—ასეთია პლენუმის მუშაობის საერთო ხასიათი.

მე ვიცი, რომ პარტიის რიგებში არის ისეთი ხალხი, რომელსაც არ უყვარს კრიტიკა საერთოდ და თვითკრიტიკა განსაკუთრებით. არის ხალხი, რომელსაც მე უწოდებდი „კრიალა“ კომუნისტებს (სიცილი), ისინი გაურბიან თვითკრიტიკას და ბუზღუნობენ: ისევ დაწყევლილი თვითკრიტიკა, ისევ ჩვენი ნაკლის გამომზეურება, არ შეიძლება რომ დაგვასვენოთო? ცხადია, რომ ამ „კრიალა“ კომუნისტებს არაფერი საერთო აქვთ ჩვენი პარტიის ხასიათთან, ბოლშევიზმის ხასიათთან, აი, ასეთი განწყობილების არსებობის დროს, განწყობილების, რომელიც გაურბის თვითკრიტიკას, დასაშვებია დაისვას კითხვა: გვჭირდება თუ არა ჩვენ თვითკრიტიკა, საიდან წარმოსდგა ის და რა სარგებლობა მოაქვს მას?

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ თვითკრიტიკა ისე გვჭირდება ჩვენ, როგორც ჰაერი, როგორც წყალი. მე ვფიქრობ, რომ თვითკრიტიკის გარეშე ჩვენი პარტია ვერ წავიდოდა წინ, ის ვერ აღმოაჩენდა ჩვენს წყლულებს, ვერ აღმოფხვრიდა ჩვენს ნაკლს. ხოლო ნაკლი ჩვენ ბევრი გვაქვს. ეს უნდა ვაღიაროთ ჩვენ აშკარად და პატიოსნად.

თვითკრიტიკის ლოზუნგი არაა ახალი ლოზუნგი. ის ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. თუ ჩვენი ქვეყანა არის პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა, ხოლო დიქტატურას კი ხელმძღვანელობს ერთი პარტია—კომუნისტების პარტია, რომელიც არ უნაწილებს და არც შეიძლება გაუნაწილოს ხელისუფლება სხვა პარტიებს, მაშინ განა ცხადი არაა, რომ ჩვენ თვითონ უნდა გამოვააშკარაოთ და აღმოვფხვრათ ჩვენი შეცდომები, თუ გვსურს წინსვლა, განა ცხადი არაა, რომ მას სხვა ვერავინ გამოაშკარავებს და აღმოფხვრის? ნუ თუ ცხადი არაა, ამხანაგებო, რომ თვითკრიტიკა უნდა გახდეს ერთ-ერთი სერიოზული ძალა, რომელიც წინ წასწევს ჩვენს განვითარებას?

თვითკრიტიკის ლოზუნგი განსაკუთრებით ძლიერად განვითარდა ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ. რატომ? იმიტომ რომ მე-15 ყრილობის შემდეგ, რომელმაც მოსპო ოპოზიცია, პარტიაში შეიქნა ახალი პირობები, რომლებსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ. რაში მდგომარეობს პირობების სიახლე? იმაში, რომ პარტიაში არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს ოპოზიცია, იმაში, რომ ოპოზიციაზე იოლად გამარჯვების გამო, რომელიც (ე. ი. გამარჯვება) თავისთავად სერიოზულ პლიუსს წარმოადგენს პარტიისათვის—პარტიაში შეიძლება შეიქმნეს საფრთხე, რომ გამარჯვების შემდეგ მიეცენ განცხრომას, ოდნავ ძილს მისცენ თავი და დახუჭონ თვალი ჩვენი მუშაობის ნაკლზე. ოპოზიციის იოლად დამარცხება უდიდესი პლიუსია ჩვენი პარტიისათვის, მაგრამ მასში ჩამარხულია განსაკუთრებული მინუსებიც, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ პარტია შეიძლება გაიმსჭვალოს თვითკმაყოფილების გრძნობით და მიეცეს განცხრომას. რას ნიშნავს განცხრომა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჯვარი დაისვას ჩვენს წინსვლას. რომ ეს არ მოხდეს, ამიტომ ჩვენ გვჭირდება თვითკრიტიკა, არსებითად არა ღვარძლიანი, კონტრ-რევოლიუციონური კრიტიკა, რომელსაც აწარმოებდა ოპოზიცია, არამედ პატიოსანი, აშკარა ბოლშევიკური თვითკრიტიკა. ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და გადმოისროლა ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ. მას შემდეგ თვითკრიტიკა ფართოვდება და თავის ბეჭედს ასვამს ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის მუშაობას.

უსაფუძვლო იქნებოდა იმის შიში, რომ ჩვენი მტრები, როგორც შინაური, ისე გარეშე გამოიყენებენ ჩვენი ნაკლის კრიტიკას და ასტეხენ განგაშს: შეხედეთ, ბოლშევიკებს ყველაფერი რიგზე არ აქვთო. სასაცილო იქნებოდა რომ ბოლშევიკებს გვეშინებოდა ყოველივე ამის. ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაშია, რომ მას არ ეშინია თავისი შეცდომების აღიარების. დეე პარტიამ, დეე ბოლშევიკებმა, დეე ჩვენი ქვეყნის ყველა ხინდისიერმა მუშებმა და მშრომელმა ელემენტებმა გამოაშკარავონ ჩვენი მუშაობის ნაკლულოვანებანი, ჩვენი მშენებლობის ნაკლულოვანებანი, დეე დასახონ გზები ჩვენი ნაკლულოვანებების მოსასპობად, რომ ჩვენს მუშაობაში ჩვენს მშენებლობაში ადგილი არ ექნეს ერთ წერტილზე გაყინვას, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითი-დღე გაუმჯობესდეს და ახალ-ახალ წარმატებებს მივაღწიოთ. ეს არის ეხლა უმთავრესი. დეე მტრებმა ილაყბონ ჩვენს ნაკლულოვანებებზე—ასეთ უბრალო რამის არ შეუძლია შეაშინოს და არ უნდა შეაშინოს ბოლშევიკები.

დაბოლოს, კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოითხოვს თვითკრიტიკას. მე მხედველობაში მაქვს მასებისა და ბელადების საკითხი. უკანასკნელ ხანებში ჩვენში ერთგვარი თავისებური დამოკიდებულება შეიქმნა ბელადებსა და მასებს შორის. ერთის მხრით ჩვენში გამოეყო, ისტორიულად შეიქმნა ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომლის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს და რომელიც თითქმის მიუწვდომელი ხდება მასებისათვის. მეორეს მხრით მუშათა კლასის მასები და უპირველეს ყოვლისა მშრომელთა მასები საერთოდ ძალიან ნელა იწევენ მაღლა, ისინი თავის ბელადებს უყურებენ ქვევიდან ზევით და ხშირად ეშინიათ გააკრიტიკონ თავისი ბელადები, რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ჩვენში შეიქმნა ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელმაც ძალიან მაღლა აიწია და რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს,—ეს ფაქტი თავის თავად დიდი მიღწევაა ჩვენი პარტიისათვის. ცხადია, რომ თუ ხელმძღვანელთა ასეთი ავტორიტეტული ჯგუფი არ იქნება, წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა.

მაგრამ იმ ფაქტს, რომ ბელადები, რომლებიც მაღლა იწევენ, შორდებიან მასებს, ხოლო მასები მათ უყურებენ ქვევიდან ზევით და ვერ ბედავენ ამ ბელადების გაკრიტიკებას,—ამ ფაქტს არ შეუძლია არ შექმნას ბელადების მასებისაგან მოწყვეტისა და მასების ბელადებისაგან დაშორების ერთგვარი საფრთხე. ამ საფრთხემ მოსალოდნელია გამოიწვიოს ის, რომ ბელადებმა შეიძლება დაიწყონ მედიდურობა და უცოდველად გამოაცხადონ თავისი თავი. და რა უნდა იყოს კარგი იმაში, რომ ხელმძღვანელმა ზედაფენებმა დაიწყონ მედიდურობა და მასებს დაუწყონ მაღლიდამ დაბლა ცქერა? ცხადია, რომ აქედან არაფერი არ გამოვა, გარდა პარტიის დაღუპვისა. ჩვენ კი გვინდა პარტიის წინსვლა და ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება და არა პარტიის დაღუპვა. და სწორედ იმისათვის, რომ წავიდეთ წინ და გავაუმჯობესოთ დამოკიდებულება მასებსა და ბელადებს შორის, ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ თვითკრიტიკისათვის, საბჭოთა ხალხს უნდა მივსცეთ საშუალება „შეუტიონ“ თავის ბელადებს, გააკრიტიკონ მათი შეცდომები, რათა ბელადებმა არ დაიწყონ მედიდურობა და მასები არ დაშორდნენ ბელადებს.

მასებისა და ბელადების საკითხს ხანდახან ურევენ დაწინაურების საკითხში. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ლაპარაკია არა ახალი ბელადების დაწინაურებებზე, თუმცა პარტიამ ამ საქმეს მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. ლაპარაკია იმაზე, რომ შევინარჩუნოთ უკვე დაწინაურებული ავტორიტეტული ბელადები და მუდმივი განუწყვეტელი კონტაქტი დავამყაროთ ამ ბელადებსა და მასებს შორის.

ლაპარაკია იმაზე, რომ თვითკრიტიკისა და ჩვენი დეფექტების კრიტიკის წესით დავრაზმოთ პარტიის ფართო საზოგადოებრივი აზრი და მუშათა კლასის ფართო საზოგადოებრივი აზრი, როგორც ცოცხალი, ფხიზელი, მორალური კონტროლი, რომლის ხმას გულდახმით უნდა მოუსმინონ ყველაზე უფრო ავტორიტეტულმა ბელადებმა, თუ მათ სურთ შეინარჩუნონ პარტიის ნდობა და მუშათა კლასის ნდობა. ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია პრესის—ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესის—მნიშვნელობა. ამ მხრივ არ შეიძლება არ მივესალმოთ „პრავდა“-ს ინიციატივას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლის დაარსების საქმეში. ეს ფურცელი აწარმოებს ჩვენი მუშაობის დეფექტების სისტემატიურ კრიტიკას. მხოლოდ უნდა შევეცადოთ, რომ კრიტიკა იყოს სერიოზული და ღრმა და არ ცხებოდეს მხოლოდ ზედაპირს. ამ მხრივ უნდა მივესალმოთ აგრეთვე „კომსომოლსკაია პრავდა“-ს, რომელსაც მხნე და მკვირცხალი იერიში მიაქვს ჩვენი მუშაობის დეფექტებზე.

ზოგჯერ კრიტიკოსებს აგინებენ იმისათვის, რომ მათი კრიტიკა უნაკლო არ არის, იმისათვის, რომ მათი კრიტიკა ზოგჯერ ვერ არის სწორი მთელი 100 პროცენტით. ხშირად მოითხოვენ, რომ კრიტიკა სწორი იყოს ყველა მუხლებში, და თუ ის ყველა მუხლებში ვერ არის სწორი, უწყებენ მას ლანძღვა-გინებას. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო, ეს საშიშარი შეცდომაა. სცადეთ მხოლოდ ასეთი მოთხოვნილების წამოყენება და თქვენ პირს აუკრავთ ასეულ და ათასეულ მუშებს, მუშკორებს და გლეხკორებს, რომლებსაც სურთ გამოასწორონ ჩვენი ნაკლულოვანებანი, მაგრამ ზოგჯერ ვერ ახერხებენ თავისი აზრების სწორად ჩამოყალიბებას. ეს საფლავი იქნებოდა და არა თვითკრიტიკა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მუშებს ზოგჯერ ეშინიათ სიმართლე სთქვან ჩვენი მუშაობის დეფექტებზე. ეშინიათ არა მარტო იმიტომ, რომ მათ შეიძლება „მოხვდეს“ ამისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მათ შეიძლება „სიცილი დააყარონ“ არაუნაკლო კრიტიკისათვის. სად შეუძლია უბრალო მუშას ან უბრალო გლეხს, რომელიც საკუთარ ზურგზე გრძნობს ჩვენი მუშაობისა და გეგმიანობის დეფექტებს, სად შეუძლია მას დაასაბუთოს თავისი კრიტიკა ყველა წესების დაცვით? თუ თქვენ მოსთხოვთ მას მთელი ასი პროცენტით სწორ კრიტიკას, ამით მოსპობთ ქვედა ფენებიდან გამომდინარე ყოველგვარი კრიტიკის შესაძლებლობას და ყოველგვარი თვითკრიტიკის შესაძლებლობას. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ თუ კრიტიკა შეიცავს თუნდაც 5—10 პროცენტის სიმართლეს, ასეთ კრიტიკასაც უნდა მივესალმოთ, ყურადღებით მოვუსმინოთ და აღმოვაჩინოთ მასში საღი ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, თქვენ პირს აუკრავდით ყველა იმ ასეულ და ათასეულ საბჭოების ერთგულ პირებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არიან გამოცდილი თავისი კრიტიკულ მუშაობაში, მაგრამ რომელთა პირით თვით სიმართლე ლაპარაკობს. სწორედ იმისათვის, რომ არ ჩავახშოთ თვითკრიტიკა, არამედ განვავითაროთ იგი, სწორედ ამისათვის საჭიროა ყურადღებით მოვუსმინოთ საბჭოების ერთგულ ხალხის ყოველგვარი კრიტიკა, თუნდაც ეს კრიტიკა ვერ იყოს სავსებით და ყველა თავის ნაწილებში სწორი. მხოლოდ ამ პირობებში დარწმუნდება მასები, მათ არ „მოხვდება“ არაუნაკლო კრიტიკისათვის და რომ მათ „სიცილს არ დააყრიან“ მათი კრიტიკის ზოგიერთ შეცდომებისათვის.

მხოლოდ ამ პირობით თვითკრიტიკამ შეიძლება ჰპოვოს ნამდვილად მასიური გამოძახილი.

თავისთავად ცხადია; რომ აქ ლაპარაკია არა ყოველგვარ კრიტიკაზე. კონტრ-რევოლიუციონური კრიტიკაც კრიტიკაა. მაგრამ ის მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხას; ჩვენი მრეწველობისათვის ძირის გამოთხრას და ჩვენი პარტიული მუშაობის დაშლას. აშკარაა; რომ ჩვენ ასეთ კრიტიკაზე არა გვაქვს ლაპარაკი. მე ვლაპარაკობ არა ასეთ კრიტიკაზე, არამედ იმ კრიტიკაზე, რომელიც გამომდინარეობს საბჭოთა ხალხისაგან, იმ კრიტიკაზე; რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების გაუმჯობესებას; ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესებას; ჩვენი პარტიული და პროფესიონალური მუშაობის გაუმჯობესებას. კრიტიკა ჩვენ გვესაჭიროება საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და არა მის დასასუსტებლად. სწორედ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმე, სწორედ იმისათვის წამოყენებულია კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლოზუნგი.

რას მოველით ჩვენ უწინარეს ყოვლისა თვითკრიტიკის ლოზუნგიდან, რა შედეგები შეუძლია მოგვცეს მან, თუ სწორედ და პატიოსნად იქნა ის გატარებული? მან ჩვენ უნდა მოგვცეს ორი შედეგი მაინც. მან, ჯერ ერთი, უნდა გააძლიეროს მუშათა კლასის სიფხიზლე, გაამახვილოს მისი ყურადღება ჩვენი დეფექტებისადმი, გაადვილოს ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორება, შეუძლებლად გახადოს ყოველგვარი „მოულოდნელობანი“ ჩვენს სააღმშენებლო მუშაობაში. მეორეს მხრივ, უნდა ასწიოს მუშათა კლასის პოლიტიკური კულტუროსნობა, განავითაროს მასში ჩვენი ქვეყნის პატრონის გრძნობა და გაუადვილოს მუშათა კლასს მართვა-გამგეობის საქმის შესწავლა.

მოაქციეთ თუ არა თქვენ ყურადღება იმას, რომ არა თუ შახტის საქმე, არამედ პურის დამზადების კრიზისიც 1928 წლის იანვრისათვის ბევრ ჩვენთაგანისათვის „მოულოდნელი“ იყო? ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია შახტის საქმე. ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა ბურჟუაზიულ სპეცების კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი და ღებულობდა დირექტივებს საერთაშორისო კაპიტალის ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისაგან. ხუთი წლის განმავლობაში სწერდნენ და გზავნიდნენ ჩვენი ორგანიზაციები ყოველგვარ რეზოლიუციებსა და დადგენილებებს. ქვანახშირის მრეწველობის საქმე, რა თქმა უნდა, მაინც წინ მიდიოდა, ვინაიდან საბჭოთა სამეურნეო სისტემა იმდენად ცხოველმყოფელი და ძლიერია, რომ ის მაინც იმარჯვებდა, მიუხედავად ჩვენი უთავბოლობისა და ჩვენი შეცდომებისა. ხუთი წლის განმავლობაში ეს კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი აწარმოებდა ჩვენი მრეწველობის გამცემლობას, აფეთქებდა ქვაბებს; შლიდა ტურბინებს და სხვ. ჩვენ კი ვიჯექით, თითქოს აქ არაფერიაო. და „ერთბაშად“, მოულოდნელად დაგვატყდა თავს შახტის საქმე. ნორმალურია თუ არა ეს მდგომარეობა, ამხანაგებო? მე ვფიქრობ, რომ უაღრესად არანორმალურია. საჭესთან იჯდე და ვერაფერს ხედავდე, სანამ გარემოებები არ მიგიყვანს რაიმე უბედურებამდე; ეს კიდევ არ ნიშნავს ხელმძღვანელობას. ბოლშევიზმს ასე როდი ესმის ხელმძღვანელობა? ხელმძღვანელობა რომ შეგეძლოს, გათვალისწინების უნარიც უნდა გქონდეს. გათვალისწინება კი, ამხანაგებო, ყოველთვის როდია ადვილი. როდესაც ერთი-ორი ათეული ხელმძღვანელი ამხანაგი ადევნებს თვალყურს და ამჩნევს ჩვენი მუშაობის დეფექტებს; მუშათა მასებს კი არ სურთ, ან არ შეუძლიათ არც თვალყურის დევნება და არც დეფექტების შემჩნევა, მაშინ ყველა შანსებია იმისათვის, რომ აუცილებლად რაიმეს მხედველობიდან გაუშვებ, ყველაფერს ვერ შეამჩნევ. სხვა საქმეა, როდესაც ათეულ ხელმძღვანელ ამხანაგის მაგიერ ჩვენი მუშაობის დეფექტებს თვალყურს ადევნებენ და ამჩნევენ ასეული ათასი და მილიონი მუშები; ააშკარავებენ ჩვენს შეცდომებს, ჩაბმული არიან აღმშენებლობის საერთო საქმეში, სახავენ გზებს საქმის გასაუმჯობესებლად. აქ მეტი თავდები იქნება იმისათვის, რომ მოულოდნელობას ადგილი არ ექნება, რომ უარყოფითი მოვლენები დროზე იქნება შემჩნეული და დროზე იქნება მიღებული ზომები ამ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. ჩვენ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მუშათა კლასის სიფხიზლე არ ჩლუნგდებოდეს, არამედ ვითარდებოდეს, რომ ასეული ათასი და მილიონი მუშები ებმებოდნენ სოციალისტური აღმშენებლობის საერთო საქმეში, რომ ასეული ათასი და მილიონი მუშები და არა მხოლოდ ათეული ხელმძღვანელები ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი აღმშენებლობის მსვლელობას, აღნიშნავდნენ ჩვენს შეცდომებს და დღის სინათლეზე გამოჰქონდეთ ისინი.

მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენში ადგილი აღარ ექნება „მოულოდნელობას“, მაგრამ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ, ჩვენ უნდა განვავითაროთ ჩვენი დეფექტების კრიტიკა ქვედა ფენებიდან; კრიტიკა მასიურად უნდა გავხადოთ, უნდა შევითვისოთ და ცხოვრებაში გავატაროთ თვითკრიტიკის ლოზუნგი.

დაბოლოს, მუშათა კლასის კულტურული ძალების ამოძრავება და ქვეყნის მმართველობის საქმისადმი შერჩევა. თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებასთან დაკავშირებით ლენინი ამბობდა: „უმთავრესი რამ, რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტუროსნობა და მმართველობის საქმის ცოდნა. ეკონომიური და პოლიტიკური ნეპი სავსებით უზრუნველჰყოფს სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის აგებას. საქმე „მხოლოდ“ პროლეტარიატის და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია“ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შევაჩვიოთ მუშათა კლასი ჩვენი ქვეყნის მმართველობას, მეურნეობის მმართველობას, მრეწველობის მმართველობას. შეიძლება თუ არა შევამუშაოთ მუშათა კლასში ეს უნარი, შევაჩვიოთ იგი მმართველობის საქმეს ისე, თუ მუშათა ძალასა და უნარს, მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილის ძალასა და უნარს არ მივცემთ ფართო გასაქანს იმისათვის, რომ გააკრიტიკონ ჩვენი შეცდომები, აღნიშნონ ნაკლულოვანებანი, წასწიონ წინ ჩვენი მუშაობა? ცხადია, რომ არ შეიძლება. რა არის საჭირო იმისათვის, რომ გასაქანი მივსცეთ მუშათა კლასსა და საერთოდ მშრომელთა ძალასა და უნარს და მივსცეთ მათ საშუალება შეეჩვიონ ჩვენი ქვეყნის მმართველობას? ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვითკრიტიკის ლოზუნგის პატიოსნური ბოლშევიკური გატარება, ქვევიდან კრიტიკის, ნაკლულოვანებათა და ჩვენი მუშაობის შეცდომათა პატიოსნური ბოლშევიკური გატარება. თუ მუშებს აქვთ საშუალება პირდაპირ და აშკარად გააკრიტიკონ ნაკლულოვანებანი, გააუმჯობესონ ჩვენი მუშაობა, წასწიონ წინ ეს მუშაობა,—რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშები ხდებიან ჩვენი ქვეყნის, მეურნეობის და მრეწველობის მმართველობის საქმის აქტიური მონაწილენი. ეს აუცილებლად გააძლიერებს მუშებში აქტიობას, სიფხიზლეს, კულტუროსნობას და იმ გრძნობას, რომ იგი არის თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი.

მუშათა კლასის კულტურული ძალების საკითხი ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხია. რატომ? იმიტომ, რომ დღემდე არსებულ ყველა გაბატონებულ კლასებს შორის მუშათა კლასს, როგორც გაბატონებულ კლასს, ისტორიაში უჭირავს რამდენადმე განსაკუთრებული, არა სავსებით ხელსაყრელი მდგომარეობა. ყველა დღემდე გაბატონებული კლასები—მონათმფლობელნი, მემამულეები და კაპიტალისტები ამავე დროს იყვნენ მდიდარი კლასები. მათ ჰქონდათ საშუალება თავისი შვილებისათვის მიეცათ მმართველობისათვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება. მუშათა კლასი მათგან სხვათა შორის განსხვავდება იმით, რომ იგი არ არის მდიდარი, მას წინედ არ ჰქონდა საშუალება ესწავლებინა თავისი შვილებისათვის მმართველობის საქმე, მან ეს საშუალება მიიღო მხოლოდ ეხლა, რევოლიუციის შემდეგ. ამაში მდგომარეობს სხვათა შორის, კულტურული რევოლიუციის საკითხის სიმწვავე ჩვენში. მართალია, მუშათა კლასმა თავისი ბატონობის ათი წლის განმავლობაში შეიძინა მეტი, ვიდრე მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ათეული და ასეული წლების განმავლობაში. მაგრამ საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა ისეთია. რომ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ საკმაო არ არის. ამიტომ ყოველგვარი საშუალება, რომელსაც შეუძლია მუშათა კლასის კულტურული ძალების განვითარების დონის ამაღლება, ყოველგვარი საშუალება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს იმას, რომ შეეჩვიოს მუშათა კლასი ქვეყნის მმართველობის საქმეს, ყოველგვარი ასეთი საშუალება სავსებით უნდა იქნას გამოყენებული. ნათქვამიდან გამოდის, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ერთ-ერთი საშუალებაა პროლეტარიატის კულტურული ძალების განვითარების საქმეში, მუშათა კლასის მმართველობისადმი შეჩვევის საქმეში. აქედან კიდევ ერთი საბუთი, რომელიც მოითხოვს თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებას ცხოვრებაში. ასეთია საერთოდ ის საბუთები, რომლებიც გვკარნახებს თვითკრიტიკის ლოზუნგს, როგორც დღევანდელი დღის ლოზუნგს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის აპრილის პლენუმის მუშაობა ჩატარდა თვითკრიტიკის ნიშნით.

ეხლა გადავალ პურის დამზადების საკითხზე.

2. პურის დამზადების საკითხი

უწინარეს ყოვლისა რამოდენიმე სიტყვა უნდა ითქვას პურის დამზადების იმ კრიზისის შინაარსის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამა წლის იანვარში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გასული წლის ოქტომბრიდან პურის დამზადებამ ჩვენში იწყო შემცირება და დეკემბერში დავიდა უმდაბლეს წერტილამდე, ამა წლის იანვრისათვის კი პურის დამზადების საქმეში ჩვენ გვქონდა 130 მილიონ ფუთის დეფიციტი. წლევანდელი მოსავალი ჩვენში თითქმის არ იყო შარშანდელზე უფრო ცუდი, შეიძლება მცირეოდენად ჩამოუვარდებოდა შარშანდელ მოსავალს. ძველი მოსავლიდან დარჩენილი მარაგი ამ წელში მეტი იყო, ვიდრე გასულ წელში და საერთო აზრი იყო, რომ ბაზარზე გამოსატანი პური ჩვენს ქვეყანაში ამ წელში თუ მეტი არა, ნაკლები არ არის, ვიდრე შარშან. ამისდამიხედვით პურის დამზადების წლიური გეგმა შედგენილ იქნა რამოდენიმედ გადაჭარბებით შარშანდელ გეგმასთან შედარებით. მაგრამ მიუხედავად ამისა პურის დამზადებამ დაიწია და 1928 წლის იანვრისათვის ჩვენ გვქონდა 130 მილიონ ფუთის დეფიციტი. შეიქმნა „ორიგინალური“ მდგომარეობა. პური ბევრია ჩვენს ქვეყანაში, პურის დამზადება კი ეცემა და შიმშილის საფრთხეს ქმნის ქალაქებში და წითელ არმიაში.

რით აიხსნება მდგომარეობის ეს „ორიგინალობა“? რამე შემთხვევით მოვლენას ხომ არა აქვს აქ ადგილი? ბევრი იმით ხსნის ამას, რომ ჩვენ საკმაო სიფხიზლე ვერ გამოვიჩინეთ, გართული ვიყავით ოპოზიციასთან ბრძოლაში, ზოგიერთი რამ ვერ შევამჩნიეთ. რომ ჩვენ მართლაც საკმაო ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ, ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ ყველაფრის ახსნა უყურადღებობით—ყოვლად უხეში შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს არ შეიძლება პურის დამზადების კრიზისი ავხსნათ შემთხვევით. ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება. ეს მეტის-მეტად იაფფასიანი ახსნა იქნებოდა.

მაშ როგორილა იყო ის პირობები, რომლებმაც განსაზღვრა პურის დამზადების კრიზისი?

მე ვფიქრობ, რომ ასეთი პირობები ჩვენ სამი მაინც გვქონდა. ჯერ ერთი, ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის სიძნელენი ჩვენი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის პირობებში. მე მხედველობაში მაქვს ქალაქის ინდუსტრიის განვითარების სიძნელენი. სოფელში იმდენად ბევრი და ყოველგვარი საქონელი უნდა შეგვქონდეს, რომ სოფლისაგან მივიღოთ სამეურნეო პროდუქტების მაქსიმუმი. ამისათვის საჭიროა ჩვენი ინდუსტრიის უფრო სწრაფი განვითარება, ვიდრე ამას ეხლა აქვს ადგილი. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ძლიერ განვავითაროთ ინდუსტრია, საჭიროა სოციალისტური დაგროვების უფრო სწრაფი ტემპი. დაგროვების ასეთი ტემპის მიღწევა კი არც ისე ადვილია, ამხანაგებო. ამით აიხსნება ის, რომ არ გვყოფნის საქონელი სოფლისათვის.

შემდეგ მე მხედველობაში მაქვს ჩვენი აღმშენებლობის სიძნელენი სოფლად. სოფლის მეურნეობა ნელა იზრდება, ამხანაგებო. საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობა უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდეს, რომ პური იაფდებოდეს, რომ მოსავალი იზრდებოდეს, რომ მიწის გასანოყიერებელი ნივთიერებანი ყოველ მხრივ იხმარებოდეს, რომ პურის მანქანური წარმოება გაძლიერებული ტემპით ვითარდებოდეს. მაგრამ ეს არ არის ჩვენში და არც მალე იქნება, ამხანაგებო. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა არის წვრილი გლეხური მეურნეობა, რომლის სერიოზული გაუმჯობესება სიძნელეს წარმოადგენს.

სტატისტიკა გვეუბნება, რომ ომამდე ჩვენში იყო დაახლოებით 16 მილიონი ინდივიდუალური წვრილი გლეხური მეურნეობა. ეხლა ჩვენში არის დაახლოებით 25 მილიონი ინდივიდუალური წვრილი გლეხური მეურნეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წარმოვადგენთ უაღრესად წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანას. რა არის წვრილი გლეხური მეურნეობა? ეს არის ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფილი, ყველაზე უფრო პრიმიტიული, ყველაზე უფრო განუვითარებელი, ყველაზე ნაკლებ საქონლიანი მეურნეობა. მთელი საქმე კი ამაშია, ამხანაგებო. განოყიერება, მანქანები, აგრონომიული ცოდნა და სხვა გაუმჯობესებანი—ეს ისეთი რამეებია, რომლებიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას მსხვილ მეურნეობებში, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება ან თითქმის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წვრილ გლეხურ მეურნეობაში. აი, რაში მდგომარეობს წვრილი მეურნეობის სისუსტე, აი რატომ ვერ უძლებს ის კონკურენციას მსხვილ კულაკურ მეურნეობებს. არის თუ არა საერთოდ ჩვენში სოფლად მსხვილი მეურნეობები. რომლებიც იყენებენ მანქანებს, განოყიერებას, აგრონომიულ ცოდნას და სხვ.? დიახ, არის. პირველ ყოვლისა ასეთია კოლექტიური მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ ისინი ცოტაა ჩვენში, ამხანაგებო. მეორეს მხრივ ეს არის კულაკური (კაპიტალისტური) მეურნეობები. ასეთი მეურნეობები არც იმდენად მცირეა ჩვენს ქვეყანაში და ისინი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავადგეთ კერძო მსხვილ მეურნეობათა წაქეზების გზას სოფლად? აშკარაა, რომ არ შეგვიძლია. აქედან დასკვნა: ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ სოფლად არსებულ მსხვილი მეურნეობათა, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ტიპის მეურნეობათა განვითარებას, უნდა შევეცადოთ გადავაქციოთ ისინი ჩვენი ქვეყნის პურის ფაბრიკებად, რომლებიც მოწყობილი უნდა იქნეს მეცნიერულ საფუძველზე. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი კოლექტიურ მეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ყოველმხრივ განვითარების შესახებ. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კოლექტიური მეურნეობანი უნდა შენდებოდეს მხოლოდ ღარიბ გლეხობის ფენებიდან. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ჩვენი კოლექტიური მეურნეობები უნდა იყვნენ ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობები, რომლებიც უნდა აერთიანებდნენ არა მარტო ცალკე მცირე ჯგუფებს, არამედ ზოგჯერ მთელ სოფლებსაც. საშუალო გლეხს უნდა მივცეთ პერსპექტივა, მივუთითოთ მას, რომ თავისი მეურნეობის განვითარება მას ყველაზე უკეთ შეუძლია კოლექტიურ მეურნეობის საშუალებით თუ საშუალო გლეხს არ შეუძლია აიწიოს მაღლა და გადავიდეს კულაკურ ჯგუფში, დაბლა დაშვება კი უაზრობა იქნებოდა, მას უნდა მივცეთ პერსპექტივა, რომ მას შეეძლოს გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის საშუალებით.

მაგრამ კოლექტიური მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენში მცირეა, მეტის მეტად მცირეა. აქედან გამომდინარეობს ჩვენი აღმშენებლობის სიძნელენი სოფლად. აქედან გამომდინარეობს არასაკმაო პურის დამზადება.

მეორე. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი აღმშენებლობის სიძნელენი ქალაქად და სოფლად წარმოადგენენ იმ ბაზას, რომლის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას დამზადების კრიზისი. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დამზადების კრიზისი უნდა წარმოშობილიყო სწორედ მიმდინარე წელში.

ჩვენ ვიცით, რომ ეს სიძნელენი არსებობდა არა მარტო მიმდინარე წელში, არამედ გასულ წელშიაც. მაშ რატომ სწორედ მიმდინარე წელში წარმოიშვა დამზადების კრიზისი? რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მიმდინარე წელში კულაკმა მიიღო საშუალება გამოეყენებინა ეს სიძნელენი იმისათვის, რომ ხელოვნურად აეწია პურის ფასები, იერიში მიეტანა საბჭოთა ფასების პოლიტიკაზე და ამით შეეფერხებინა ჩვენი მუშაობა პურის დამზადების დარგში. ამ სიძნელეთა გამოყენება მან შეძლო ორი მიზეზის გამო მაინც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამ მოსავლიან წელს ფუჭად არ ჩაუვლია.—კულაკი გაიზარდა ამ ხნის განმავლობაში, დაგროვდა პურის მარაგი საერთოდ სოფლად და განსაკუთრებით კულაკებთან. ამ ხნის განმავლობაში კულაკს მიეცა საშუალება შეცდილიყო ეკარნახებინა ფასები და, მეორე,—იმიტომ, რომ კულაკს დახმარებას უწევდნენ ქალაქელი სპეკულიანტები, რომლებიც სცდილობდნენ პურის ფასების აწევას და ხელოვნურად ადიდებდნენ ფასებს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კულაკი არის პურის მთავარი მეპატრონე. მთავარი ძირითადი მასა, რომელსაც აქვს პურის მეტი ნაწილი—ეს საშუალო გლეხია. მაგრამ კულაკს აქვს განსაზღვრული სამეურნეო ავტორიტეტი სოფლად ფასების საკითხში და მას შეუძლია ზოგჯერ გაიყოლიოს საშუალო გლეხი. აქედან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ სოფლის კულაკურ ელემენტებს საშუალება ეძლევა გამოიყენონ ჩვენი აღმშენებლობის სიძნელენი პურის ფასებს სპეკულიატიურად აწევისათვის.

მაგრამ რას ნიშნავს პურის ფასების გადიდება, ვსთქვათ, 40—50 პროცენტით, როგორც ამას ცდილობდნენ კულაკურ სპეკულიანტური ელემენტები? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა მუშათა რეალური ხელფასის დარღვევას. დავუშვათ, რომ ჩვენ მაშინ ავწევდით მუშების ხელფასს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა სამრეწველო საქონლის ფასების აწევა და როგორც მუშათა კლასის, ისე ღარიბ და საშუალო გლეხობის მატერიალური მდგომარეობის შერყევა. ეს კი იქნებოდა მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის პირდაპირი და უეჭველი ჩაშლა.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. დავუშვათ, რომ ჩვენ ავეწიეთ პურის ფასები 40—50 პროცენტით იანვარში და ამა წლის გაზაფხულზე თესვის წინ. რას გამოიწვევდა ეს? ჩვენ მაშინ დავარღვევდით ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზას. მებამბეები თავს დაანებებდნენ ბამბის თესვას და გადავიდოდნენ პურის თესვაზე, როგორც უფრო ხელსაყრელ საქმეზე. სელის მეურნეებიც პურის თესვას დაიწყებდნენ. ჭარხლის მეურნეებიც ასე მოიქცეოდნენ და სხ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ძირს გამოვუთხრიდით ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზას სოფლის კაპიტალისტური ელემენტების სპეკულიანტური მადის გამო.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. რომ ჩვენ ავეწიოთ პურის ფასები, ვთქვათ, ამა წლის გაზაფხულზე, ჩვენ პირდაპირ დავკლავდით ღარიბ გლეხობას, რომელიც გაზაფხულზე ყიდულობს პურს, როგორც სასურსათო საჭიროებისათვის, ისე სათესლედ. ღარიბ გლეხობას და საშუალო გლეხობის დაბალ ფენებს სრული უფლება ექნებოდათ ეთქვათ ჩვენთვის: თქვენ ჩვენ მოგვატყუეთ, ვინაიდან ჩვენ შემოდგომაზე პური მოგყიდეთ დაბალ ფასებში, ეხლა კი თქვენ გვაიძულებთ ვიყიდოთ პური გადიდებულ ფასებში. მაშ ვის იცავთ თქვენ, ბატონო საბჭოთა მოღვაწეებო, ღარიბებს თუ კულაკებს?

ამიტომ კულაკების სპეკულიანტურ მოქმედებისათვის პურზე ფასების გადიდების საზოთ პარტიას უნდა ეპასუხნა ისეთი კონტრ-შეტევით, რომელიც კულაკებს და სპეკულიანტებს წაართმევდა ხალისს დამშევით დამუქრებოდენ მუშათა კლასს და ჩვენს წითელ არმიას.

მესამე. ეჭვს გარეშეა, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტები ვერ შესძლებენ ჩვენი აღმშენებლობის სიძნელეთა გამოყენებას იმდენად, რამდენადაც მათ გამოიყენეს ეს სიძნელეები სინამდვილეში და დამზადების კრიზისი ვერ მიიღებდა ასეთ საშიშარ ფარგლებს, მათ რომ ამ საქმეში არ დახმარებოდა ერთი გარემოება, რა ახასიათებს ამ გარემოებას? მას ახასიათებს ჩვენი დამამზადებელი ორგანოების უთავბოლობა, მთლიანი ფრონტის უქონლობა, კონკურენცია ურთიერთ შორის, გაუბედავი ბრძოლა პურზე ფასების ხელოვნურად აწევის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ინერტულობა პურის დამზადების რაიონებში და აგრეთვე ის, რომ მათ არ სურდათ ენერგიულად ჩარევა პურის დამზადების კამპანიაში, არ სურდათ ჩარეოდენ საქმეში და ბოლო მოეღოთ უთავბოლობისათვის პურის დამზადების ფრონტზე. ჩვენმა პარტიულმა და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, რომლებიც „დამთვრალი“ იყვნენ გასული წლის დამზადების კამპანიის მიღწევებით და ფიქრობდნენ, რომ მიმდინარე წელს ყველაფერი თავისთავად გაკეთდება,—ყველაფერი „ღვთის ანაბარათ“ დასტოვეს და დაუთმეს ასპარეზი კულაკურ-სპეკულიანტურ ელემენტებს. კულაკებიც სწორედ ამას უცდიდენ.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ გარემოების გარეშე პურის დამზადების კრიზისი ვერ მიიღებდა ასეთ საშიშ ხასიათს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს დამამზადებელ და სხვ. ორგანიზაციების ხელშია სოფლის სამრეწველო საქონლით მომარაგების საქმის 80 პროცენტი და სოფლად წარმოებულ დამზადებათა 90 პროცენტი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს გარემოება ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს უკარნახოთ ჩვენი პირობები სოფელს იმ პირობით. რომ ჩვენი ორგანიზაციები შესძლებენ ამ ხელსაყრელ მდგომარეობის გამოყენებას. ჩვენ კი. იმის მაგიერ, რომ გამოგვეყენებია ეს ხელსაყრელი მდგომარეობა ყველაფერი „ღვთის ანაბარა“ დავსტოვეთ და ამით, რასაკვირველია, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გავაადვილეთ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთია, ამხანაგებო, პირობები, რომლებმაც შექმნეს პურის დამზადების კრიზისი გასული წლის ბოლოში.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ პურის დამზადების კრიზისი გამოხატავს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების პირველ სერიოზულ გამოსვლას (ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენი აღმშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში—პურის დამზადების საკითხში.

აი, ამხანაგებო, რაში მდგომარეობს პურის დამზადების კრიზისის კლასობრივი სარჩული, თქვენ იცით, რომ პურის დამზადების კრიზისის ლიკვიდაციისათვის და კულაკების სპეკულიანტური მადის ახალაგმავად პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყვნენ მიეღოთ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებების შესახებ საკმაოდ იწერებოდა ჩვენს პრესაში. მათ შესახებ საკმაოდ დაწვრილებით არის ლაპარაკი ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციაში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქ საჭირო არ არის ნათქვამის გამეორება. მინდა მხოლოდ გაკვრით შევეხო ზოგიერთ საგანგებო ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულ იქნა განსაკუთრებულ პირობების გამო და რომლებიც, რასაკვირველია, ზედმეტი გახდება, რამდენადაც აღარ იქნება ეს განსაკუთრებული პირობები.

მე მხედველობაში მაქვს მე-107 მუხლის გამოყენება. ეს მუხლი ცაკის მიერ მიღებულია 1926 წელს. ის არ დაგვჭირვებია ჩვენ წარსულ წელს. რატომ? იმიტომ, რომ პურის დამზადება მიდიოდა ნორმალურად და არ იყო საფუძველი ამ მუხლის გამოყენებისათვის. ეს მუხლი მოგვაგონდა მხოლოდ მიმდინარე წელს 1928 წლის დასაწყისში. მოგვაგონდა იმიტომ, რომ ჩვენში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც შექმნა კულაკების სპეკულიანტურმა მახინაციებმა და რომლებიც გვემუქრებოდა სიმშილობით. აშკარაა, რომ თუ მომავალ წელს პურის დამზადების საქმეში არ იქნება განსაკუთრებული გარემოებანი და დამზადება ნორმალურად წავიდა, მაშინ მე-107 მუხლის გამოყენება ზედმეტი გახდება. და, პირიქით, თუ განსაკუთრებულ გარემოებებს ადგილი ექნება და კაპიტალისტური ელემენტები კვლავ დაიწყებენ „ჩხირკედელაობას“, მაშინ მე-107 მუხლი ისევ იქნება გამოყენებული.

ამასთან დაკავშირებით სისულელე იქნება ლაპარაკი ახალი ეკონომიური პოლიტიკის „გაუქმების“, სასურსათო ბეგარაზე „გადასვლის“ და სხვ. შესახებ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაუქმების შესახებ, ეხლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ფიქრობენ. არავისთვის ისე ხელსაყრელი არ არის ამჟამად ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მაგრამ არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს არა ბრძოლის გაძლიერებას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, მათ შორის კულაკების წინააღმდეგაც უკანასკნელთა დასაძლევათ, არამედ კულაკებისა და კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შეწყვეტას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ ხალხს არაფერი საერთო არა აქვს ლენინიზმთან, რომ მათ ადგილი არ უნდა ექნეთ ჩვენს პარტიაში.

თქვენ აგრეთვე მოგეხსენებათ იმ ღონისძიებათა შედეგები, რომლებიც მიიღო პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სასურსათო კრიზისის ლიკვიდაციისათვის. მოკლედ ეს შედეგები შემდეგია:

ჯერ ერთი, ჩვენ ავანაზღაურეთ დანაკლისი და პურის დამზადებაში დავეწიეთ, ადგილ ადგილი კიდევაც გაუსწარით პურის დამზადების შარშანდელ ტემპს. თქვენ იცით; რომ სამ თვეში—იანვარში, თებერვალში და მარტში, ჩვენ შევძელით დაგვემზადებია 270 მილიონ ფუთზე მეტი პური. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ყველაფერი, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ჩვენ კიდევ უნდა დავამზადოთ 100 მილიონი ფუთზე მეტი. მაგრამ ეს მაინც აუცილებლად საჭირო მიღწევაა, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეგვარებია პურის დამზადების კრიზისი. ჩვენ შეგვიძლია ეხლა სრული უფლებით ვთქვათ, რომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდეს წარმატებას მიაღწიეს ამ ფრონტზე.

მეორე, ჩვენ გავაჯანსაღეთ, ცოტად თუ ბევრად გავაჯანსაღეთ ჩვენი დამამზადებელი და პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე, საქმით შევამოწმეთ მათი ბრძოლის უნარიანობა, გავსწმინდეთ ისინი აშკარა გახრწნილ ელემენტებისაგან, რომლებიც არ სცნობენ კლასების არსებობას სოფლად და რომლებსაც არ სურთ „ეჩხუბონ“ კულაკს.

მესამე, ჩვენ გავაუმჯობესეთ მუშაობა სოფლად, უფრო დავიახლოვეთ ღარიბი გლეხობა, მოვიმხრეთ საშუალო გლეხობის უდიდესი უმრავლესობა, განვამარტოვეთ კულაკები და რამოდენიმედ ვაწყენინეთ საშუალო გლეხობის რამოდენიმედ შეძლებულ ზედაფენას. ამით ჩვენ გავატარეთ ძველი ბოლშევიკური ლოზუნგი, რომელიც მოგვცა ლენინმა ჩვენი პარტიის მე-8 ყრილობაზე:

„დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, მოახერხე მტკიცე კავშირის გაბმა საშუალო გლეხობასთან და არც ერთი წუთით არ შესწყვიტო ბრძოლა კულაკებთან“.

მე ვიცი, რომ ზოგიერთი ამხანაგები სავსებით ხალისიანად არ იზიარებენ ამ ლოზუნგს.

ახირებული იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მოასწავებს მუშების კავშირს მთელ გლეხობასთან, მათ შორის კულაკებთანაც. არა ამხანაგებო, ჩვენ ასეთ კავშირს არ ვქადაგებთ და არც შეგვიძლია ვქადაგებდეთ. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, მუშათა კლასის ხელისუფლების განმტკიცების დროს, მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან მოასწავებს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობას, კავშირს საშუალო გლეხთან და ბრძოლას კულაკებთან. ვინც ფიქრობს, რომ გლეხობასთან კავშირი ჩვენს პირობებში მოასწავებს კავშირს კულაკთან, მას არაფერი არა აქვს საერთო ლენინიზმთან. ვინც ფიქრობს სოფლად აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ყველას მოეწონება—მდიდრებსაც და ღარიბებსაც, ის მარქსისტი კი არ არის, არამედ სულელია, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა არ არსებობს ბუნებაში, ამხანაგებო (სიცილი. ტაში). ჩვენი პოლიტიკა არის კლასობრივი პოლიტიკა.

ასეთია საერთოდ იმ ღონისძიებათა შედეგები, რომლებიც მივიღეთ ჩვენ პურის დამზადების გასაძლიერებლად.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ ღონისძიებათა გატარების დროს ჩვენს პოლიტიკაში ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის მრავალ გამრუდებას და გადამახინჯებას.

ყველას მოეხსენება სესხის იძულებითი გავრცელების მთელი რიგი შემთხვევები;—ერთეები, რომლებიც მიმართული იყო კულაკების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი უთავბოლობის გამო უწინარეს ყოვლისა ხვდებოდა ღარიბ და საშუალო გლეხებს, მე-107 მუხლის არასწორი გამოყენება და სხ.

ჩვენ სასტიკად ვსჯით და მომავალშიაც სასტიკად დავსჯით იმათ, ვინც დაუშვებს ასეთ გადამახინჯებებს. მაგრამ ახირებული იქნებოდა არ დაგვენახა ამ გადამახინჯებათა გამო ან დაგვევიწყებია ის სასარგებლო, ჭეშმარიტად სერიოზული შედეგები, რომლებიც მოგვცა პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებებმა და რომელთა გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებდით დამზადების კრიზისის დაძლევას. ასე მოქცევა ნიშნავს უმთავრესის არ დანახვას და პირველ რიგში დროებითისა და შემთხვევითი მომენტების წამოყენებას.

ასე მოქცევა ნიშნავს პურის დამზადებას ფაქტიურად სერიოზულ მიღწევათა გაქარწყლებას ჩვენი ხაზის გადამახინჯების იმ ცალკე შემთხვევების გამო, რომლებიც სრულიადაც არ გამომდინარეობენ პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებებიდან.

გვქონდა თუ არა ისეთი გარემოებები, რომლებმაც გაადვილა ჩვენი მიღწევები პურის დამზადების საქმეში, ჩვენი ბრძოლა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შემოტევის წინააღმდეგ?

დიახ, გვქონდა. შეიძლება აღინიშნოს ორი ასეთი გარემოება მაინც.

ეს პირველ რიგში არის ის ფაქტი, რომ პარტია ჩაერია პურის დამზადების კამპანიაში, იერიში მიიტანა კულაკურ სპეკულიანტურ ელემენტებზე ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ, ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ. მას შემდეგ, რაც პარტიამ მიაღწია მაქსიმალურ მთლიანობას და გაანადგურა ყველა თავისი პარტიული მტრები. კულაკებთან ბრძოლა უბრალო საქმე არ არის, რომ კულაკურ-სპეკულიანტური მახინაციები დავამარცხოთ რაიმე გართულების გამოუწვევლად ჩვენს ქვეყანაში, უნდა გვყავდეს აბსოლიუტურად შემჭიდროებული პარტია, აბსოლიუტურად მტკიცე ზურგი და სავსებით მაგარი ხელისუფლება. განა უდავო არ არის, რომ ამ პირობების არსებობამ თვალსაჩინო როლი ითამაშა იმაში, რომ კულაკები იძულებული გახდნენ სწრაფად დაეხიათ უკან.

მეორეს მხრივ ეს არის ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით დაგვეკავშირებია ჩვენი პრაქტიკული ღონისძიებები კულაკურ-სპეკულიანტურ ელემენტების ახალაგმავად მუშათა კლასის წითელი არმიის და სოფლის ხელმოკლე ფენების უმრავლესობის საარსებო ინტერესებთან. ის გარემოება, რომ კულაკურ-სპეკულიანტურმა ელემენტებმა საბჭოთა ხელისუფლების კანონების დარღვევით (მე-107 მუხლი) ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასების წინაშე წამოაყენეს შიმშილის საფრთხე—ამ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეწვია ის, რომ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში ჩვენს მხარეზე იყო სოფლის უმრავლესობა.

კულაკი წარმოუდგენელ სპეკულაციას ეწეოდა პურით, ის ამით ქმნიდა უდიდეს დაბრკოლებას როგორც ქალაქში, ის სოფლად; ის გარდა ამისა არღვევდა საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, ე. ი. მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ნება-სურვილებს—განა ცხადი არაა, რომ ამ გარემოებას უნდა გაეადვილებია კულაკობის იზოლიაციის საქმე?

მივიღეთ რამდენათმე ისეთივე კომბინაცია (რა თქმა უნდა, სათანადო შენიშვნებით), როგორსაც ადგილი ჰქონდა 1921 წელში, როცა პარტიამ ლენინის მეთაურობით, ქვეყანაში გამეფებულ შიმშილის გამო, დააყენა ეკლესიებისათვის ძვირფასი ნივთების ჩამორთმევის საკითხი დამშეულ რაიონებისათვის პურის შესაძენად და ამ ნიადაგზე გაშალა ფართო ანტირელიგიური კამპანია; ხუცები, ჩაებღაუჭნენ რა ძვირფას ნივთებს, ფაქტიურად გამოვიდნენ დამშეული მასების წინააღმდეგ და ამით გამოიწვიეს მასების აღშფოთება ეკლესიის წინააღმდეგ და საერთოდ სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობისა და კერძოდ ხუცებისა და მათი ხელმძღვანელების წინააღმდეგ განსაკუთრებით, მაშინ ჩვენს პარტიაში იყო ისეთი ახირებული ხალხი, რომელიც ფიქრობდა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა ლენინმა მხოლოდ 1921 წელს შეიგნო. (სიცილი), მანამდე კი მას თითქოს არ ჰქონდა შეგნებული ეს. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, ამხანაგებო. ლენინს, რა თქმა უნდა 1921 წლამდეც ჰქონდა შეგნებული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. მაგრამ საქმე ამაში როდია. საქმე იმაშია, რომ ფართო მასიური ანტირელიგიური კამპანია უნდა დაუკავშირდეს მასების საარსებო ინტერესებს და ეს კამპანია ისე უნდა ტარდებოდეს, რომ ის გასაგები იყოს მასებისათვის, რომ ამ კამპანიას მხარი დაუჭიროს მასებმა. მართლაც და რა შედეგები გვექნებოდა ამჟამად, რომ ჩვენ სერიოზულად შეგვეტია კულაკების წინააღმდეგ ამ სამი წლის წინად, როცა ჩვენს მხარეზე არ იყო გამოსული საშუალო გლეხობა, როცა საშუალო გლეხობა გაბოროტებული და აღშფოთებული იყო თემალმასკომის თავმჯდომარის წინააღმდეგ, როცა ღარიბ გლეხობა თავზარდაცემული იყო ნეპის შედეგებით, როცა ჩვენ ომის წინა დროის სათესი მოედნის მხოლოდ 75 პროც. გვქონდა, როცა ჩვენს წინაშე იდგა ძირითადი საკითხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გაფართოების შესახებ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა სასურსათო და ნედლეულის სერიოზული ბაზა ინდუსტრიისათვის? მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ მაშინ წავაგებდით ბრძოლას და ვერ მოვახერხებდით სათესი მოედნის გაფართოებას იმ ნორმამდე, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ ამჟამად, ჩვენ ვერ შევძლებდით სასურსათო და ნედლეულის ბაზის შექმნას მრეწველობისათვის, გავაადვილებდით კულაკობის გაძლიერებას, ჩამოვაშორებდით საშუალო გლეხს და, შესაძლებელია, რომ ამჟამად, ჩვენ გვქონოდა სერიოზული პოლიტიკური გართულებანი ქვეყნის შიგნით. რა გვქონდა ჩვენ ამ წლის დასაწყისში სოფლად?—ომის წინა დროის ნორმამდე გაფართოებული სათესი მოედანი, მომაგრებული სასურსათო და ნედლეულის ბაზა მრეწველობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების მომხრე საშუალო გლეხების უმრავლესობა, ცოტად თუ ბევრად დარაზმული ღარიბი გლეხობა და გაუმჯობესებული, მომაგრებული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სოფლად. განა ცხადი არაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება სერიოზული შეტევის წარმატებით წარმოება კულაკურ-სპეკულიანტურ ელემენტების წინააღმდეგ? განა ცხადი არაა, რომ მხოლოდ ჭკუაზე გადამცდარს არ შეუძლიათ შეიგნონ მთელი განსხვავება ამ ორ მდგომარეობას შორის სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ ფართო მასიური ბრძოლის მოწყობის საქმეში? აი ამის მაგალითი, თუ რამდენად არა გონივრულია განურჩევლად სროლა ყველა ზარბაზნებიდან ყველა ფრონტებზე, დროისა და ადგილის პირობებისა და მებრძოლ მხარეების ძალთა განწყობილებისათვის ანგარიშის გაუწევლად.

ასეთია მდგომარეობა, ამხანაგებო, პურის დამზადების საკითხში. გადავიდეთ ეხლა შახტის საქმეზე.

3. შახტის საქმე

როგორია შახტის საქმის კლასობრივი სარჩული, სადაა ჩამარხული შახტის საქმის ფესვები, რა კლასობრივ ნიადაგზე შეიძლებოდა ამ ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის წარმოშობა? არიან ამხანაგები, რომლებიც შახტის საქმე მიაჩნიათ შემთხვევით მოვლენად. ისინი ჩვეულებრივად ლაპარაკობენ: ჩვენ აქ საკმაოდ დიდი დაუდევრობა გამოვიჩინეთ, მაგრამ დაუდევრობა რომ არ გამოგვეჩინა, არავითარი შახტის საქმე არ იქნებოდაო. მაგრამ ყველაფრის დაუდევრობით ახსნა საქმის არსების ვერგაგებას ნიშნავს.

რას გვეუბნება ფაქტები და მასალები შახტის საქმის შესახებ? ფაქტები გვეუბნება, რომ შახტის საქმე წარმოადგენს იმ ბურჟუაზიული სპეცების მიერ მოწყობილ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციას, რომლებიც წინად ქვანახშირის მაღაროებს ფლობდნენ. ფაქტები შემდეგ გვეუბნება, რომ ეს სპეცები, რომელთაც მოწყობილი ჰქონდათ საიდუმლო ჯგუფი, საზიანო საქმისათვის ფულს ღებულობდნენ ამჟამად ემიგრაციაში მყოფ ყოფილ მეპატრონეებისაგან და დასავლეთ ევროპის კონტრ-რევოლიუციონურ ანტი-საბჭოთა კაპიტალისტურ ორგანიზაციებისაგან. დაბოლოს, ფაქტები გვეუბნება, რომ ბურჟუაზიულ სპეცების ეს ჯგუფი მოქმედებდა და აბრევდა ჩვენს მრეწველობას დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ორგანიზაციების მითითებით. რას გვეუბნება ყოველივე ეს? იმას, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ანტი-საბჭოთა კაპიტალისტურ ორგანიზაციების ეკონომიურ ინტერვენციასთან ჩვენი მრეწველობის საქმეებში. თავის დროზე ადგილი ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკურ ინტერვენციას, რომელიც ჩვენ მოვსპეთ ძლევამოსილი სამოქალაქო ომით. ამჟამად ადგილი აქვს ეკონომიური ინტერვენციის ცდას, რომლის ლიკვიდაციისათვის არ დაგვჭირდება სამოქალაქო ომი, მაგრამ რომელიც ჩვენ მაინც უნდა აღმოვფხვრათ და რომელსაც ჩვენ აღმოვფხვრით კიდეც ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებით.

სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საერთაშორისო კაპიტალი დაგვანებებს თავს. არა, ამხანაგებო, ეს არ არის მართალი. არსებობენ კლასები, არსებობს საერთაშორისო კაპიტალი, და მას არ შეუძლია დამშვიდებით უყუროს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის განვითარებას. წინად იგი, საერთაშორისო კაპიტალი ფიქრობდა პირდაპირ სამხედრო ინტერვენციის საშუალებით დაემხო საბჭოთა ხელისუფლება. ეხლა იგი ცდილობს, და მომავალშიაც შეეცდება ჩვენი სამეურნეო ძლიერება დაასუსტოს უჩინარი, ხშირად შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიური ინტერვენციით მოგვაყენოს ზიანი, მოამზადოს ყოველგვარი „კრიზისები“ მრეწველობის ამა თუ იმ დარგში, და ამით გაადვილოს მომავალი სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა. აქ ყოველივე ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საერთაშორისო კაპიტალი კლასიურ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აქ ლაპარაკი არ შეიძლება რაიმე შემთხვევითი მოვლენებზე.

ორში ერთია: ან ჩვენ მომავალშიაც ვაწარმოებთ რევოლიუციონურ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ირგვლივ დავრაზმავთ ყველა ქვეყნების პროლეტარებსა და ჩაგრულებს და მაშინ საერთაშორისო კაპიტალი ყოველგვარი საშუალებით შეგვიშლის ხელს ჩვენს წინსვლაში, ან ხელს ავიღებთ ჩვენს რევოლიუციონურ პოლიტიკაზე, წავალთ მთელ რიგ პრინციპიალურ დათმობებზე საერთაშორისო კაპიტალის წინაშე და მაშინ საერთაშორისო კაპიტალს არაფერი ექნება საწინააღმდეგო „დაგვეხმაროს“ იმაში, რომ ჩვენი სოციალისტური ქვეყანა გადავაქციოთ „კეთილ“ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად. არის ისეთი ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენ შეიძლება ვაწარმოოთ რევოლიუციონური საგარეო პოლიტიკა და ამასთან ერთად მივაღწიოთ იმას, რომ ამისათვის ქება გვიძღვნას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიამ. მე არ შეუძლები იმის მტკიცებას, რომ ასეთ ხალხს არაფერი აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო ჩვენს პარტიასთან. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე პრინციპიალურ დათმობაზე წავიდეთ ისე, თუ არ უარვყავით საკუთარი თავი, სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ საერთაშორისო კაპიტალი მომავალშიაც მოგვიწყობს ყოველგვარ ინტრიგებს, სისაძაგლეს, იქნება ეს შახტის საქმე ან თუ სხვა რაიმე მისი მსგავსი. აი სად არის შახტის საქმის კლასიური ფესვები.

რატომ მოხერხდა საერთაშორისო კაპიტალის სამხედრო ინტერვენცია ჩვენში? იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობდენ სამხედრო სპეციალისტები, გენერლები, ოფიცრები, ბურჟუაზიის და მემამულეების შვილების მთელი ჯგუფები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ მზად გამოეთხარათ ძირი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შეეძლოთ თუ არა ამ ოფიცრებს და გენერლებს მოეწყოთ სერიოზული ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალის ფინანსიური ან სხ. დახმარების გარეშე? რასაკვირველია, არ შეეძლოთ. შეეძლო თუ არა საერთაშორისო კაპიტალს ამ თეთრგვარდიელ ოფიცრებისა და გენერლების ჯგუფის დაუხმარებლად მოეწყო სერიოზული ინტერვენცია? მე ვფიქრობ, რომ არ შეეძლო. ჩვენში მაშინაც იყვნენ ამხანაგები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სამხედრო ინტერვენცია იყო შემთხვევითი მოვლენა, რომ ჩვენ არ გაგვენთავისუფლებია კრასნოვი, მამონტოვი და სხ., ინტერვენციას არ ექნებოდა ადგილი. ეს რასაკვირველია, არ არის მართალი. რომ კრასნოვის, მამონტოვის და სხვა თეთრგვარდიელი გენერლების განთავისუფლებამ თავისი როლი ითამაშა სამოქალაქო ომის განვითარების საქმეში, ეს უეჭველია. მაგრამ უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ სამხედრო ინტერვენციის ფესვები მარხია არა იმაში, არამედ იმაში, რომ კლასიური წინააღმდეგობა არსებობს ერთის მხრით საბჭოთა ხელისუფლებისა და მეორეს მხრით საერთაშორისო კაპიტალის და მისი მარიონეტების თეთრგვარდიელ გენერლების შორის.

შეეძლოთ თუ არა შახტის საქმის მოწყობა ზოგიერთ ბურჟუაზიულ სპეცებს და მაღაროს ყოფ. მეპატრონეებს საერთაშორისო კაპიტალის ფინანსიური და მორალური დახმარების გარეშე, იმ პერსპექტივების გარეშე, რომ საერთაშორისო კაპიტალი დაეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საქმეში? რასაკვირველია, არ შეეძლოთ. შეეძლო თუ არა საერთაშორისო კაპიტალს მოეწყო ეკონომიური ინტერვენცია ჩვენში, როგორც მაგ. შახტის საქმე, რომ ჩვენში არ არსებობდეს ბურჟუაზია და მასთან ერთად ბურჟუაზიული სპეცების ერთგვარი ჯგუფი, რომელიც მზად არის ერთ კოვზ წყალში დაახრჩოს საბჭოთა ხელისუფლება? რასაკვირველია, არ შეეძლო. არსებობს თუ არა საერთოდ ჩვენში ბურჟუაზიული სპეცების ისეთი ჯგუფები, რომლებიც მზად არიან მოაწყონ ეკონომიური ინტერვენცია, მზად არიან დაიწყონ მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. ვფიქრობ, რომ არიან. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ მათი რიცხვი ბევრია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენში არსებობს ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციონური სპეციალისტების ერთგვარი უმნიშვნელო ჯგუფები, გაცილებით უფრო მცირე რიცხოვანი, ვიდრე იყო სამხედრო ინტერვენციის დროს. ამ ორი ძალის შეერთება იძლევა ნიადაგს ეკონომიური ინტერვენციისათვის საბჭოთა კავშირში. სწორედ ამაში მდგომარეობს შახტის საქმის კლასიური სარჩული.

ეხლა პრაქტიკული დასკვნების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს შახტის საქმიდან.

მე მინდა შევჩერდე ოთხ პრაქტიკულ დასკვნაზე, რომლებზედაც მიგვითითებს შახტის საქმე.

ლენინი ამბობდა, რომ ხალხის შერჩევის საკითხი მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. შახტის საქმემ გვიჩვენა, რომ ჩვენ ცუდათ შევარჩიეთ ჩვენი სამეურნეო კადრები და არა მარტო ცუდათ შევარჩიეთ, არამედ ეს კადრები ჩავაყენეთ ისეთ პირობებში, რომლებიც აძნელებენ მათ ზრდას. მე ვლაპარაკობ ბრძანებაზე № 33 და განსაკუთრებით „ტიპიურ დებულებაზე“, რომელიც თან აქვს დართული ამ ბრძანებას; ამ ტიპიური დებულების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი თითქმის ყველა უფლებებს ანიჭებს ტექნიკურ დირექტორს, ხოლო დირექტორს ანიჭებს უფლებას მოაგვაროს კონფლიქტი, „თავმჯდომარეობს“ და დაუკრას ბალალაიკაზე. ცხადია, რომ ჩვენს სამეურნეო კადრებს ასეთ პირობებში არ შეეძლოთ საკმაოდ განვითარებული ყვნენ. თავის დროზე ეს ბრძანება აუცილებელი იყო, ვინაიდან იგი გამოცემულ იქნა ისეთ პირობებში, როცა ჩვენ სრულებით არ გვყავდა საკუთარი სამეურნეო კადრები, როცა არ შეგვეძლო მრეწველობის მმართველობა და ძალაუნებურად გვიხდებოდა ძირითადი უფლებების გადაცემა ტექნიკური დირექტორისათვის. მაგრამ ეს ბრძანება ეხლა გადაიქცა ბორკილად. ეხლა ჩვენ გვყავს საკუთარი, სამეურნეო კადრები, რომელთაც აქვთ გამოცდილება და შეუძლიათ გახდენ ჩვენი მრეწველობის ნამდვილ ხელმძღვანელებად. სწორედ ამიტომ დროა გავაუქმოთ დაძველებული ტიპიური დებულება და შევცვალოთ იგი ახალი დებულებით. ამბობენ, რომ შეუძლებელია კომუნისტებმა, განსაკუთრებით მუშა-კომუნისტებმა—სამეურნეო მუშაკებმა შეითვისონ, დახძლიონ ქიმიური ფორმულები და საერთოდ ტექნიკური ცოდნა. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. არ არსებობს მსოფლიოში ისეთი სიმაგრე, რომლის აღება არ შეეძლოთ ბოლშევიკ-მუშებს (ტაში). ამაზე უფრო ძლიერი სიმაგრეები ავიღეთ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ გვქონდეს სურვილი შევითვისოთ ტექნიკური ცოდნა და აღვიჭურვოთ შეურყეველი, ბოლშევიკური მოთმინებით. მაგრამ იმისათვის, რომ შევცვალოთ ჩვენი სამეურნეო კადრების მუშაობის პირობები და დავეხმაროთ მათ, რათა ისინი გახდნენ საქმის ნამდვილი და სრულუფლებიანი გამძღოლნი, აუცილებელია გავაუქმოთ ძველი ტიპიური დებულება და შევცვალოთ იგი ახალით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ამ კადრების ელემენტების დასახიჩრება. განა ზოგიერთი ზნეობრივად დაქვეითებული სამეურნეო მუშაკი ცუდი იყო რომელიმე ჩვენთაგანზე? რით აიხსნება, რომ ასეთი და მის მაგვარი ამხანაგები დაეშვენ და დაქვეითდნენ, და თავისი ყოფა-ცხოვრებით შეუერთდნენ ბურჟუაზიულ სპეცებს? ეს აიხსნება არასწორი სამეურნეო პრაქტიკით, ეს აიხსნება ჩვენი სამეურნეო ორგანოების შერჩევისა და მუშაობის იმ პირობებით, რომლებიც აძნელებს ამ ორგანოების მუშაკების განვითარებას, რომლებიც ამ მუშაკებს აქცევს ბურჟუაზიული სპეცების კუდათ. ასეთ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს, ამხანაგებო.

მეორე დასკვნა, რომლისკენაც მოგვითითებს ჩვენ შახტის საქმე, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ცუდათ ვამზადებთ კადრებს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, ცუდათ ვამზადებთ ჩვენს წითელ სპეცებს. ეს არის ისეთი დასკვნა, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი. რატომ აღმოჩნდნენ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტები მრეწველობისათვის გამოუსადეგარნი? იმიტომ, რომ ისინი სწავლობდნენ წიგნით, ისინი წიგნის სპეციალისტები არიან, მათ არა აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, ისინი მოწყვეტილი არიან წარმოებისაგან და ამიტომ მარცხდებიან. განა ჩვენთვის საჭიროა ისეთი სპეციალისტები, სულ ერთია იქნებიან ისინი კომუნისტები თუ არა კომუნისტები, რომლებიც ძლიერი იქნებიან არა მარტო თეორეტიულად, არამედ თავისი პრაქტიკული გამოცდილებითაც, თავისი კავშირით წარმოებასთან. ახალგაზრდა სპეცი, რომელსაც არ

(ამხ. სტალინის მოხსენების დასასრული იხ. მესამე გვ.)

საბჭოთა კავშირის 1927-28 წ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება საკავშირო ცაკის მესამე სესიაზე

სახელმწიფო ბიუჯეტი და სახალხო მეურნეობა

— ამხანაგებო! სახალხო კომისართა საბჭომ დამავალა მოგახსენოთ 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. პირველი საკითხი, რომელიც უნდა გავაშუქოთ, ეს არის საკითხი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობის, სახალხო მეურნეობაში მისი ხვედრითი წონის შესახებ. სახელმწიფო-საგეგმო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მთელ გეგმიან მუშაობას, მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავალს 1927-28 წლისათვის ანგარიშობს 24 ერთ მეოთხედ მილიარდ მანეთის რაოდენობით. სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ჩვენს განსახილველად და დასამტკიცებლად არის წარმოდგენილი, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ექვს მილიარდ ოცდათხუთმეტ მილიონ მანეთის (6.035.000000 მან.) რაოდენობით არის შედგენილი. თუ ამას მივუმატებთ ადგილობრივი ბიუჯეტების ჯამს, რომელნიც სახელმწიფო ბიუჯეტის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ, სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობის გამომხატველი იქნება უფრო დიდი ციფრი, რომელიც 7 ნახევარ მილიარდ მანეთს უახლოვდება. ამ ციფრების დაპირდაპირებიდან თქვენ ხედავთ, რომ მთელი კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცავს ნაციონალური შემოსავლის მეოთხედს, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტებთან ერთად კი მთელი საბჭოთა ქვეყნების ნაციონალური შემოსავლის თითქმის ერთ მესამედ ნაწილს. მარტო ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ რა დიდი წონა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს სახალხო მეურნეობისათვის.

ბიუჯეტს აქვს სახალხო მეურნეობაში უდიდესი ხვედრითი წონა. ეს წონა სახალხო მეურნეობაში წლიდან-წლამდე იზრდება, წლიდან-წლამდე ნაციონალურ სახალხო შემოსავლის უფრო და უფრო მეტი ნაწილი გადადის საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა განკარგულებაში.

გასულ წელს სახელმწიფო-საგეგმო კომისიის მიერ ნაციონალური შემოსავალი გამოანგარიშებული იყო 22 ნახევარ მილიარდ მანეთის რაოდენობით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებული იქნა 5.800.000.000 მან. ფარგლებში. ადგილობრივ ბიუჯეტებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 6 ნახევარ მილიარდ მანეთს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგულებაში იყო ნაციონალურ შემოსავლის 22 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წელს მის განკარგულებაშია 25 პროცენტი, ადგილობრივ ბიუჯეტებთან ერთად გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენდა ნაციონალურ შემოსავლის 28 პროცენტს, ხოლო მიმდინარე წელს 31 პროცენტზე მეტს. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ისე აქაც ჩვენ საქმე გვაქვს ზრდის პროცესში მყოფ მეურნეობასთან, ზრდის პროცესში მყოფ ბიუჯეტთან. ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მეოხებით მეურნეობის ორგანიზაციული დაგეგმვის, დაგროვილი დოვლათის გეგმიანი განაწილების შესაძლებლობანი წლიდან წლამდე მატულობენ.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წონა გვავალებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ მას, განსაკუთრებული გულისყურით შევამოწმოთ, როგორც შემოსავლის წყაროები, შემოსავლის აკრეფის წესი, ისე გასავლის მიზნობრივი განაწილება ოქტომბრის რევოლიუციის ამოცანებისა და მიმდინარე მომენტის ამოცანების მიხედვით.

ჩვენი ჩერვონეცის კურსი

რას ნიშნავს რეალურად, მატერიალურად ექვსი მილიარდი საბჭოთა ჩერვონეცის მანეთი ომის წინადროინდელ მანეთებთან შედარებით, ბურჟუაზიულ სახელმწიფოების სახელმწიფო ბიუჯეტების საზომ-ერთეულებთან შედარებით?

თუ საბჭოთა მანეთის მყიდველობით ფასს საბითუმო ფასების მიხედვით გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ ამგვარ სურათს: 1925- წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, ე. ი. ორნახევარი წლის წინად ჩერვონეცის მანეთის მყიდველობითი ფასი ომის წინანდელი დროის 57 კაპიკს უდრიდა, ერთი წლის შემდეგ—1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის 56 კაპიკს, ე. ი. ჩერვონეცის მყიდველობითი ძალა რამოდენიმედ დაეცა. 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის საბჭოთა მანეთის მყიდველობითი ძალას განვსაზღვრავთ 59 კაპიკით, რაც იძლევა ერთგვარ, თუმცა მცირე მომატებას. 56 კაპიკის ნაცვლად ჩვენი მანეთი ღირს ომის წინადროინდელი 59 კაპიკი. თუ ასეთივე შემოწმებას მოვახდენთ საცალო ფასების მიხედვით, ე.ი. იმ ფასების მიხედვით, რა ფასებიდაც ყოველ ჩვენგანს უხდება პროდუქტების შეძენა ბაზარზე, მივიღებთ შემდეგ სურათს: 1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ჩვენი მანეთი ღირდა 48 კაპეიკი ომის წინანდელ კურსით, ხოლო 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის იგი უდრიდა 57 ნახ. კაპ., ე. ი. მისმა მყიდველობითი ძალამ მოიმატა. მიუხედავად ამისა, იგი ომის წინანდელ კურსს ერთიორად ჩამორჩებოდა. აი ის, რაც განსაზღვრავს იმ 6 მილიარდის ნამდვილ ფაქტიურ მატერიალურ ღირებულებას.

ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით ცხოვრების გაძვირება არ არის მარტო საბჭოთა კავშირის ხვედრი. ეს არის საერთო ბედი, როგორც საბჭოთა კავშირის, რომელიც სოციალისტურ მშენებლობას ეწევა, ისე ბურჟუაზიული კაპიტალისტური ქვეყნებისაც, რომელნიც ამტკიცებენ კაპიტალისტურ ბატონობას ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში. მაგრამ ფულის ღირებულების დაცემის ტემპი ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით, ცხოვრების გაძვირების დონე, სხვადასხვანაირია.

როგორც მოგეხსენებათ, 1913 წელს ცხოვრება რუსეთში უფრო ძვირი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. მხოლოდ საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო საქონლის სიძვირის გამო ცხოვრება იმდენივე ჯდებოდა, როგორც მაგალითად, რუსეთში. დანარჩენ სახელმწიფოებში სიძვირის დონე რუსეთთან შედარებით 10 პროცენტით ნაკლები იყო.

როგორ შეიცვალა ეს შეფარდება 1926-27 წლისათვის? თუ მტკიცე ერთეულად ავიღებთ ცხოვრების სიძვირეს საბჭოთა კავშირში, მაშინ სხვა სახელმწიფოებში—ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჩ. ა. შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირთან შედარებით, ცხოვრება გაიაფებულია არა 10, არამედ 30 პროცენტით.

რის ხარჯზე მოხდა ეს? სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები ზემოხსენებულ სახელმწიფოებში ომამდე 1913 წელშიც გაცილებით დიდი — დაახლოებით 40 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე რუსეთში. განსხვავება სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებს შორის საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში ეხლაც არსებობს, თუმცა ის რამოდენიმედ შენელებულია. საზღ.-გარეთ ეხლა სასოფლო-სამეურნეო საქონელი ფასობს არა 40 პროცენტით, არამედ 35 პროცენტით ნაკლები, ვიდრე რუსეთში.

დიდი ცვლილება დაეტყო სამრეწველო საქონლის ფასებს. თუ ომამდე ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჩ. ა. შეერთებულ შტატებში სამრეწველო საქონლის ფასები 10 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთში, ეხლა ეს ფასები შედარებით რუსეთთან 60 პროცენტით ნაკლებია;

სწორედ ამ სამრეწველო საქონლის მნიშვნელოვანი გაიაფების და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებს შორის არსებულ განსხვავების შედარებითი შემცირების გამო,— სიძვირე რუსეთში ზემოხსენებულ სახელმწიფოებთან შედარებით ამჟამად გაცილებით მეტია, ვიდრე ომამდე იყო.

ეს გამოანგარიშება ძალიან პირობითი და დაახლოებითია, მაგრამ ამავე დროს მაჩვენებელია ისეთი გარემოების, რომელზედაც ღირს ყურადღების შეჩერება.

აქედან ისეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მივაპყროთ ჩვენი მანეთის მყიდველობით უნარიანობის გადიდებას, ჩვენი ქვეყნის ომის წინანდელ დროინდელ სიძვირის კაპიტალისტურ ქვეყნების ომის წინადროინდელ სიძვირესთან დაახლოებას. თუ ომის წინადროინდელი მან. საზღვარგარეთ ღირდა 90 კ., ხოლო ეხლანდელი საბჭოთა მან. კი ღირს 70 კაპ., სულ წელს ჩერვონეცის ღირებულება 5 პროცენტით ავსწიეთ; ეს საკმაო არ არის. ჩვენ უფრო წინ უნდა წავიდეთ და უფრო ჩქარი ტემპით. ეს ჩვენ ხელს შეგვიწყობს დავსძლიოთ ის დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ელობება ჩვენს სავაჭრო ბრუნვის განვითარებას (მე არ ვლაპარაკობ პოლიტიკურ დაბრკოლებებზე, ვლაპარაკობ ეკონომიურზე) ჩვენს სავაჭრო ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, საგარეო ვაჭრობის განვითარება ჩვენ გვესაჭიროება იმისთვის, რომ დავაჩქაროთ ჩვენი მეურნეობის განვითარება, ავსწიოთ ჩვენი მრეწველობა, ჩვენი სასოფლო მეურნეობა, გავსწიოთ წინ უფრო სწრაფი ნაბიჯით.

ეს საგრძნობლად შეგვიწყობს ხელს დავსძლიოთ ის შინაგანი შეუსაბამობანი, რომელიც გვაქვს სასოფლო - მეურნეობაში, ქალაქისა და სოფლის სავაჭრო ბრუნვაში,— სამრეწველო საქონლის ფასების შედარებით უმნიშვნელო დაცემისა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასების უცვლელობის,— სტაბილური მდგომარეობის გამო. ამას ექნება დიდი საერთაშორისო ეკონომიური მნიშვნელობა და დიდი პოლიტიკური, სამეურნეო მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის.

აქ ჩვენთვის ცხადია, თუ პირველ რიგში რა მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მხარეს, სადაც განზრახულია სამრეწველო საქონლის გასაცემი და სამომხმარებლო ფასების ინტენსიური და რაც შეიძლება, სწრაფი შემცირება. სწორედ ამ მხრით უნდა გაუთანასწორდეთ დასავლეთ ევროპას, ავსწიოთ ჩვენი წარმოება ბურჟუაზიული ქვეყნების წარმოების დონემდე. ამ გზაზე ისე, როგორც ყველა სხვა გზებზე, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავსწიოთ და გავუსწროთ კიდეც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. მე საჭიროდ მიმაჩნია შევეხო, ჩემი აზრით, ამ ცენტრალურ პრობლემას და ძირითად დაბრკოლებას ჩვენს შემდგომ საფინანსო საქმიანობაში და ბურჟუაზიულ ქვეყნებთან წესიერ ფინანსიურ ურთიერთობების დამყარებაში.

ჩვენი საკრედიტო სისტემა

გარდა ბიუჯეტისა, რომელიც ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის საშუალებათა და დაგროვილ დოვლათის უდიდეს განმანაწილებელს წარმოადგენს, ჩვენს ფინანსიურ სისტემაში ამავე განმანაწილებლის როლს თამაშობს აგრეთვე ჩვენი საკრედიტო სისტემა. თუ, ბიუჯეტის საშუალებით ჩვენს მეურნეობაში ყოველ წლიურად მილიარდი მანეთები ნაწილდება, საკრედიტო სისტემის საშუალებითაც ყოველ წლიურად ჩვენს მეურნეობაში ხდება ფრიად მნიშვნელოვანი თანხების განაწილება. რა თანხა მოხმარდა ჩვენს მეურნეობას ჩვენი საკრედიტო სისტემის საშუალებით ამ სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში".

1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ჩვენი საკრედიტო სისტემის საშუალებით ჩვენს სახალხო მეურნეობას მოხმარდა 2.800.000.000 მანეთი. ამაში შედის საკრედიტო სისტემის წინანდელი მუშაობაც. ერთი წლის შემდეგ, —მომყოლ 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის საკრედიტო სისტემამ სახალხო მეურნეობას მოახმარა უკვე 3.800.000 მანეთი, ე. ი. ერთის წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობას მოხმარდა კიდევ ერთი მილიარდი მანეთი. 1927 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის ამ თანხების ჯამი, რომელიც საკრედიტო სისტემის საშუალებით შევიდა სახალხო მეურნეობაში, განისაზღვრება 5 ნახევარ მილიარდი მანეთით, ე. ი. ამ წლის განმავლობაში მომატება უდრის მილიარდ ნახევარზე მეტს. (1.640 მილიონ მანეთს).

რას ხმარდება საკრ. სისტემის საშუალებით დაგროვებული თანხები? ისინი ხმარდება, რასაკვირველია, არა სოციალურ-საგანმანათლებლო საჭიროებას, არამედ ჩვენს მეურნეობას, პირველ რიგში, სახელმწიფო მრეწველობას, შემდეგ სასოფლო მეურნეობას, შემდეგ საბინაო და კომუნალურ მეურნეობას, კოოპერაციას და სხვა საჭიროებას. 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ჩვენს სახალხო მეურნეობისათვის საკრედიტო სისტემის დახმარებით შეგროვილ 5 მილიარდ ნახევარ მანეთიდან 2 ნახევარ მილიარდზე მეტი (2 სამი მეოთხედი მილიარდი მანეთი) მოხმარდა სახელმწიფო მრეწველობას და სახელმწიფო ვაჭრობას, 750 მილიონი მანეთი სასოფლო-მეურნეობას, 520 მილიონი მანეთი საბინაო მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობას, 450 მილ. მან. კოოპერაციას.

საიდან კრეფს საკრედიტო სისტემა ამ თანხებს, რომელიც ნაწილდება ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის? იგი ამ თანხებს ღებულობს იმავე მეურნეობიდან. წლიდან-წლამდე ანაბარების ჯამი ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებში იზრდება. სამი წლის განმავლობაში ანაბარების ჯამი 1.800 მილ. მან. 1.655 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. თუ ჩვენ ავიღებთ იმ საშუალებათა მთელ ჯამს, რომელიც საკრედიტო სისტემას მიეპოება, ჩვენ შეგვიძლია ეს საშუალებანი დაახლოებით ოთხ ნაწილად დავყოთ. საკრედიტო სისტემის საშუალებათა დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები; მეორე მეოთხედს შეადგენენ თვით საკრედიტო სისტემის საკუთარი თანხები, მესამე მეოთხედს—ემისიები და ბანკნოტები და მეოთხე მეოთხედს—მეურნეობის ანაბარები.

მე აქ შევჩერდები ამ მომენტებზე, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქმის შორეული დამოკიდებულება აქვს სახელ. ბიუჯეტთან, შევჩერდები იმ მიზნით, რომ გიჩვენოთ, რომ სახელმწ. ბიუჯეტს გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა მეტად და მეტად ძლიერი ბერკეტები ჩვენს სახალხო მეურნეობაზე ზეგავლენის მოსახდენად. აი რატომ გვმართებს ჩვენ საკმარისი ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე კრედიტის საკითხებსაც, ჩვენი საფინანსო გეგმის შესრულების, ჩვენი საფინანსო მუშაობის პროექტების შედგენის დროს.

მიმდინარე წელს სახალხო კომისართა საბჭოს კრედიტისა და საკრედიტო სისტემის საკითხებისათვის მცირე ყურადღება არ მიუქცევია. შედეგად ის მივიღეთ, რომ ჩვენი საკრედიტო სისტემის აპარატი შესამჩნევად გაუმჯობესდა, საკრედიტო ქსელი, რომელიც ჩვენი კრედიტის განვითარების პროცესში სტიქიურად ალორძინდა, შესამჩნევად შემცირდა და გამარტივდა. დაიხურა ჩვენი ბანკების 200-ზე მეტი განყოფილება და 800-ზე მეტი სააგენტო. ამით დაზოგილ იქნა მნიშვნელოვანი თანხები ჩვენს საკრედიტო სისტემაში. ამ ღონისძიებებისა და ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა გამო შესაძლებელი გახდა კრედიტის გაიაფება და საკრედიტო სისტემით მიღებულ თანხებზე სარგებლის პროცენტის შემცირება. ამას კი უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობისათვის, ჩვენი მეურნეობის პროდუქციის გაიაფებისათვის. ჩვენს პირობებში არ არის და არც უნდა იყოს ისეთი სამეურნეო ორგანიზმები, რომელნიც ფინანსიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით ფიქრობენ. ჩვენს პირობებში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის, საბაზრო მეურნეობის პირობებში კრედიტი წარმოადგენს სრულიად აუცილებელ იარაღს საქონლის ბრუნვის სფეროში, იარაღს სეზონო ნარჩენებისა და იმ დაგროვებათა გამოსაყენებლად, რომელნიც თავს იყრიან ჩვენი მეურნეობის ერთ სექტორში და საჭირონი არიან მეურნეობის მეორე სექტორის -- სეზონო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა

ნება მიბოძეთ, ცოტა უფრო ახლო მოუდგე ჩემი მოხსენების თემას,—შევეხო ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად საკითხებს. მე აღვნიშნე, რომ თქვენ წარმოდგენილი გაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტი 6.035 მილიონ მანეთის რაოდენობით. თუ შევადარებთ მათ 1924—25 წლის ბიუჯეტს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. თუ ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას სხვა ბურჟუაზიული კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტების ზრდა დაუპირდაპირებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: იმ დროს, როცა ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა, ბიუჯეტი საფრანგეთის, რომელსაც ხელშეკრულების ძალით, დამარცხებულ გერმანიიდან „გვარიანი“ შემოსავალი აქვს, გაიზარდა 50 პროცენტით.

რას ნიშნავს ეს? საჭიროა თუ არა შემდეგში ამავე გზით სვლა, ჩვენი ბიუჯეტის წარმართვა იმ გზით, რომ წლიდან წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდეს, რაც შეიძლება მეტი სახალხო შემოსავალი, იგი იზრდებოდეს გაცილებით სწრაფად, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა. საბჭოთა ბიუჯეტის ასეთი დაჭიმულობა არის თვით ცხოვრების კანონი, საბჭოთა კავშირის სამეურნეო წინმსვლელობის კანონი. საბჭოთა კავშირის ამოცანები ჩვენი ცხოვრების ახალ ნივთიერ საფუძვლებზე გარდაქმნის სფეროში ფრიად დიდია, დიდია მეტად ჩვენი საჭიროებანი. ამიტომ საჭიროა მთელი ძალების დაჭიმვა, ყველა წყაროების გამოყენება იმისათვის, რომ რაც შეიძლება სავსებით დავაკმაყოფილოთ ეს საჭიროებანი, მაგრამ როცა ჩვენ 6 მილიარდიან ბიუჯეტს ვადგენდით, შეიძლება სწორად ვერ ვიანგარიშეთ; შეიძლება, ეს ბიუჯეტი ვერ იქნეს შესრულებული, დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე და სამეურნეო გეგმათა მთელი რიგი, რომელთა განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტზე არის დამოკიდებული, ამის გამო, ჩაიფუშოს. ჩვენ აქ გვაქვს შემოწმების ორი ხერხი. პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი: ვიკითხოთ, წარსულში მოვტყუვდით თუ არა ბიუჯეტში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ავიღოთ ორი უკანასკნელი წელი. 1925—26 წელს, რომელიც ბიუჯეტის შესრულებაზე თქვენ დაწვრილებით მოხსენებას მოისმენთ, ბიუჯეტი გათვალისწინებული იყო 4.039 მილ. მან. რაოდენობით, ხოლო შესრულებული — 3.959.000.000 მანეთის რაოდენობით, ე. ი. 98 პროცენტით. ჩვენ მაშინ მხოლოდ ოდნავ შევცდით—რაღაც ორი პროცენტით. გასულ წელს ჩვენ შევადგინეთ ბიუჯეტი 5.051.000.000 მანეთის რაოდენობით. როგორც წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ, რომელნიც შემდეგში უფრო სისწორით იქნებიან გამორკვეულნი, გასულ წლის ბიუჯეტი შესრულებულია 103 პროცენტით. აქაც ჩვენ ოდნავ შევცდით, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით: ჩვენ სამი პროცენტით მეტი შემოსავალი მივიღეთ, ვიდრე მოველოდით. ამგვარად ეს ორი წელი გვიჩვენებს ჩვენი შეცდომების ფარგლებს—ორ სამ პროცენტს, ე. ი. დაახლოებით 100 მილიონ მანეთს. აი, სწორედ ეს შადგენს იმ ჯამს, რომლის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია შევცდეთ, თუ იმავ გზით ვაწარმოებთ სახელმწიფო ბიუჯეტის გამოანგარიშება, რა გზითაც აქამდე ვაწარმოებდით. ვცადოთ, ეხლა ამ ბიუჯეტის შემოწმება მეორე მხრით. ჩვენ ხელთა გვაქვს ის ფაქტი (მე არ ვიტყვი, რომ ეს ჩვენი ბედნიერება იყოს, იგი უფრო ჩვენს უბედურებას წარმოადგენს), რომ ჩვენ გვიხდება ბიუჯეტის განხილვა და მისი საბოლოოდ დამტკიცება საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ. ეს გარემოება ჩვენ საშუალებას გვაძლევს უკვე გასული პირველი ექვსი თვის მიხედვით შევამოწმოთ მისი რეალობა. ცნობებს ადგილებიდან ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევია,—მაგრამ ხუთი თვის ცნობები უკვე გვაქვს: ისინი გვაუწყებენ, რომ ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ შევაგროვებთ 2.470 მილიონი მანეთი, ე. ი. ციფრი, რომ დავამრგვალოთ ყოველ თვიურად ჩვენ ვღებულობთ— 500 მილ. მანეთს.

ვინაიდან ჩვენი მეურნეობის ზრდის პირობებში წლიწადის მეორე ნახევარი იძლევა გადასახადების დიდ შემოსავალს, ჩვენ შეგვიძლია ღრმად ვიქნეთ დარწმუნებული იმაში, რომ, თუ ადგილი არ ექნება რაიმე გრანდიოზულ-სტიქიურ უბედურებას, როგორიცაა დიდი მოუსავლიობა და სხვა არაჩვეულებრივი შემთხვევა, ყველა ცნობების მიხედვით, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შედგენილი ბიუჯეტი 6.035 მილიონი მანეთის რაოდენობით, შესრულებული იქნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტი შეიძლება შესრულებულ იქნეს თავისთავად, ეს ბიუჯეტი წარმოადგენს ყველა ჩვენი ძალების დაჭიმვის შედეგს და მისი შესრულება ისე, როგორც ყოველი საბჭოთა გეგრულება ისე, როგორც ყოველი საბჭოთა გეგმის შესრულება, მოითხოვს დიდ ენერგიას, ძალების დაჭიმვას, დიდ ყურადღებას არა მარტო ფინანსიური აპარატისა და ფინანსიური ორგანოების მხრით, არამედ მთელი საბჭოთა აპარატის, მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის მხრით. ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ბიუჯეტის შესრულების პროცესს და მცირეოდენი შეფერხების, მცირეოდენი დაბრკოლების დროს, რომელიმე ორგანოს ან პირის მიერ სახელმწიფო სალაროში კუთვნილი თანხის თავის დროზე შეუტანლობის და გადახდის ვადის გახანგრძლივების დროს უნდა ჩვენ მოვითხოვოთ იმ საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით შესრულება, რომელიც ამის შესახებ არის გამოცემული. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია საერთოდ ჩავსთვალოთ, რომ ბიუჯეტი 6.035 მილიონ მანეთის რაოდენობით, მართალია, წარმოადგენს ჩვენი ძალების დაჭიმვის შემდეგ, მართალია იგი მოითხოვს ფართო მასების, საბჭოთა საზოგადოებრივობის და საბჭოთა ორგანოების ყურადღებას, მაგრამ ამავე დროს იგი წარმოადგენს ბიუჯეტს, რომლის შესრულება შესაძლებელია.

საიდან ვაგროვებთ 6 მილიარდს?

ახლა მე მივმართავ ამ ბიუჯეტის შინაგან დახასიათებას.

საიდან ვაგროვებთ ამ ექვს მილიარდ მანეთს? რისგან შესდგება ჩვენი შემოსავალი? გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ამ მხრივ ჩვენი ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი შარშანდელ წელთან შედარებით?

ეს დიაგრამა (უჩვენებს დიაგრამას) გვიხასავს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას მისი ცალკე რუბრიკების მიხედვით. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ შემოსავლის ყველა სახე იზრდება, შესაძლებელია, იზრდება არა მთლად თანაბარის ტემპით,—ზოგი უფრო ნელა, მაგრამ მაინც შემოსავლის ყველა სახე იზრდება. წინანდელ წლებთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება სახელმწიფო სესხის შემოსავალი. რაოდენამდე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე შემოსავლის ყველა სხვა წყარო, ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი. დანარჩენის მხრივ ჩვენი ბიუჯეტი დაახლოვებით ისეთივეა, როგორც შარშანდელი ბიუჯეტი იყო.

მე ახლა შევჩერდები საშემოსავლო ბიუჯეტის ცალკე ნაწილებზე. შარშან შემოსავლემა ფრიად მკვეთრად აიწია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირი გადასახადების დარგში. წელს იგი უკვე გაცილებით ნაკლებადაა აწეული. რითი აიხსნება ეს მოვლენა? იმით, რომ შარშან ჩვენ სახალხო შემოსავლის მიმართ საგადასახადო მოთხოვნილებათა გადიდების თვალსაზრისით გადავსინჯეთ მთელი საგადასახადო სისტემა. საგრძნობლად იქნა გადიდებული საშემოსავლო და სარეწაო გადასახადის განაკვეთები, ერთი სიტყვით, ძირიან ფესვიანად გადავსინჯეთ მთელი ჩვენი საგადასახადო სისტემა.

საანგარიშო წელს კი ჩვენი საგადასახადო სისტემის ახალი საერთო გადასინჯვა არ მოგვიხდენია, და, ამგვარად, საგადასახადო შემოსავალი არ გაგვიდიდებია საგადასახადო ტვირთის გაძლიერებით. ჩვენ გვაქვს საგადასახადო შემოსავლის ნორმალური ზრდა მეურნეობის ზრდისა და ყველა სახალხო-სამეურნეო შემოსავლის რეალიზაციის მიხედვით.

ამიტომ შარშანდელ წელთან შედარებით ჩვენ ვამჩნევთ რაოდენამდე ნელის ტემპით მატებას. მაგრამ ეს ტემპი ჩვენს ბიუჯეტში საერთოდ და მთლიანად ჩვენ შეთანხმებულად მოგვაჩნია მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისა და საქონლის ბრუნვის განვითარების ტემპთან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

როგორ მიდიოდა წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმე ჩვენში?

წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, როგორც იცით, ჩვენ ჩავატარეთ ისეთნაირადვე, გადახდევინების ისეთივე მეთოდით, როგორც წინა წელიწადს. რა დაგვანახვა მან? მან დაგვანახვა, რომ საერთოდ და მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში მიმდინარე სამეურნეო წლის (სასოფლო-სამეურნეო წლის) განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნაკლებიც კი შემოვა, ვიდრე შარშან. შარშან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ავკრიფეთ 330 მილიონი მანეთი, წელს კი შემოვა სულ 320 მილიონი (მე ვიღებ სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო წელიწადს). ამ გარემოებამ გვაიძულა, რომ საკითხი დაგვესვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გათვალისწინების შესახებ და საბჭოთა კავშირის ცაკის ახლანდელ სესიაზე წარმოგვედგინა სპეციალური მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახლანდელი კანონის გადასინჯვის, შეცვლის შესახებ მომავალ სასოფლო-სამეურნეო წლიდან.

მე ვფიქრობ, როდესაც საბჭოთა კავშირს სჭირდება მთელი თავისი ძალ-ღონის გამოჩენა უაღრესად გრანდიოზული, მსოფლიო მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანების გადასაჭრელად, სრულიად სამართლიანი იქნება, მოვთხოვოთ სასოფლო მეურნეობას, რომ იმანაც, გლეხობის შემოსავლის უდავო ზრდის დროს, გაადიდოს თავისი მონაწილეობა ბიუჯეტში. დეკრეტის ის პროექტი, რომელიც თქვენ მოგეხსენებათ, ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორედ ასეთ გადიდებას. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს იმ დეფექტების გასწორებას, რომლებიც საბოლოოდ გამოაშკარავდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 2 წლის პრაქტიკის მანძილზე; იგი ითვალისწინებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ერთგვარ ხელახალ დანაწილებას ისე, რომ თვალსაჩინოდ გადიდდეს დაბეგვრის სიმძიმე სოფლის მაღალი ფენებისათვის.

ახალ პროექტში ღარიბი გლეხობისათვის სრულიად დაცულია ყველაფერი, რაც იყო და მოქმედებდა ახლანდელი დეკრეტით. ახალ პროექტში დაცულია ისიც, რაც გატარებულ იქნა საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტის თანახმად, ე. ი. საგლეხო მეურნეობათა 35 პროცენტის სრული განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. კიდევაც მეტი: ზოგიერთ სუსტ საშუალო გლეხთა ჯგუფებისათვის პროექტში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ერთგვარი შემცირება. სოფლის დანარჩენ ჯგუფებისათვის კი, მეტადრე მაღალი ფენებისათვის, პირიქით, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადიდება. საერთოდ სოფლის უფრო შეძლებულ საშუალო გლეხთა ჯგუფებისათვის ეს გადიდება შეადგენს საშუალოდ 20 პროცენტს, ხოლო სოფლის ზედა ნაწილისათვის, რომელიც ყველა საგლეხო მეურნეობათა დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს, იგი ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 50 პროცენტზე მეტი იქნება. მე მოკლედ ვეხები ამ საკითხს, ვინაიდან იგი დაწვრილებით იქნება განხილული სპეციალურ მოხსენებაში. აქ კი მე მას იმიტომ შევეხე, რომ, ბიუჯეტის და ჩვენი მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის შესახებ ლაპარაკის დროს, გამომერკვია და მომეხსენებია თქვენთვის ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც სახალ. კომისართა საბჭო არკვევდა საგადასახადო პოლიტიკის დარგში, და ის ხაზი, რომლითაც სახ. კომისართა საბჭო სცდილობდა გადაეწყვიტა და სწყვეტდა ამ საკითხებს. საერთოდ და მთლიანად წლევანდელი ბიუჯეტის გადასახადები შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით ვივარაუდეთ მათი შემოსავლის 14 პროც. გადიდებით. საერთო ბიუჯეტი ჩვენ ვადიდებთ 16 პროცენტით. გადასახადების ჯამის გადიდება ამ ბიუჯეტში რაოდენამდე ჩამორჩება ბიუჯეტის საერთო გადიდებას.

ტრანსპორტის, ფოსტა-ტელეგრაფის და მრეწველობის შემოსავალი

გადავდივარ ახლა შემოსავლის შემდეგ მუხლზე—ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალზე. მე უკვე მოვიხსენი, რომ შემოსავლის ზრდა აქ ჯერ კიდევ რაოდენადმე დაბლაა, ვიდრე რომელსამე სხვა საშემოსავლო ჯგუფში. ამ ნაწილში ჩვენ შემოსავლის მომატებას სულ 10 პროც. მოველით შარშანდელ წელთან შედარებით.

რითი აიხსნება ჩვენი სიფრთხილე ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლის ვარაუდის დროს? ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი მეურნეობის სწორედ ამ დარგში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ზედი-ზედ ანგარიშში დაგვაკლდა, ვერ შევასრულეთ საშემოსავლო მუხლები. ორი წლის განმავლობაში გზათა კომისარიატმა ვერ შეასრულა თავისი საშემოსავლო გეგმები. იგი იძულებული იყო შუა წელიწადს ხარჯთაღრიცხვის გარეშე დაემატებინა ფულის განსაზღვრული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ზოგად-საბიუჯეტო რესურსების ხარჯზე. ეს აიხსნება ჩვენი საერთო შეცდომით: ჩვენ ზედმეტად ვარაუდობდით, ზედმეტად ვანგარიშობდით ტრანსპორტის საშემოსავლო შესაძლებლობას.

ამ ორი წლის გამოცდილებამ მეტი სიფრთხილე და მეტი ზომიერება გვასწავლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტრანსპორტის შემოსავლის გადიდება, რომელსაც 10 პროც. ვარაუდობთ, რეალურია . ამას ადასტურებს ტრანსპორტის შემოსავლის გადიდება განვლილი 5 თვის განმავლობაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვადიდებთ სატარიფო განაკვეთს, მგზავრობის ფასს, ბარგისა და ტვირთის გადატანის ფასს. ჩვენ აქ ვტოვებთ იმავე განაკვეთებს, რაც წინათ იყო, და ვასწორებთ მხოლოდ ჩვენს საკუთარ შეცდომებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტრანსპორტის მუშაობა გაუარესდება, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავასწორებთ ძველ შეცდომას. ჩვენ ვვარაუდობთ ტრანსპორტის მუშაობის გადიდებას 10-ზე მეტი პროცენტით შარშანდელ წელთან შედარებით.

სახელმწიფო მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკების, ტყეების და ჩვენი მეურნეობის სხვა დარგთა შემოსავალი წელს საერთოდ და მთლიანად 13 პროცენტით იმატებს განსაკუთრებით დიდ ზრდას მოველით სახელმწიფო მრეწველობის მოგებისაგან, და ეს სრულიად ბუნებრივია.

ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის მოგების საერთო ჯამი წლითი-წლობით იზრდება იმის წყალობით, რომ მეურნეობის გაძღოლას ვსწავლობთ და ცოტ-ცოტა რამეს ვითვისებთ. თუ, მაგალითად, ხაზინაში გადაირიცხება მოგების ერთი და იგივე პროცენტი, ჩვენ, უეჭველია, წლითი-წლობით და უფრო მეტ შემოსავალს მივიღებთ სახელმწიფო მრეწველობისაგან.

რას გვაძლევს სახელმწიფო სესხი

ბოლოს, ახლანდელი ბიუჯეტის პროექტში ყველაზე მეტად გაიზარდა, შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით, სახელმწიფო სესხის შემოსავალი. აქ შარშანდელ წელთან შედარებით ნავარაუდევია შემოსავლის გადიდება 214 მილიონი მანეთით. აქ შემოსავალი დიდდება 70 პროცენტით, ჩვენი ბიუჯეტი კი, როგორც უკვე ვსთქვით, საერთოდ 16 ნახევარი პროცენტით იზრდება.

სესხის საკითხი ჩვენს ფინანსიურ სისტემაში, ჩვენს ფინანსიურ პოლიტიკაში წლით-წლობით უფრო და უფრო მეტს მნიშვნელობას იძენს.

ორმა უკანასკნელმა კამპანიამ—ინდუსტრიალიზაციის სესხისა და გლეხის მეურნეობის სესხისა (ერთი მთლად დასრულდა, მეორე უახლოეს მომავალში დასრულდება) იმდენად მიიზიდა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის და მუშათა და გლეხთა ფართო მასების ყურადღება, რომ ამ კამპანიებზე, მე მგონია, ღირს უფრო დაწვრილებით შეჩერება. სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის მოკლედ მიმოხილვის შემდეგ, მე ჩემი მოხსენების ბოლოში შევჩერდები ამ საკითხზე. ახლა კი, ვათავებ რა სახელმწიფო შემოსავლის საკითხს, აღვნიშნავ შემდეგს: თუ ბიუჯეტიდან გამოვრიცხავთ ტრანსპორტისა და ფოსტა ტელეგრაფის შემოსავალს, რომელიც, როგორც იცით, უმთავრესად საექსპლოატაციო, საერთო, საბრუნავი ხასიათის შემოსავალია (რადგან იგი აუცილებლად მოითხოვს თავის ზრდასთან ერთად ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების სათანადო ზრდასაც),— თუ ამ ხარჯებს გამოვაკლებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ 1927—28 წლის ბიუჯეტის პროექტში შარშანდელ ბიუჯეტთან შედარებით საგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა 8 პროცენტით მცირდება.

ამ წლის ბიუჯეტში არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა 1 პროცენტით იზრდება, სესხის ხვედრითი წონა—3,5 პროცენტით. ამგვარად, საგადასახადო საქმის განვითარების ერთგვარ შენელებას ბუნებრივად ანაზღაურებს არასაგადასახადო შემოსავლის ზრდა, სახელმწიფო საწარმოთა და სახელმწიფო ქონებათა შემოსავლის გადიდება და ყველაზე მეტად სესხის შემოსავლის თვალსაჩინო ზრდა. ეს არის დიდი და, ჩემის აზრით, ძირითადი დამახასიათებელი თვისებანი, რომლებიც გვიხატავენ საშემოსავლო ნაწილს ახალი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისას, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ და დაამტკიცოთ.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი

რამდენიმე სიტყვა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ. თქვენ იცით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი საბჭოთა სისტემაში წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირ გაგრძელებას, რომ საბჭოთა სისტემის დედა აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელისუფლებას ქმნის თავიდან ბოლომდე საბჭოების სახით და საბჭოების ბიუჯეტებიც თავიდან ბოლომდე არსებითად წარმოადგენს მთლიან საბჭოთა მეურნეობას.

საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი დაახლოვებით უდრის 7 ნახ. მილიარდ მანეთს. ადგილობრივი ბიუჯეტი წელს სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით უფრო ნელა იზრდება,—ეს ზრდა მხოლოდ 8,5 პროც. უდრის. მისი საერთო ჯამი აღწევს 2 მილიარდ მანეთს, ბიუჯეტების ჯამი კი უდრის არა 6,2 არა 8, არამედ დაახლოვებით 7 ნახ. მილიარდ მანეთს. ეს ხდება იმიტომ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საშუალებებს შემოსავლის სახით ღებულობს ადგილობრივი ბიუჯეტი.

თუ ვილაპარაკებთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ბიუჯეტში შემოსავლის გადასახადებიდან, სახელმწიფო წარმოებებიდან და ქონებიდან, სესხებიდან, და ბოლოს ტრანსპორტიდან და ფოსტა-ტელეგრაფიდან,—უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ჩემ მიერ დახასიათება ეკუთვნის ერთად სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებსაც. სავსებით ბუნებრივია, რომ რამდენადმე მცირდება ტრანსპორტის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, რადგან ადგილობრივ ბიუჯეტში არაა ისეთი სამეურნეო ორგანოები, როგორიცაა გზათა სახალხო კომისარიატი და რკინის გზების მთელი ქსელი, მაგრამ საერთოდ, ვიმეორებ, ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შინაგანი წყობის, სტრუქტურის დახასიათება დაახლოვებით ეთანხმება სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურასა და წყობას. ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემ თავს სრულიად არ შევჩერდე ბიუჯეტის ცალკე წყაროების ციფრებსა და დახასიათებაზე.

ჩვენი ხარჯები

გადავდივარ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის დახასიათებაზე. რა საზომით, რა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ და შევაფასოთ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი; რა ამოცანები უნდა შეასრულოს მან ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაში.

უკვე ამხ. მუსაბეკოვმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-11 წელი არსებითად წარმოადგენს გაგრძელებას და იმის დამთავრებას, რაც 1917 წლის ოქტომბერში იქნა დაწყებული. სოციალისტური გადატრიალების სიძნელე ჩვენთვის, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, მდგომარეობდა ჩვენს სიღატაკეში. ჩვენ საწარმოო ძალთა განვითარების იმ დაბალ დონეში, რომელიც დამახასიათებელი იყო ნახევრად გლეხურ, ნახევრად კაპიტალისტურ მეფურ რუსეთისათვის, არ შეიძლება სოციალიზმის ამოცანების გადაჭრა, თუ სწრაფი ნაბიჯით წინ არ წავიდა საწარმოო ძალთა განვითარება, არ გადაწყდება სოციალიზმის ამოცანები, თუ საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად არ მოხდა კულტურული რევოლიუცია, თუ მეცნიერება, ხელოვნება და ადამიანის გონების ყველა მიღწევები ფართო მშრომელთა მასების კუთვნილებად არ გადაიქცა. აი ორი ხაზი, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ილიჩის ცნება, მისი დავალება. აი ის ორი ხაზი, რომლითაც უნდა წავიდეს და განვითარდეს ოქტომბრის რევოლიუცია: 1. ხაზი ქვეყნის საწარმოო ძალების ამაღლებისა; მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. (ინდუსტრიალიზაცია არა მარტო მსხვილი მრეწველობის, არამედ მთელი მეურნეობის მთლიანად) და 2. ხაზი კულტურული რევოლიუციისა; მშრომელთა მასების კულტურული ამაღლებისა; შრომელთა მიერ მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევების შეთვისების საფუძველზე.

ამ ორი ხაზის განხორციელების თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ყოველი ჩვენი სამეურნეო გეგმა. ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის მიზნობრივი ღონისძიებები; რომელთა გატარება გათვალისწინებულია ერთი ჩვენი უდიდესი სამეურნეო გეგმით— სახელმწიფო ბიუჯეტით. ეს არის ორი ძირითადი ხაზი ოქტომბრის რევოლიუციის მიერ ნაკარნახევი. მაგრამ შემდეგ შექმნილმა ცვალებადმა ვითარებამ უკანასკნელ წელს საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა მეურნეობის, საბჭოთა კავშირის წინაშე კიდევ ერთი წარმავალი ხასიათის ამოცანა წამოაყენა. ჩვენ შევედით (ეს ყველასათვის ეჭვს გარეშეა) საერთაშორისო ურთიერთობათა კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამეურნეო და პოლიტიკურ დამოკიდებულებათა გართულების პერიოდში.

ეჭვს გარეშეა, ჩვენ ვიმყოფებით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზაობის პერიოდში და ეს გარემოება ჩვენ გვიკარნახებს მიმდინარე პერიოდისათვის წამოვაყენოთ კიდევ მესამე დამატებითი ამოცანა— ჩვენი საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ამოცანა. ამ თვალსაზრისითაც უნდა იქნეს შეფასებული სახელმწიფო ბიუჯეტა ის პროექტი, რომელიც თქვენ გაქვთ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი. მეურნეობის საჭიროება, კულტურის განვითარება, კულტურული რევოლიუციის საჭიროება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საჭიროება,—ყველა ეს საჭიროებანი მოითხოვენ ერთ რამეს: ფულს. სწორედ ამიტომ ჩვენ შევადგინეთ ჩვენ მიერ დახასიათებული, საგასავლო ნაწილში დაჭიმული ბიუჯეტი. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯების პროექტში ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ყოველივე იმაზე, რაც აუცილებელი არ არის, ყოველივე იმაზე, რაც ნაკლებ საჭიროა, დავზოგოთ, რაც შეიძლება ნაკლები; ხოლო დანარჩენი მუხლების მიმართ, რომელნიც ამ ძირითად ამოცანების განხორციელებას შეეხებიან, გავატაროთ მომჭირნეობის რეჟიმი, რაც ნაკარნახევი გვაქვს მთავრობის და კომუნისტური პარტიის მიერ.

ნება მიბოძეთ ეხლა დავახასიათო სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ცალკე ნაწილები.

ხარჯები ტრანსპორტსა და ფოსტა-ტელეგრაფზე

დავიწყებ ტრანსპორტსა და ფოსტა-ტელეგრაფიდან. გასულ წელთან შედარებით გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის მეურნეობის ბალანსმა ახალი წლის ბიუჯეტში არსებითი ცვლილება განიცადა. საგრძნობლად გადიდებულია დოტაცია ტრანსპორტისათვის. ტრანსპორტს ეხლა აღარ უყურებენ; როგორც უყურებდენ ამ რამოდენიმე წლის წინად, როგორც მეურნეობის ისეთ დარგს, რომელიც შემოსავალს უნდა აძლევდეს სახელმწიფო ბიუჯეტს. ამჟამად ტრანსპორტი ყველას მიერ ცნობილია ისეთ დარგად, რომლის განვითარება და აღდგენა ჩამორჩა მეურნეობის სხვა დარგებს; ისეთ დარგად, რომელიც საჭიროებს მნიშვნელოვან ახალ კაპიტალურ ხარჯებს. მიმდინარე წელს ტრანსპორტისათვის გათვალისწინებულია 341 მილიონი მანეთის დოტაცია. თვით ტრანსპორტის ხარჯთაღრიცხვაში ძალიან გადიდებულია თანხები ე. წ. ახალ სამუშაოებზე და ახალ მშენებლობაზე.

ჩვენი მეურნეობა უკვე მიადგა ტრანსპორტს, როგორც ყველაზე ვიწრო ადგილს. იგი უკვე ველარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც მას უყენებს ჩვენი მეურნეობა დასასრულ, ჩვენ გვჭირდება მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით, განაპირა რაიონებში ახალი გზების გაყვანა, ამ რაიონების მეურნეობის გამოცოცხლების, ამ რაიონებში მოსახლე ხალხების ეროვნული კულტურის აღორძინების, საბჭოთა კავშირთან, მის ცხოვრებასა და განვითარებასთან ამ ხალხების უფრო დაკავშირების, უფრო დაახლოების მიზნით. აქ წამოყენებულია უდიდესი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დიდძალ თანხების ჩადებას სატრანსპორტო მეურნეობაში. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ უკვე დაწყებული თურქესტან-ციმბირის გზა წინასწარი ხარჯთაღრიცხვით ჯდება თითქმის 150 მილიონი მანეთი; ჩვენ კიდევ ვშიშობთ, რომ წინასწარი ხარჯთაღრიცხვამ იქნებ მოგვატყუოს და შეიძლება ხარჯები ფაქტიურად მეტი იქნეს.

საერთოდ და მთლიანად ახალ სამუშაოების; მოძრავ შემადგენლობის; ტრანსპორტის ძირითადი კაპიტალის განაწილებისა და ახალი სარკინიგზო მშენებლობისათვის ახალი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 568 მილიონ მან. დახარჯვა გასულ წლის 318 მილიონის ნაცვლად (სამურსკი ადგილიდან: „ეს გზატკეცილებთან ერთად?“); დიახ; ამ თანხებში შედის მთელი ახალი მშენებლობა გზატკეცილებთან ერთად. ამ მხრით ჩვენ წინ გაუსწარით გასულ წლებს. აქ საჭიროა სწრაფი სვლა.

აქ დაზოგვა არ შეიძლება, პირიქით—შეიძლება ტრანსპორტზე თანხების დახარჯვის დაჩქარებაც იყოს საჭირო იმისათვის, რომ არ შეიქნეს, ტრანსპორტის არა საკმარისი განვითარების გამო, დაბრკოლებები და სიძნელენი მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მშენებლობისათვის.

კერძოთ, გზატკეცილების მშენებლობაზე შემდეგი უნდა ითქვას: უგზოობა—მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთი მტკივანი ადგილთაგანია. რას ვაკეთებთ ჩვენ ამ უგზოობის მოსასპობად? საგზაო საქმისათვის გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის—და ადგილობრივ ბიუჯეტებით ახალი საურმე გზებისა, გზატკეცილებისა და რკინის გზების გაყვანისათვის, შენახვისა; ექსპლოატაციისა და მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 90 მილიონი მანეთის დახარჯვა. გასული წლის 60 მილიონი მანეთის ნაცვლად. ამ საქმეზე გასულ წელთან შედარებით ხარჯებს ერთ ნახევარჯერ ვადიდებთ—ე. ი. საჭიროდ ვსცნობთ ამ ხარჯების უფრო მეტად გადიდებას ჩვენი ხარჯების საერთო ზრდასთან შედარებით. რასაკვირველია, ჩვენს პირობებში ეს საკმარისი არ არის; მაგრამ მეტი თანხების გაღებას ამ საქმისათვის ახალ ბიუჯეტით ვერ შევძლებთ. აღვნიშნავ იმას, რომ ჩვენს უგზოო საბჭოთა რესპუბლიკებში ახალი გზების გასაყვანად გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია მხოლოდ 5.200 ათასი მანეთი დახარჯვა. გასულ წელთან შედარებით ეს თანხა წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცენტულ გადიდებას; რადგან გასული წლის ბიუჯეტით ამავე საქმისათვის გადადებული იყო მხოლოდ 1.800 ათასი მანეთი. ე. ი. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით თანხები ამ საქმისათვის სამჯერ გავადიდეთ. მაგრამ რას წარმოადგენს ციფრი—5 მილიონი მანეთი საგზაო მშენებლობისათვის—ჩვენს უგზოო და უზარმაზარ საბჭოთა კავშირში?

აი მთავარი ხაზი ტრანსპორტის ბიუჯეტის შიგნით; ხაზი, რომლის მიხედვით თანხები გადიდებულია.

ეხლა ვიკითხოთ: როგორ ჩატარდა აქ მომჭირნეობის რეჟიმი? მე აქ მხოლოდ სამს ციფრს მოვიყვან. გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის მიერ მ. გ. ინსპექციის სახ. კომ.-თან ერთად ჩატარებულმა ადმინისტრ.-სამეურნეო ხარჯების შემცირებამ გასულ წელთან შედარებით მოგვცა მგონი 54 მილიონი მანეთის ეკონომია. რა ხაზით ჩატარდა ეს შემცირება? სხვათა შორის, იგი ჩატარებულია შტატების შემცირების ხაზით. მე მინდა ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე წელს რკინის გზ. მუშაობა გასულ წელთან შედარებით გადიდებული იქნება 10-ზე მეტ პროცენტით; და ეს მუშაობა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატმა უნდა ჩაატაროს სახ. კომ. საბჭოს მიერ დამტიკცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;—მუშა ხელის ნაკლები რაოდენობით ე. ი. შარშანდელთან შედარებით 20 ათას ნაკლებ მუშა ხელით. ამის გამო მუშა ხელის დატვირთვა გადიდებული იქნება. ეს მიღწეული იქნება მუშაობის რაციონალიზაციით, სამუშაოს უკეთესი დაგეგმვით და სხვ.

იქნებ, მომჭირნეობის რეჟიმი იწვევს მუშათა მდგომარეობის გაუარესებას ტრანსპორტზე? არა, არ იწვევს. ტრანსპორტზე მუშათა მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მიმდინარე წლისათვის ტრანსპორტზე საშუალო ხელფასი ნაანგარიშევია თვეში 78 მანეთის და 20 კაპიკის რაოდენობით; ნაცვლად შარშანდელი 69 მანეთისა; ასე რომ ჩვენ აქ საშუალოდ 6 პროც. გადიდება გვაქვს. თუ არ ვიანგარიშებთ იმ სამსახურს, რომელსაც სოციალური დაზღვევის სამმართველო უწევს მუშა-მოსამსახურეს და რომლის ღირებულება, სულ ცოტა რომ ჩავსთვალოთ, ხელფასის 10-12 პროც. შეადგენს; ტრანსპორტის მუშაკის საშუალო ხელფასი ამ ჟამად უდრის ომის წინადროინდელი ხელფასის 92 პროც.-ს; ხოლო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ჩათვლით კი ომის წინადროინდელ ხელფასს ცოტათი, დაახლოებით 5 პროც.-ით სჭარბობს.

აი რას ითვალისწინებს ჩვენ მიერ გზ. მიმ. სახ. კომისარიატისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა: თანხების გადიდებას კაპიტალური მშენებლობისათვის; ახალი საგზატკეცილო და სარკინიგზო მშენებლობის გაძლიერებას; ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას, ტრანსპორტზე მომუშავე კონტინგენტის დატვირთვას და მუშათა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას .

სწორედ ასეთივე საფუძვლებზე არის შედგენილი ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა. იქითაც ჩვენ გვაქვს დატვირთვის გადიდება, მუშათა კონტინგენტის რამდენიმეთ შემცირება—94 ათასიდან 82 ნახ. ათასამდე, თვითეული მუშა ხელზე ხელფასის რამოდენიმედ მომატება— (62 მან. 70 კაპიკიდან—67 მანეთამდე). დროის სიმცირე ნებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერდე დეტალებზე.

სახელმწიფო სამმართველო აპარატი

მე გადავდივარ ჩვენი ხარჯების მეორე მუხლზე, სახელმწიფო სამმართველო ორგანოებისათვის საჭირო ხარჯების დახასიათებაზე. აქ ყველაზე უფრო უნდა გამოჩნდეს მომჭირნეობის რეჟიმის შედეგები, თუ კი ჩვენ იგი სათანადოთ გავატარეთ.

აქ მე ავიღებ ხარჯებს სამმართველო აპარატისათვის არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის, არამედ ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით. ადგილობრივი ადმინისტრატიული სამმართველო აპარატი წარმოადგენს ცენტრალურ სახელმწიფო აპარატის პირდაპირ გაგრძელებას და ადმინისტრატ.--სამეურნეო ხარჯების შემცირება, ფასდება აქ საერთო მასშტაბით. რამდენით შემცირდა საერთოდ ხარჯები სახელმწიფო მმართველობაზე? გასული წლის ბიუჯეტთან შედარებით ეს ხარჯები 82 მილიონი მანეთით არის შემცირებული, ხოლო ტრანსპორტზე და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში გატარებულ ადმინისტ. სამეურნეო ხარჯების შემცირებასთან ერთად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით შემცირებული ადმინისტრატ.-სამეურნეო ხარჯების ჯამი უდრის დაახლოებით 140 მილიონ მანეთს.

საერთოდ და მთლიანად ადმინისტრატ. სამმართველო ხარჯები შემცირებული გვაქვს 14,3 პროც. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში შემცირების პროცენტები უფრო მეტია—14,8, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტებში ჯერ ჯერობით მიღწეულია 13,9 პროც. შემცირება.

როგორია ამჟამად ჩვენი სახელმწიფო-სამმართველო აპარატი, როგორია მისი რიცხვობრივი შემადგენლობა, ჩატარებულია თუ არა აქ შტატების შემცირება?—დიახ, შტატები შემცირებულია. საკავშირო მთავრობის აპარატი, რომლის შესანახი ხარჯები საკავშირო ბიუჯეტით არის გათვალისწინებული, მიმდინარე წელს შემცირებულა 26 ათასიდან 22 ნახ. ათას კაცამდე. რესპუბლიკების მთავრობათა აპარატები შემცირებულია 375 ათასიდან 338 ათასს კაცამდე. თვითეული მუშაკის შრომის ხელფასი კი არ შემცირებულა, პირიქით—გადიდდა კიდეც. მთელი სახელმწიფო აპარატის, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანური აპარატის მიხედვით, ახალი ბიუჯეტის გამოანგარიშებით,—მოსამსახურის საშუალო ხელფასი თვეში უდრის 67 მან. 30 კაპიკს ნაცვლად შარშანდელი 59 მან. 10 კაპიკისა. 1913 წელთან შედარებით ეს ციფრი მაინც მეტის მეტი ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, რადგან იგი ომის წინადროინდელი საშუალო ხელფასის მხოლოდ 55 პროცენტს შეადგენს. ჩვენ აქ ომის წინადროინდელი დონე სანიმუშო მაგალითად არ გამოგვადგება, ჩვენ ამოცანად არ ვისახავთ დავაწესოთ ერთგვარი კასტიური ჯილდო -ხელფასი სახელმწიფო მოხელეებისათვის იმ მუშებთან შედარებით, რომელნიც კერძო კაპიტალისტთან მუშაობენ,—როგორც ეს ომამდე იყო, მაგრამ განსხვავება მოსამსახურის დღევანდელ ხელფასსა და ომის წინადროინდელ ხელფასს შორის არა ნორმალურია. თუ ომამდე სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურის ჯამაგირი 65 მანეთს შეადგენდა, ეხლანდელი ჯამაგირი 67 მანეთის რაოდენობით (საბჭოთა კურსით), რასაკვირველია, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. (ხმა ადგილებიდან: „მუშების ჯამაგირი უფრო ნაკლებია“). აკი მოგახსენეთ, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში ამოცანად არ ვისახავთ გავატაროთ რაიმე განსხვავება და შევქმნათ, მუშებთან შედარებით, უკეთესი ჯამაგირით უზრუნველყოფილი საბჭოთა მოსამსახურეების კასტა,—ასეთი ამოცანის დასახვა პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის ყველა პრინციპებს—მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ხაზი გაუსვათ, რომ საჭიროა ზრუნვა არა მარტო მუშების, არამედ მოსამსახურეების ხელფასის გასადიდებლად, რადგან დღეს იგი საკმაო არ არის.

ნება მიბოძეთ. ეხლა გადავიდე სხვა ხარჯების დახასიათებაზე. მე არ მომყავს აბსოლიუტური ციფრები, რადგან ისინი მოთავსებულია იმ დოკუმენტებში, რომელნიც თქვენ დაგირიგდათ. მე ვიძლევი მხოლოდ იმ ხაზების საერთო დახასიათებას, რომელთა მიხედვით ჩვენ ვცდილობთ ავაგოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება

გადავდივარ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატის ხარჯებზე. აქ ხარჯების საერთო ჯამი გასულ წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტში გადიდებულია დაახლოებით 108 მილიონი მანეთით. მე მომყავს შარშანდელი ციფრი არა შესრულების, არამედ ნავარაუდევის მიხედვით, რადგან ბიუჯეტის შესრულებაზე ჯერ ჯერობით საერთო ცნობები არ მოგვეპოვება.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო ჩვენ იძულებული ვხდებით საგრძნობლად გავადიდოთ თავდაცვისათვის საჭირო ხარჯები და ამას ჩვენ ჩავდივართ აშკარად, დაუფარავად. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ფართო მასებს და მთელი ქვეყნის გასაგონად ჩვენ გულახდილად ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვემზადებით თავდაცვისათვის, რომ მტერს ჩვენ ცარიელი ხელებით არ შევხვდებით. ჩვენ თავდაცვისათვის ვემზადებით ისე, რომ ერთი კაცითაც არ ვადიდებთ ჩვენს წითელ არმიას. ვემზადებით იმ მხრით, რომ ვაუმჯობესებთ წითელ არმიის მდგომარეობას, ვაძლევთ მას საშუალებას შეისწავლოს სამხედრო ხელოვნება და აღჭურვის საბჭოთა კავშირის დაცვის უნარით. ამ გზით ჩვენ ვქმნით სამხედრო კადრებს იმ მიზნით, რომ, თუ ადგილი ექნა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, ამ კადრების ხელმძღვანელობით მოვიგერიოთ თავზე დამსხმელის იერიშები. (ტაში).

პირველი შეხედვით, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარიატის ხარჯები თი-

---

(ამხ. სტალინის მოხსენების დასასრული)

უნახავს მაღარო და არ უნდა ჩავიდეს მაღაროში, ახალგაზრდა სპეცი, რომელსაც არ უნახავს ქარხანა და არ უნდა ხელი გაისვაროს ქარხანაში—ასეთი სპეცი ვერასოდეს ვერ დასძლევს იმ ძველ სპეციალისტებს, რომლებიც გამობრძმედილი არიან პრაქტიკულ გამოცდილებაში, მაგრამ მტრულად უყურებენ, ჩვენს საქმეს. ამიტომ ადვილათ აიხსნება ის გარემოება, რომ არა მარტო ჩვენი სამეურნეო მუშაკნი, არამედ თვით მუშებიც ხშირად მტრულად ხვდებიან ასეთ ახალგაზრდა სპეციალისტებს. მაგრამ იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს ასეთ დამოკიდებულებას ახალგაზრდა სპეცებისადმი, საჭიროა მათი სწავლება იმნაირად, რომ უმაღლეს სასწავლებლებში პირველ წლებიდანვე ახალგაზრდა სპეცებს უშუალო კავშირი ექნეთ წარმოებასთან, ფაბრიკასთან, მაღაროსთან და სხვ.

მესამე დასკვნა ეხება მუშათა ფართე მასების ჩაბმას მრეწველობის მმართვა-გამგეობის საქმეში. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ შახტის მასალების მიხედვით.—მეტად ცუდი. უაღრესად ცუდი, ამხანაგებო. დამტკიცებულია, რომ შრომის კანონთა კოდექსი ირღვევა, 6 საათის სამუშაო დღე მიწის ქვეშ ყოველთვის არ სრულდება, შრომის დაცვის პირობები ფეხქვეშ ითელება. მუშები კი ითმენენ. პროფკავშირები სდუმან. პარტორგანიზაციები არ იღებენ ზომებს ყოველივე ამის მოსასპობათ. ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად იყო დონბასში, ჩავიდა იქ მაღაროში და ესაუბრა მემაღაროებს მუშაობის პირობების შესახებ. საინტერესოა ის, რომ არც ერთმა მუშამ არ დაინახა საჭიროთ გამოეთქვა უკმაყოფილება პირობების გამო. როგორ ცხოვრობთ ამხანაგებო?“—ეკითხება ეს ამხანაგი. „არა უშავს, ამხანაგო?“ ვცხოვრობთ გვარიანათ“, უპასუხებენ მას მემაღაროები“.—„მე მივდივარ მოსკოვში, მითხარით რა უნდა გადავსცე ცენტრს?“—ეკითხება ის. —„უთხარით იქ, რომ ჩვენ გვარიანათ ვცხოვრობთ“— უპასუხებენ მუშები.—„ამხანაგებო, მე უცხოელი არა ვარ, მე რუსი ვარ და მოვედი აქ იმისათვის, რომ გავიგო თქვენგან სიმართლე“—ეუბნება მათ ამხანაგი.—„ჩვენთვის სულ ერთია, ამხანაგო, ჩვენ სიმართლეს ვეუბნებით უცხოელებსაც და ჩვენებსაც“—უპასუხებენ მას მაღაროს მუშები. აი ჩვენი მაღაროს მუშების ფიზიონომია. ეს უბრალო მუშები კი არა—გმირებია. სწორედ ამაში მდგომარეობს იმ მორალური კაპიტალის სიმდიდრე, რომელიც დაგროვილია მუშების გულში, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ამ დაუფასებელ მორალურ კაპიტალს ვხარჯავთ ასე ულმერთოდ და ბოროტათ, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის უდიდეს მონაპოვართა უვარგისი მემკვიდრეები. მაგრამ, ამხანაგებო, ძველ მორალურ კაპიტალზე დაყრდნობა და მისი ასე უთავბოლოთ ფლანგვა დიდ ხანს აღარ შეიძლება. დროა, დიდი ხანია ბოლო მოეღოს ამას.

დაბოლოოს, მეოთხე დასკვნა, რომელიც შეეხება შესრულების შემოწმების საკითხს. შახტის საქმემ გვაჩვენა, რომ შესრულების შემოწმების საქმე მეტად ცუდადაა დაყენებული მართველობის ყველა დარგებში, როგორც პარტიულ, ისე მრეწველობისა და პროფკავშირის დარგებში. იწერება რეზოლიუციები, იგზავნება დირექტივები, მაგრამ არავის არ სურს იზრუნოს იმაზე, რომ შეეკითხოს თავის თავს: როგორ სრულდება ეს რეზოლიუციები და დირექტივები, სრულდება ისინი სინამდვილეში, თუ უყურადღებოდ რჩება? ილიჩი ამბობდა, რომ ერთ-ერთ სერიოზულ საკითხს ქვეყნის მართვა - გამგეობის საქმეში წარმოადგენს საკითხი შესრულების შემოწმების შესახებ. მაგრამ სწორედ ამ დარგშია საქმე ძალიან ცუდათ. ხელმძღვანელობის გაწევა არ ნიშნავს რეზოლიუციების წერასა და დირექტივების დაგზავნას. ხელმძღვანელობის გაწევა ნიშნავს დირექტივების შესრულების შემოწმებას და არა მარტო დირექტივების შესრულების შემოწმებას, არამედ თვით დირექტივებისა ,მათი სისწორისა ან შეცდომების შემოწმებას. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველა ჩვენი დირექტივები სწორია მთელი ასი პროცენტით. ეს ასე არაა და არც შეიძლება ასე იყოს. ამხანაგებო. შესრულების შემოწმება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მუშაკები პრაქტიკული გამოცდილების ქარცეცხლში ატარებდნენ არა მარტო ჩვენი დირექტივების შესრულებას, არამედ თვით დირექტივების სისწორესაც. ამიტომ ნაკლი ამ დარგში ნიშნავს ნაკლს მთელ ჩვენ ხელმძღვანელობაში.

ავიღოთ, მაგალითად, შესრულების შემოწმება წმინდა პარტიული ხაზით. ჩვენ ჩვეულებრივად ვიწვევთ ოლქკომებისა და გუბკომების მდივნებს ცეკაში მოხსენების გასაკეთებლად. ამოწმებენ რა დირექტივების შესრულებას, მომხსენებლები ამათრახებენ თავის თავს როცა ისინი აღიარებენ შეცდომებს თავის მუშაობაში. ცეკა ამტყუნებს მათ და გამოაქვს ტრაფარეტული რეზოლიუცია, რომელშიაც მიუთითებს გააღრმავონ და გააფართოვონ მუშაობა, ყურადღება მიაქციონ ამას და ამას და სხვ. მდივნები ბრუნდებიან ამ რეზოლიუციებით ადგილებზე. შემდეგ ჩვენ მათ კვლავ ვიწვევთ და ისევ იგივე გაღრმავება, გაფართოვება და სხვ. მე არ ვამბობ, რომ მთელი ეს მუშაობა უსარგებლო იყოს. არა, ამხანაგებო, ამ საქმეს აქვს თავისი კარგი მხარეები ორგანიზაციების აღზრდისა და გამოფხიზლების თვალსაზრისით. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ შესრულების შემოწმების ეს მეთოდი უკვე აღარ კმარა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მეთოდს სჭირდება სხვა მეთოდის დამატება, სახელდობრ ჩვენი პარტიულ - საბჭოთა უმაღლეს ორგანოს წევრების ადგილებზე სამუშაოდ გაგზავნის მეთოდის დამატება.

(ხმა: „ეს კარგი საქმეა“!). მე ვლაპარაკობ ჩვენი ხელმძღვანელ ამხანაგების გაგზავნაზე ადგილობრივ დროებით სამუშაოდ, მაგრამ არა როგორც მბრძანებლების, არამედ როგორც ჩვეულებრივი მუშაკების გაგზავნაზე, რომლებიც ადგილობრივ ორგანიზაციების განკარგულებაში იქნებიან. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეს აქვს დიდი მომავალი და მას შეუძლია შესრულების შემოწმების გაუმჯობესება, თუ მას პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ. თუ ცეკას წევრები, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტების პრეზიდიუმების წევრები სისტემატიურად გაემგზავრებიან ადგილებზე იმ მიზნით, რომ გაეცნონ მუშაობას და შეისწავლონ ყველა სიძნელეები, ყველა მინუსები და პლიუსები, — მაშინ გარწმუნებთ, რომ ეს იქნება შესრულების ყველაზე ნამდვილი და ყველაზე უფრო ნაყოფიერი შემოწმება. ეს იქნება საუკეთესო საშუალება, რომელიც გაამდიდრებს ჩვენი პატივცემული ხელმძღვანელების გამოცდილებას. და თუ ეს შევა სისტემაში, — ხოლო ეს აუცილებლად უნდა შევიდეს სისტემაში, — მაშინ გარწმუნებთ, რომ კანონები, რომლებსაც ჩვენ აქ ვწერთ და დირექტივები, რომლებსაც ჩვენ ვადგენთ, — გაცილებით უფრო ცხოველმყოფელი და სწორი იქნება, ვიდრე ამას აქვს ადგილი ამჟამად. ასეთია მდგომარეობა, ამხანაგებო შახტის საკითხში.

საერთო დასკვნა

ჩვენ გვყავს შინაური მტრები. ჩვენ გვყავს გარეშე მტრებიც. ეს ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენ ამხანაგებო. ჩვენ გვქონდა დამზადების კრიზისი, რომელიც უკვე დაძლეულია. დამზადების კრიზისი, ნეპის პირობებში, მოასწავებდა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების პირველ სერიოზულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ გვაქვს შახტის საქმე, რომლის ლიკვიდაციაც უკვე ხდება და რომლის ლიკვიდაცია აუცილებლად მოხდება. შახტის საქმე მოასწავებს საერთაშორისო კაპიტალისა და ჩვენს ქვეყანაში მყოფ მისი აგენტების ახალ სერიოზულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს არის ეკონომიური ინტერვენცია ჩვენს შინაურ საქმეებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი გამოსვლები, როგორც შინაურ, ისე საგარეო ხაზით, ალბად, განმეორდება. ჩვენი ამოცანაა — გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფხიზლე. და თუ ჩვენ, ამხანაგებო, ფხიზლად ვიქნებით, მაშინ უეჭველად დავამარცხებთ ჩვენს მტრებს შემდეგშიაც, ისე როგორც ვამარცხებთ ამჟამად და ვამარცხებდით წინად“. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ული ბიბლიოთეკა

თქოს საგრძნობლად გადიდებული. მიუხედავად ამისა, ამ კომისარიატის ხარჯების ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტში არ იზრდება, პირიქით,—უკანასკნელ წლებში ამ ხარჯების შემცირების ტენდენციაც კი დაეტყო. მაგ. 1923—24 წლით ბიუჯეტში სამხედ. და საზღ. კომისარიატის ხარჯები შეადგენდა მთელი ბიუჯეტის—16,3 პროც., 1924—25 წელს—იგი უდრიდა უკვე 14 პროც., 1925—26 წლისათვის დარჩა იგივე პროცენტი—14; ხოლო 1926—27 წლისათვის იგი დაყვანილ იქნა 12,6 პროცენტამდე. ამავე პროცენტს უდრის სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ხარჯები ახალი ბიუჯეტის პროექტში.

ჩვენ ამ საქმისათვის დამატებით ხარჯების გაწევით არ ვტვირთავთ ჩვენს სახალხო მეურნეობას, ჩვენ ვტოვებთ თავდაცვისათვის საჭირო ხარჯების მხოლოდ წინანდელ ხვედრით წონას: იმის დამიხედავად, თუ როგორ მატულობს ჩვენი სამეურნეო შესაძლებლობანი, ჩვენი ეკონომიური ძალები ჩვენზე თავდასხმის სურვილიც ძლიერდება, და ამიტომ ჩვენ გვჭირდება უკეთესი დარაჯი.

სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში. ჩვენი მეზობლების ბიუჯეტებში სამხედრო ხარჯები გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზ. ქვეყნების მუშები და გლეხები და ბურჟუაზ. სახელმწიფოების მეურნეობანი ომის ღმერთს ხარკს უხდიან არა მარტო პირდაპირი სამხედრო გადასახადებით, არამედ წინანდელ სამხედრო სესხებისათვის სხვადასხვა პროცენტული ანარიცხების გაღების საშუალებითაც. თუ სამხედ. ძალებისათვის გაღებულ პირდაპირ ხარჯებს მივუმატებთ ხარჯებს წინად აღებულ სამხედრო სესხის პროცენტების გადასახდელად,— მივიღებთ შემდეგ სურათს: მაშინ, როცა 1927—28 წლის ბიუჯეტით ჩვენი სამხედრო ხარჯები 12,3 პროცენტით განისაზღვრება, რუმინეთში სამხედრო ხარჯები შეადგენენ მთელი ბიუჯეტის 40 პროცენტს, პოლონეთში— 41 პროც., საფრანგეთში— 47 პროც., იტალიაში — 51 პროც., ჩ. ა. შეერთებულ შტატებში—56,5 პროც., ხოლო ინგლისში მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 62 % იხარჯება სამხედრო ძალების შესანახად და წინანდელი სამხედრო ვალების პროცენტების გადასახდელად. (ხმა ადგილიდან: „გაანგარიშების მეთოდი?)

ვიმეორებ, რომ ვიღებ სამხედრო ხარჯების ხვედრით წონას სახელმწიფო ბიუჯეტის შიგნით. მე არ მინდა თვალები დავხუჭო და არ დავინახო, რომ საბჭოთა ბიუჯეტი და დიდი ბრიტანეთის სამეფო მთავრობის ბიუჯეტი თავის ბუნებით სხვადასხვა სტრუქტურის ბიუჯეტები არიან: საბჭოთა ბიუჯეტში გაცილებით უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი სახალხო მეურნეობას, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ადმინისტრატიულ- პოლიციურ და სამხედრო ბიუჯეტში. სრული დაპირდაპირება აქ ცხადად შეუძლებელია, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმაზე, თუ რამდენ ხარკს უხდის ომის ღმერთს—მოლოხს ამ ბიუჯეტის მიხედვით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა და რამდენს ბურჟუაზიულ კაპიტალისტური სახელმწიფოების მეურნეობანი ამ თვალსაზრისით მოყვანილი ციფრები, ეჭვს გარეშეა, დამახასიათებელია.

კულტურული რევოლიუციის გზით

მე გადავდივარ ეხლა სოციალურ- კულტურულ ხარჯების დახასიათებაზე. აქ უსათუოდ ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში, არ შეგვიძლია სახელმწიფო ბიუჯეტისაგან გავაცალკევოთ ადგილობრივი ბიუჯეტები. სოციალური- კულტურული ხარჯები, სოციალურ -კულტურული მუშაობა საბჭ. კავშირში დაკავშირებული და დაახლოვებულია,და არ შეიძლება დაახლოვებული არ იყოს ადგილებთან. ფართო მშრომელთა მასების კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, საბჭოთა კავშირის ეროვნულ თავისებურებათა, მრავალფეროვან ეროვნულ კულტურების არსებობის პირობებში მოსახლეობის კულტურულ საჭიროებათა ფართოდ დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ მუშაობის მთელი სიმძიმე დაკისრებული აქვს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს. ამით აიხსნება ის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებს თავის საგასავლო ნაწილის მიხედვით,—წლიდან-წლამდე ემჩნევათ, თუ ასე შეიძლება ითქვას,—კულტურულ-სოციალური განხრა. აი რატომ არის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ- კულტურულ საჭიროებისათვის გათვალისწინებულია 531 მილიონი მანეთი, ნაცვლად შარშანდელი 490 მილიონ მანეთისა,ე. ი. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით ჩვენ გვაქვს სოციალურ-კულტურული ხარჯების ზრდა 19 პროცენტით,—ზრდა, რომელიც წინ უსწრებს მთელი ბიუჯეტის საერთო ზრდას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ამ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, რომ კულტურული რევოლიუციის ამოცანებს ჩვენს ბიუჯეტში უფრო მეტ ადგილს ვუთმობთ, უფრო მაღლა ვაყენებთ—ვიდრე მთელი სახელმწიფოს საერთო საჭიროებებს.

ამავე საქმეზე ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებულია 813 მილიონი მანეთის დახარჯვა,—ნაცვლად შარშანდელი 666 მილიონი მანეთისა, ე. ი. გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 147 მილიონი მანეთით, ანუ 22 პროცენტით. აქ განხრა სოციალურ- კულტურული საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ კიდევ უფრო გაძლიერებულია. ერთად აღებულ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში გვაქვს სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ხარჯების ზრდა—238 მილიონი მანეთის რაოდენობით და ასიგნობათა საერთო ჯამი 1.394 მილიონი მანეთის რაოდენობით. სოციალურ-კულტურული ხარჯების საერთო ზრდა—კი უდრის—20,6 პროც.

ამხანაგებო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში მთლიანად არ შედის ის სოციალურ-კულტურული მუშაობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს. ამ საბიუჯეტო ხარჯების გარდა, ამავე კულტურულ- სოციალურ მიზნებს ხმარდება, სოციალური დაზღვევის ფონდი, რომელიც მიმდინარე წელს უკვე მილიარდ მანეთს აღწევს. მუშაობაზე კლუბთ კლ კლ კლკლუბთრეტშ კულტურულ - საგანმანათლებლო ხასიათის მუშაობაზე იხარჯება პროფესიონალური კავშირების ფონდებიც.

ამგვარად, ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიმდინარე წელს სოციალურ კულტურულ ხარჯების საერთო ჯამი საბჭოთა-პროფესიონალური ხაზით ორ მილიარდ მანეთს აღწევს. ჩვენ დავინახავთ, რომ ამ მხრით სოციალურ-კულტურულ ხარჯებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ადგილობრივმა ბიუჯეტებმა. მე ვთქვი, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდა წელს მცირეა,—იგი 8,5 პროც. თუ აღვნიშნავთ;მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტები სოციალურ-კულტურულ ხარჯებს 22 პროცენტით ადიდებენ. აშკარაა, ამ ხარჯების გადიდება შესაძლებელი ხდება იმ ანარიცხების საშუალებით, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტები სახელმწიფო გადასახადებიდან ღებულობენ. ამ ანარიცხების ჯამი, ადგილობრივი ბიუჯეტის დასახმარებლად სახელმწიფოს საგადასახადო და არასაგადასახადო წყაროებიდან გაღებულ თანხების ჯამი მიმდინარე წლისათვის 485 მილიონი მანეთიდან 580 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 95 მილიონი მანეთით არის გადიდებული, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტის მხრით დახმარების ასეთი გადიდების გამო ადგილობრივმა ბიუჯეტებმა შესძლეს იმ 147 მილიონი მანეთის დამატებით გაღება, რომელზედაც მე უკვე ეხლახან მოგახსენეთ.

ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ანარიცხები ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის გასაძლიერებლად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ასიგნობანი სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის. და თუ ჩვენ ასე განვიხილავთ ადგილობრივ ბიუჯეტებისათვის გაღებულ ანარიცხებს, დავინახავთ, რომ მარტო სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურულ მიზნებისათვის გათვალისწინებულია 1.150 მილიონ მანეთზე მეტი, აქედან 580 მილიონი მანეთი გადებულია პირდაპირი დანიშნულებისათვის,ხოლო 580 მილიონი მ. ანარიცხების სახით ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის, რომლებიც ამ ანარიცხებს ახმარებენ სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ფინანსები სახალხო მეურნეობისათვის

ეხლა გადავდივარ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის უკანასკნელი, და შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის—სახალხო მეურნეობაზე გადადებულ თანხების დახასიათებაზე. ხარჯები სახალხო მეურნეობისათვის ახალი სახელმწიფო ბიუჯეტით ნავარაუდევია 1.870 მილიონ. მან. რაოდენობით, ე. ი. 350 მილიონით, ანუ 34 პროცენტით აღემატება შარშანდელ თანხას. მოგაგონებთ, რომ ბიუჯეტის საერთო ზრდა უდრის 16 პროცენტს, ხოლო სახალხო მეურნეობის ხარჯების ზრდა ბიუჯეტით გადადებული თანხების მიხედვით უდრის 34 პროცენტს. ჩვენ უმთავრესი ყურადღება მივაქციეთ ამ ხაზს, ამ ბერკეტს იმიტომ, რომ საწარმოო ძალთა ზრდაში, ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საფუძველს და შემდეგში წინსვლა-განვითარების საწინდარს. საერთო (სახელმწიფო და ადგილობრივ) ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის ხარჯების საერთო თანხა უდრის 2,092 მილიონ მანეთს. მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივ ბიუჯეტს, ძალიან ბევრია საბრუნავი ხარჯები. ამაში შედის უმთავრესად რიგის ხარჯი შემოსავლიდან ჩვენი კომუნალური წარმოებებიდან, რომელიც არ შეიძლება იქნეს დახასიათებული როგორც ახალი კაპიტალური ხარჯები. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილში, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, განსაზღვრულია 1.870 მილიონი მან. რაოდენობით, ჩვენ თითქმის სავსებით და მთლიანად საქმე გვაქვს ახალ კაპიტალურ ხარჯებთან მეურნეობის დარგებში. ეს თანხა თანასწორად არ არის განაწილებული მრეწველობის, ელექტროფიკაციის, სასოფლო მეურნეობის, საბინაო მშენებლობის, და სხვათა შორის, თუ ჩვენ გადავხედავთ სახალხო მეურნეობის ამ ცალკე დარგებს და შევადარებთ მათ წარსულ წელს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ სახელმწიფომ რას მიაქცია მეტი ყურადღება. შარშანდელთან შედარებით ყველაზე უფრო მეტად იქნა გადიდებული ხარჯები საბინაო და კომუნალ. მშენებლობისათვის.ამ ხარჯების გადიდება გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის (რომელმაც მანიფესტი დაამტკიცა) პირდაპირი დირექტივის და განკარგულების შესრულების მიზნით. შემდეგ, შედარებით დიდი თანხები გადავსდეთ იმ ღონისძიებათათვის, რომელთა დანიშნულება ჩვენი ვაჭრობის განვითარებაა.

ეს დაკავშირებულია ჩვენი ექსპორტის განვითარებასთან, მაცივარების, საექსპორტო საქონლისათვის საწყობების, ელევატორების აგებასთან, ექსპორტის ცალკე დარგებისათვის პრემიების მიცემასთან, ექსპორტის, რომელიც ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა განვავითაროთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა, რომ განვავითაროთ ჩვენი ვაჭრობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. დაბოლოს, შედარებით დიდი თანხები იქნა გადადებული ელექტროფიკაციის დარგშიაც. ასიგნობები ამ დარგში ჩვენ გავადიდეთ 43 პროცენტის რაოდენობით, მრეწველობის დარგში—84 პროცენტით. ასიგნობების ზრდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, რომლებსაც ფინანსებს ვაწვდით სახელმწიფო ბიუჯეტიდან, წარსულ წელთან შედარებით რამდენადმე მეტია, ვიდრე ეს ციფრები.

მე დაწვრილებით არ შევჩერდები სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის გადადებულ თანხების ანალიზზე, მე დავახასიათებ მხოლოდ მათ საერთო მნიშვნელობას.

ჩვენი ხარჯები სასოფლო მეურნეობაში სასოფლო-მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების ფონდით განისაზღვრება 170 მილიონი მან. რაოდენობით, ამავე დროს ჩვენი წლიური ხარჯები სასოფლო მეურნეობაში არა მარტო ბიუჯეტის ხაზით, არამედ საკრედიტო სისტემის, სასოფლო-სამეურნეო ბანკების და საკრედიტო ამხანაგობათა ხაზით, საბჭოთა მთავრობის შემუშავებული გეგმებით განისაზღვრება 850 მილიონი მან. რაოდენობით.

ამგვარად, სასოფლო მეურნეობისათვის გადადებული თანხები თითქმის ორ ნაწილად იყოფა ბიუჯეტისა და კრედიტს შორის: ერთი ნახევარი იხარჯება ბიუჯეტიდან, მეორე კრედიტიდან. გარდა ამისა, საგრძნობლად დიდი თანხა, ვიდრე ყველაფერი ეს ერთად აღებული, იხარჯება სოფლის სახალხო მეურნეობათა მხრით საკუთარ წყაროებიდან თავის ცალკე მეურნეობათა შიგნით.

ელექტროფიკაციისათვის ბიუჯეტით გადადებულია 135 მილიონი მანეთი. ხოლო კაპიტალური მშენებლობის საერთო გეგმა ელექტროსადგურების აგების დარგში სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს მიერ შედგენილია 280 მილიონი მან. რაოდენობით. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ასიგნობები აქაც შეადგენს ნახევარს მთელი იმ თანხისა, რომელიც საერთოდ იხარჯება სახელმწიფო ელექტრო მეურნეობაზე.

ასიგნობები მრეწველობისათვის ჩვენი ბიუჯეტით განსაზღვრულია 586 მილიონი მან. კაპიტალური მშენებლობის გეგმა, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს წარდგენით, განისაზღვრება 1,200 მილიონი მან. რაოდენობით. ამგვარად ჩვენ აქაც ვხედავთ, რომ ხარჯების ნახევარი ახალი კაპიტალური მშენებლობისათვის იხარჯება ბიუჯეტიდან. რამდენადმე მეტ თანხას ამ რაოდენობიდან მრეწველობა ახალი კაპიტალური ხარჯებისათვის იღებს სხვა წყაროებიდან: საკუთარი დანაგროვიდან, საკრედიტო სისტემიდან და სხ.

აი ის სამი დაპირდაპირება, რომელთა აღნიშვნას აუცილებლად ვსცნობ იმისათვის, რომ დავახასიათო ის მართლაც უდიდესი როლი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი თამაშობს ჩვენი მეურნეობის გაძლიერების საქმეში, ამ მეურნეობაში ახალი თანხების დაბანდების, ახალი კაპიტალების დაბანდების საქმეში, ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე მისი გარდაქმნის საქმეში. საბიუჯეტო კომისია, რომლის მოხსენებასაც მოისმენთ ჩემი მოხსენების შემდეგ, შემოიტანს წინადადებას, რომ კიდევ იქნას გადიდებული ასიგნობები სახალხო მეურნეობისათვის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის საჭიროებისათვის და ნაწილობრივ სააღმშენებლო მრეწველობის საჭიროებისათვის. საბიუჯეტო კომისია ფიქრობს, რომ გვაქვს საშუალებანი და უნდა გავადიდოთ ასიგნობების ის რაოდენობა, რომელიც მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. სახალხო კომისართა საბჭოს არაფერი აქვს ამ გადიდების საწინააღმდეგო, მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ უკვე სახალხო კომისართა საბჭოს პროექტში მრეწველობისათვის გადადებული მთელი თანხიდან 70 პროც. გადადებული იყო მძიმე ინდუსტრიის საჭიროებისათვის, ლითონის, სათბობის, ქვა-ნახშირის, ნავთის, ქიმიის საჭიროებისათვის. ამით მთელ ჩვენს მრეწველობას, მთელ ჩვენს მეურნეობას უფრო ნამდვილ, მტკიცე და ფართო ბაზას. ამ ბაზის გარეშე, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევძლებთ ჩვენი მრეწველობის განვითარებას იმ რაოდენობით, როგორიც საჭიროა ჩვენთვის მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის უდიდეს ამოცანების მიხედვით.

მე კიდევ ერთ მომენტზე შევჩერდები სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილში. მე უკვე ვთქვი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში არის დაძაბული ბიუჯეტი, რომ ბიუჯეტის შესრულების გამოცდილება წარსულ წელში მოწმობს, რომ შესაძლო შეცდომები 2—3 პროცენტით, ასეული მილიონების რაოდენობით. და ნაწილობრივ გარანტიისათვის ამ შეცდომათაგან და შემთხვევით მოვლენათაგან, სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილში გათვალისწინებულია ორნაირი რეზერვი: 50 მილიონი თავისუფალი რეზერვი და 22 მილიონი ნატურალური პურის რეზერვი. ეს 72 მილიონი არის ჩვენი მომავალი მუშაობის არა მარტო რეზერვი, არამედ ნაწილობრივ ჩვენი დაზღვევა, გარანტია იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებულ არ იქნა 1—1,5ახ. პროცენტის რაოდენობით. ეს რეზერვი ცოტაა, მაგრამ მეტის გადადება ვერ მოხერხდა.

როგორ იხარჯება სახელმწიფო საშუალებანი

თუ ავიღებთ ბიუჯეტის საერთო თანხას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ერთად აღებულ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში უახლოვდება 7,5 მილიარდ მანეთს, აღმოჩნდება, რომ 2 მილიარდზე მეტი მოდის ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯებზე. მაგრამ ეს,—როგორც უკვე ვთქვი,—საბრუნავი ხარჯებია. აქ ძალიან შეზღუდულია ჩვენი შესაძლებლობანი თანხების მანევრებისა, ხელმძღვანელ განაწილებისა. აქ, ამ დარგში ჩვენ კი არ ვართ თანხების ბატონ-პატრონი, არამედ თვითონ მეურნეობა. უწევს რა ამა თუ იმ სამსახურს სახალხო მეურნეობას, ტრანსპორტი და ფოსტა-ტელეგრაფი, ამ სამსახურისათვის აუცილებლად ხარჯავს თავის საკუთარი თანხების ნაწილსაც. თუ ჩვენი ხარჯების საერთო თანხიდან გამოვკლებთ ხარჯებს ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფისათვის და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების მთელი გასავლის თანხას (ტრანსპორტისა და ფ.-ტელეგრაფის ხარჯების გარდა) მივიღებთ 100 პროც., მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ბიუჯეტის გადადებული მანეთის ყოველი 100 კაპეიკიდან სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის ვხარჯავთ 38,5 კაპ., კულტურულ-სოციალურ საჭიროებისათვის—26 კაპ., თავდაცვის, სამხედრო უწყების საჭიროებისათვის—12 კაპ. მართველობის ხარჯებისათვის 9,5 კაპეიკს და ყველა დანარჩენი ხარჯებისათვის (სესხების პროცენტები და სხ.) 14 კაპ.

აი, როგორ არის აგებული ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი. აი როგორ ვხარჯავთ სახელმწიფო ხაზინას, საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში შეგროვილ თანხებს. მთელი შეგროვილი თანხების ორმესამედს ჩვენ ვხარჯავთ მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ საჭიროებათათვის, ერთმეშვიდედ ნაწილს თავდაცვის საჭიროებისათვის, ერთ მეშვიდე ნაწილს ყველა დანარჩენ საჭიროებებისათვის, აქედან ერთმეათედ ნაწილს ვხარჯავთ ჩვენი სამმართველო აპარატის შესანახად.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ აქ ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი ხარჯების იდეალურად, საუკეთესოდ განაწილებას? უეჭველია, რომ არა. უეჭველია, მომავალშიაც უნდა გავატაროთ მომჭირნეობის რეჟიმი არა სავალდებულო, ნაკლებ მნიშვნელოვანი, პირველ რიგში ადმინისტრატიულ- სამეურნეო ხარჯების ხაზით. უეჭველია, რომ მომავალშიაც მთელი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ რაც შეიძლება გავადიდოთ ის თანხები, რომლებიც იხარჯება ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული რევოლიუციის მიზნებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები

ორი სიტყვა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტზე.

კავშირის ბიუჯეტი წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები ერთად (ამ ბიუჯეტებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ვაზი) გაიზარდა 17 პროცენტით.

(სამურსკი ადგილიდან: „არ შეიძლება ცალ-ცალკე დაასახელოთ?"). შეიძლება ცალცალკეც. რ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტი გაიზარდა 18,5 პროც., უკრაინის—10 ერთი მესამედი პროც., ბელორუსიის —8 ნახ. პროც., ამიერკავკასიის 18 პროც., თურქმენისტანის 19 ნახ. პროც. და უზბეკისტანის 13 პროცენტით. რა გზით გაიზარდა საერთო საკავშირო ბიუჯეტის ხვედრითი წონა რესპუბლიკანურ ბიუჯეტებთან შედარებით? ამის შესახებ ალბად დაწვრილებით მოგახსენებთ ამხ. შმიდტი—საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელი. საერთოდ საკავშირო ბიუჯეტის ხვედრითი წონა გადიდებული იქნა იმით, რომ წარსულ წელთან შედარებით შემცირდა ანარიცხები რესპუბლიკების ბიუჯეტებში საერთო გადასახადიდან და საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცირდა დოტაციების საერთო თანხა, რომელიც ეძლეოდა დეფიციტიან რესპუბლიკანურ ბიუჯეტებს. ეს დოტაციები შემცირდა 52-დან 15 მილიონამდე.

მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ნაწილების განვითარების საერთო ხაზი, ძალიან მცირე გადახრით ცალკე ნაწილებში, თავის გამოხატულებას ჰპოვებს საერთო საკავშირო ბიუჯეტში და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

ჩვენი სახელმწიფო სესხები

ჩემი მოხსენების დასასრულს მე მინდა რამდენიმე დაწვრილებით შევჩერდე სახელმწიფო კრედიტის საკითხებზე.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ზრდის ტემპის ერთგვარი შემცირება შემოსავლის ზოგიერთ დარგებში, პირველ რიგში ტრანსპორტის და ნაწილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლის დარგში, ჩვენ შევათანასწორეთ, ავანაზღაურეთ შემოსავლის გადიდებით სახელმწიფო სესხებიდან. ეს უკვე მოწმობს იმას, რომ სახელმწიფო კრედიტის საქმეს ჩვენთვის აქვს არსებითი მატერიალური მნიშვნელობა, რომ ამ კრედიტის საქმეს დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საბჭოთა ორგანოებმა, მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ბიუჯეტში, ტრანსპორტთან და ფ.-ტელ. ერთად, სახელმწიფო სესხების შემოსავლის ხვედრითი წონა უკანასკნელ წლებში იზრდებოდა ამგვარად: 1925—26 წელში შემოსავალი სახელმწიფო სესხებიდან შეადგენდა მთელი ბიუჯეტის მხოლოდ 4 პროცენტს; 1926—27 წელში ეს შემოსავალი გაიზარდა 6 პროცენტამდე; მიმდინარე წელში შემოსავალი სესხებიდან გადიდებულ იქნება 9 პროცენტამდე. ოთხი, ექვსი, ცხრა,—აი, როგორი ტემპით იზრდება შემოსავალი სახელმწიფო სესხებიდან ჩვენს ბიუჯეტში. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ შემოსავალს, თუ ჩვენი ბიუჯეტიდან გამოვრიცხავთ შემოსავალს ტრანსპორტიდან და ფ.-ტელეგრაფიდან. შემოსავალი სესხებიდან მაშინ განისაზღვრება 12,5 პროცენტით, ე. ი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ყოველი მანეთიდან 12,5 კ. ვიღებთ სესხით. როგორ გამოიხატება ეს მანეთებში? 1924—25 წელში ჩვენი სახელმწიფო ვალი გაიზარდა 123 მილიონი მან. რაოდენობით, 1925—26 წელში (სამეურნეო აღდგენის სესხის გარდა)—50 მილიონი მან., 1926—27 წელში—325 მილიონი მ. და მიმდინარე წლის 1 მარტამდე, წარსულ 5 თვის განმავლობაში, ეს ვალი გაიზარდა 275 მილიონი მან. რაოდენობით. ეს არის სახელმწიფო ვალის წმინდა ზრდა. სხვანაირად რომ ვთქვა, წმინდა შემოსავალი სახელმწიფო სესხებიდან, ე. ი. პროცენტების, მოგებათა და ძველი სესხების დაფარვისათვის საჭირო ყველა ხარჯების გარდა, მიმდინარე წელში შემოსავალი სესხებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება დაახლოებით ამავე რაოდენობის, რაოდენი შემოსავალიც გვაქვს მთელი ჩვენი ნაციონალიზაციაქმნილი სახელმწიფო მრეწველობისაგან. ვიმეორებ, სახელმწიფო ბიუჯეტში შედის მრეწველობის მოგებათა მხოლოდ ნაწილი. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ნაციონალიზაციაქმნილი საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობიდან იღებს იმდენივეს, რამდენსაც იღებს სესხებიდან. თუ ამ შემოსავალს დაუპირდაპირებთ ხარჯებს, ჩვენ დავინახავთ, რომ მთელი ჩვენი დაბანდებული თანხების დაახლოებით ერთ მესამედ პროცენტს ვიღებთ სესხების საშუალებით. სესხების საქმეს უკავშირებ მრეწველობის საქმეს იმიტომ, რომ, როგორც თქვენ ყველამ მშვენივრად იცით, სესხებს ჩვენ ვიღებთ არა იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ჩვენი შეიარაღება, ავაშენოთ ჯავშნოსნები, გავამტკიცოთ ჩვენი სამხედრო ძალა,—ამისათვის მუშები და გლეხები სესხის გარეშეც გამონახავენ საშუალებებს. ჩვენ სესხებს ვიღებთ მხოლოდ იმისათვის, რომ მალე წავწიოთ წინ ჩვენი მეურნეობა, და პირველ რიგში ჩვენი მძიმე მრეწველობა. სწორედ ამიტომ, ხარჯები, რომლებიც საჭიროა სესხისათვის, არსებითად უნდა მივაკუთვნოთ მრეწველობის ხარჯებისათვის: ეს არსებითად არის პროცენტების გადასახადი იმ კრედიტისათვის, რომელსაც მრეწველობა იღებს.

ჩვენი სესხები ისახავს მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო, სამრეწველო მიზნებს. სესხით მიღებული რესურსები ხმარდება წარმოების, მრეწველობის საქმეს. მხოლოდ ასეთ პირობებში უნდა მივმართოთ სესხს, მით უფრო, რომ ჩვენ ძალიან სახარბიელო პროცენტს—13—14 პროც. ვაძლევთ სესხის ობლიგაციების შემძენს.

რაც მოწმობს ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე იზრდება შემოსავალი სესხებიდან, იზრდება ის მნიშვნელობა, რომელიც სესხებს აქვს ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ ფართო შესაძლებლობანი გვაქვს, რომ გეგმიანი სისტემატიური სამეურნეო მშენებლობის საქმეში ჩავაბათ წვრილი დანაგროვი თანხები, რაც თან სდევს მშრომელთა მასების კეთილდღეობის ზრდას. ეს საშუალება, ამ დანაგროვადა გამოყენება სესხის საშუალებით სასარგებლოა როგორც სესხის ობლიგაციების შემძენთათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სესხის აღება, უეჭველია, მეტად კარგი საშუალებაა დაგროვების განაწილებისათვის, უქმად შენახული ფულის გამოსაყენებლად ჩვენი კაპიტალური მშენებლობის მატერიალური მოთხოვნილებათათვის.

საერთოდ და მთლიანად საბჭოთა მთავრობის ვალი სახელმწიფო სესხების მხრივ 1 მარტისათვის შეადგენდა 1 მილიარდ მანეთს, 1 აპრილისათვის, წინასწარი ცნობებით, ეს თანხა უკვე გაიზარდა,უმთავრესად საგლეხო სესხის ხარჯზე, 1.130 მილიონი მანეთამდე. ეს თანხა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მას. მაგრამ ეს ვალი—1 მილიარდი მან. რაოდენობით, მთელ სახალხო შემოსავალთან შედარებით შეადგენს მთელი წლიური შემოსავლის 4 პროცენტს. როგორი იყო მდგომარეობა ამ მხრივ ომამდე, მეფის ხანაში? მეფის მთავრობის დავალიანების თანხა მაშინ სესხების დარგში შეადგენდა მთელი წლიური შემოსავლის 30 პროცენტზე მეტს.

შინაური სესხი ომამდე მოსახლეობის ყოველ სულზე შეადგენდა 67 მან., ეხლა კი შეადგენს მხოლოდ 6 მან. 70 კაპ., ე. ი. ათჯერ ნაკლებს. აი ის ციფრები, რომლებიც მართალია არა სრული სისწორით, (ეხლანდელი ხანაში ბევრია ისეთი მომენტები, რომლებიც სავსებით განსხვავდება ომამდე არსებული ხანის მომენტებისაგან), მაგრამ მაინც გვიხატავს ფართო ასპარეზს, ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც იშლება ჩვენს წინაშე და რომლებიც სოციალისტური მშენებლობის საჭიროებათა და ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის უნდა შევასრულოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ვისგან ვიღებთ სესხს? წინედ, 3 წლის წინედ და 1927 წ. 1 ოქტომბრამდე ჩვენი დავალიანება კერძო სექტორისადმი (მუშებისა, გლეხებისა და ნეპმანების მიმართ) შეადგენდა მთელი დავალიანების მხოლოდ 40 პროცენტს, ხოლო 60 პროცენტს ჩვენ ვიღებდით განსაზოგადოებული სექტორიდან, სახელმწიფო სექტორიდან. მდგომარეობა ამ ხუთი თვის განმავლობაში შეიცვალა და ეხლა სახელმწიფო ვალის ნახევარს შეადგენს ვალი კერძო სექტორისადმი.

რას წარმოადგენს ეს კერძო სექტორი? ეს სექტორი უპირველეს ყოვლისა შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან, საბჭოთა ქვეყნის მთელი მოსახლეობისაგან. ორი უკანასკნელი სესხი—ინდუსტრიალიზაციის სესხი და საგლეხო მეურნეობის გამტკიცების სესხი მოწმობს იმას, რომ ჩვენ სწორი გზა გამოვნახეთ სახელმწიფო სესხების გავრცელების საქმეში. საბჭოთა ქვეყანაში, რომელიც თავის განვითარებაში თანდათან სძლევს „ნეპს", აძლიერებს სოციალისტურ ელემენტებს მეურნეობაში,—დაგროვების ერთად ერთი და ძირითადი მატარებელნი იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ მუშები და გლეხები.

ინდუსტრიალ. სესხზე, რომელიც შარშან შემოდგომაზე გავასაღეთ უმთავრესად მუშებს შორის, ხელმოწერით შემოვიდა 120 მილიონი მან. გლეხის მეურნეობის გამტკიცების სესხზე, რომელსაც ეხლა ვავრცელებთ, დაახლოებით იმდენივე თანხას მოგვცემს. უკანასკნელი ცნობით, რომელიც დღეს გადმომცეს, გლეხის მეურნეობის გამტკიცების სესხის ობლიგაციები გასაღდა 113 მილიონი მან. რაოდენობით. სულ დარჩა მხოლოდ ორი კვირა, მალე დაიწყება მინდვრის სამუშაოები და გლეხებს აღარ ეცლება სესხისათვის, ასე, რომ ამ ციფრის მნიშვნელოვნად გადიდებას არ უნდა მოველოდეთ. მე ვფიქრობ, რომ გლეხის მეურ. გამტ. სესხის რეალიზაცია სულ მოგვცემს 120—125 მილიონ მან. ინდუსტრიალიზაციის სესხმა სახელმწიფო სესხის საქმეში ჩააბა 6 მილიონამდე მუშა. გლეხის მეურ. გამტ. სესხი სახელმწიფო სესხების საქმესთან, წინასწარი გამოანგარიშებით, დაახლოვებს 10 მილიონამდე გლეხის მეურნეობას. აი, ის ბაზა, ის საფუძველი, აი ის მასები, რომლების დანაგროვებზე შეგვიძლია ავაშენოთ ჩვენი სახელმწიფო კრედიტის განვითარება.

მე არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო, რომ სახელმწიფო სესხების საქმეში მუშათა და გლეხთა ფართო მასების, განსაკუთრებით გლეხთა ჩაბმის მხრივ, სესხების საქმით მუშათა და გლეხთა ფართო მასების დაინტერესების მხრივ ჩვენ დავუშვით მთელი რიგი შეცდომები. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელების დროს ზოგან ადგილი ჰქონდა ყოვლად დაუშვებელ შემთხვევებს, ადმინისტრატიულ, ფიზიკურ ზეგავლენასაც კი. ეს იყო ბრიყვთმოქმედება, ეს იყო საბჭოთა მთავრობის ძირითადი ხაზის დამახინჯება. ამ დამახინჯებას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ და გლეხის მეურ. განმტ. სესხის ტირაჟის მაგალითზე, რომელიც საბჭოთა კავშირის 55 პუნქტში მოხდება მაისის მეორე ნახევრიდან, უნდა უჩვენოთ გლეხობას და ფართო მასებს, რომ საგლეხო სესხების გავრცელების დროს ჩვენ ვაკეთებთ ისეთ საქმეს, რომელშიაც ადგილი არ აქვს ძალადობას და რომელშიაც დაინტერესებულია არა მარტო სახელმწიფო, არამედ თვით გლეხთა მასებიც. ჩვენ კვლავ უნდა განვაგრძოთ სახელმწიფო კრედიტის ახსნა-განმარტება, აგიტაცია გლეხთა ფართო მასებს შორის, და ამ სახელმწიფო კრედიტს საფუძვლად უნდა დავუდოთ ფართო, მასიური რეალური ბაზა. ეს ბაზა შეიძლება შევქმნათ მხოლოდ ამგვარად, მხოლოდ მასების დარწმუნებით, დაჯერებით, რათა სახელმწიფო სესხების საშუალებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმეში.

სახელმწიფო შემნახველი შრომითი სალაროები

კიდევ ორი სიტყვა კერძო დაგროვებათა მოზიდვის მეორე საშუალების შესახებ—სახელმწიფო შემნახველი შრომის სალაროების შესახებ. აქ წარმატებანი აშკარაა, მაგრამ ეს წარმატებანი, ისე როგორც ყველა ჩვენი წარმატებანი, საკმაო არ არის და ამით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ანაბარების თანხა სახელმწიფო შემნახველ სალაროებში 1925 წლის 1 ოქტომბრიდან იზრდებოდა ამგვარად: 33 მილიონი, ერთი წლის შემდეგ—90 მილიონი, კიდევ ერთი წლის შემდეგ 186 მილიონი, ხუთი თვის შემდეგ, მიმდინარე წლის 1 მარტისათვის—262 მილიონი.

ანაბარების შემტანთა რიცხვი ამგვარად იზრდებოდა: 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის—800.000, 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის—1.300.000, 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის—2.200.000, 1928 წ. 1 მარტისათვის—3.100.000. ჩვენ ვხედავთ, რომ 3 მილიონი საბჭოთა მეურნე (დაგროვება სამეურნეო საქმიანობის შედეგია) ჩაბმულია სახელმწიფო შემნახველი სალაროების საქმეში. შარშანდელთან შედარებით ეს ბევრია, მომავალთან შედარებით, იმასთან შედარებით, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ აქედან მიღებული თანხები ეხლა, უკვე ერთი წლის განმავლობაში განისაზღვრება არა ათეული, არამედ ასეული მილიონი მან. რაოდენობით, და ამას საკმაოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ უქმად შენახული თანხები გამოყენებული იქნას ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმისათვის; ჩვენ ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ. შემნახველი სალაროების საქმეშიაც, და სახელმწიფო სესხის საქმეშიაც ჩვენ მივდივართ მასებისაკენ, მასების საშუალებით ვიღებთ რესურსებს და ვატარებთ ლენინის საქმეს—ვაშენებთ სოციალიზმს.

სესხებისა და გადასახადების შესახებ

დიდი შეცდომა იქნებოდა, ამხანაგებო, რომ ჩემი ცნობები სესხების შესახებ თქვენ მიერ ისე იქნას გაგებული, რომ თითქოს მე გიამბობთ ზღაპარს იმაზე, რომ ახლო მომავალში შეიძლება გადასახადების შეცვლა სესხებით. ასეთ ზღაპრებს მე არ გიამბობთ.

ჩვენ ისეთ დროში არ ვცხოვრობთ, რომ თავი ვინუგეშოთ ამგვარი ზღაპრებით. ჩვენი საჭიროებანი,—ჩვენი მეურნეობის საჭიროებანი, ჩვენი კულტურული ზრდის საჭიროებანი და, დაბოლოს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებანი უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებელია; ამიტომ მხოლოდ სესხის ნებაყოფლობითი გავრცელებისა და შემნახველ ანაბარების მოზიდვის საშუალებით ვერ დავაკმაყოფილებთ ამ მოთხოვნილებებს ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც უახლოესი წლების განმავლობაში.

ჩვენ მეტად დიდი ამოცანები დავისახეთ, ჩვენ მეტად დიდი მოვალეობანი ვიკისრეთ ჩვენი ქვეყნის წინაშე, საბ. კავშ. მუშებისა და გლეხების წინაშე და ამიტომ ყოვლად დაუშვებელია ვინუგეშოთ თავი ოცნებებით იმის შესახებ, რომ ამ მოვალეობათა განხორციელება, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კულტურის ამაღლება, ჩვენი მტრების იერიშების მოგერიება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შემნახველი სალაროების ან სახელმწიფო სესხების საქმის პროპაგანდით. არა, ვანხორციელებთ რა დიად და უდიდეს მიზნებს, ვაკეთებთ რა პროლეტარულ რევოლიუციონურ საქმეს, ჩვენ იძულებული ვართ და მომავალშიაც იძულერობის მიერ დაწესებულ გადასახადებს, მივიღოთ ის თანხები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას სახალხო მეურნეობიდან ინდუსტრიალიზაციის და კულტურული რევოლიუციის მიზნებისათვის. და ამ მხრივ ჩვენ არ გვიტაცებს ის ოცნება, რომ თითქოს შესაძლო იყოს ჩვენი გადასახადების და სხვა სახელმწიფო შემოსავლების შეცვლა სესხებით. ჩვენ ყოველთვის გვახსოვს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის დაჭიმულობა და ვიცით, რომ ეს ბიუჯეტი და მთელი ჩვენი ფინანსიური მეურნეობა არის მხოლოდ საშუალება ოქტომბრის რევოლიუციის საქმის გაგრძელებისათვის; ამგვარად ჩვენ მტკიცე და შეურყეველი ნაბიჯებით მივდივართ წინ ისე, როგორც ეს შეეფერება პროლეტარულ სახელმწიფოს.

ჩვენი ამოცანები მეტად საპასუხისმგებლოა. ამოცანები, რომლებიც მე აღვნიშნე ამ მოხსენების დასაწყისში—ჩერვონეცის სყიდვითი ძალის გადიდება, ჩვენი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების გაიაფება,—ეს ამოცანები სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახადებისა და შემოსავლის შეგროვების ამოცანასთან ერთად, ჩემი აზრით, არის ჩვენი საფინანსო—სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საფუძველი.

ჩვენი სამეურნეო და საფინანსო მშენებლობის საქმეში ვაბამთ მასებს. ჩვენ მივდივართ მასებთან, ჩვენ ვმოქმედებთ მასების საშუალებით. ამას გვასწავლიდა ლენინი. ამგვარი მოქმედებით, ამგვარი გზით ჩვენ განვახორციელებთ ლენინის ანდერძს, განვახორციელებთ იმ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახა ოქტომბრის რევოლიუციამ (ადხ).

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ზუგდიდის თემსაბჭოს სექციებში არ იყო ჩაბმული საბჭოს წევრების უმრავლესობა

ზოგიერთ თემსაბჭოს სექციებს თავიანთ მუშაობაში აქვთ ადმინისტრატიული გადახრა

ზუგდიდის საბჭო

(წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

ქ. ზუგდიდის თემსაბჭო შესდგება 74 წევრისა 19 კანდიდატისაგან. საბჭოსთან ჩამოყალიბებულია 7 სექცია. კულტურულ-განმანათლებელი, სასოფლო-სამეურნეო, სააღმშენებლო, ჯანმრთელობის, კოოპერატიული და საფინანსო. ყველა ამ სექციებში გაერთიანებულია მხოლოდ 30 წევრი.

აქედან აშკარაა, რომ სექციებში არ იყო ჩაბმული ყველა წევრები; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ სექციებში შედის მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტები—მაგალითად: ჯანმრთელობის და სანიტარულ სექციაში შედის 5 კაცი—ხუთივე ექიმი, სასოფ.-სამეურნეოში აგრონომები და სხვ. ამგვარად მშრომელთა აქტივი სექციებში ნაკლებ არის ჩაბმული.

ჯანმრთელობის და სანიტარული სექცია

ქალაქში დაცულია სისუფთავე და დათვალიერება ხდება კვირაში ერთხელ კომისიის მიერ; იკითხებოდა ლექციები სანიტარულ საკითხებზე. დაარსებულია სანიტარული უჯრედები სხვადასხვა დაწესებულებებში. შეკეთებულია საავადმყოფოს შენობა ერთი ოთახის მომატებით; გამოყოფილია კომისია ახალი საავადმყოფოს შენობის ასაგებ ფონდის შესაქმნელად.

საგზაო სექცია.

საგზაო სექციის მუშაობას ხელი შეუშალა უამინდობამ, ქალაქის მახლობელი ქუჩები შეკეთებულია 17 კილომეტრის მანძილზე, დაყრილია 65½ კუბ. საჟენი ხრეში, შეკეთებულია ბოგირები, მაგრამ უყურადღებოდაა დატოვებული სადგურ ჯზლეჯხან-ზუგდიდ შუა და ახალ-აბასთუმნის სახერხ ქარხნის შუა მდებარე შარა-გზა, სადაც გავლა შეუძლებელი ხდება ამ გზის შესაკეთებლად თანხა შემოსულია საფუთო გადასახადიდან 12.000 მანეთი, მაგრამ ამისათვის სექციას ყურადღება არ მიუქცევია და არ მიუღია ზომები ფულის კუთვნილებისამებრ მოსახმარებლად. სექციას არ ქონდა სამუშაო გეგმა. არაა მიქცეული ყურადღება აგრეთვე სხვა მახლობელ სოფლების გზების შეკეთებაზე.

სასოფლო-სამეურნეო სექცია

სექციის ინიციატივით მოწყობილია ხეხილის სანერგე, რომელიც მისცემს მეურნეებს წლიურად რამდენიმე ათეულ ათას ნერგს. მოწყობილია ჩაის პლანტაცია 10 დესეტინაზე მეტი, და განზრახულია მისი კიდევ გაფართოება, ეწყობა ჩაის ქარხანა, მოწყობილ იქნა გასული წლის ნოემბერში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც ჯილდო მიიღო მეურნემ; მიღებულია ზომები ხეხილის ბაღის და მანდარინის გასაშენებლად.

კულტ-განმანათლებელი სექცია.

სააღმშენებლო სექციის ინიციატივით სწარმოებდა ქალაქის კეთილმოწყობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სექციების მუშაობა ვერ სწარმოებდა დამაკმაყოფილებლად, რაც უნდა მიეწეროს სუსტ ხელმძღვანელობას.

კამარად.

სართიჭალის საბჭო

(წერილი გარე-კახეთიდან)

სართიჭალის თემსაბჭოსთან არსებობს ოთხი სექცია: სააღმშენებლო, საექიმო-სასანიტარო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო. თემსაბჭო თავის მხრივ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას სექციებს, მაგრამ სექციების მუშაობა დღესაც არ ჩაითვლება უნაკლოთ. სექციის ხელმძღვანელთა თათბირზე მათ მოხსენებებს ვერ ექცევა საჭირო ყურადღება საბჭოს მიერ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად სექციები მუშაობის დროს გაურკვევლობაში ვარდებოდნენ. გარდა ამისა თემში ბევრი საქმე კეთდება ისე, რომ სექციის ხელი არა სჩანდეს; რაც შეეხება გლეხის ჩაბმას სექციებში, ამ მხრივ სართიჭალის საბჭოს საკმაო ნაბიჯები აქვს გადადგმული.

სააღმშენებლო სექციაში გაერთიანებულია 14 საბჭოს წევრი და 12 აქტიური გლეხი. სექციაში ჩაბმულნი არიან აგრეთვე გლეხ-ქალებიც. დღემდე სექციამ მოიწვია 9 სხდომა, რომელზედაც 35-დე საკითხი გაირჩა. სექცია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. სექციამ დიდი ყურადღება მიაქცია თემში გზებისა და ბოგირების შეკეთებას, ადგილობრივ დაწესებულება-ორგანიზაციის შენობების შეკეთებას, წყლის გაყვანას, არხების გაჭრას, ჭაობების ამოშრობას და სხვა. მომავალში სექციას მართებს უფრო მეტი აქტიობის გამოჩენა. საერთოდ კი სააღმშენებლო სექციის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

კულტურულ-განმანათლებელ სექციაში ირიცხება 30 წევრი. ამ რიცხვში 17 არა საბჭოს წევრებია. დასწრება სხდომებზე სექციის წევრთა მიერ ნორმალურია. დღემდე სექციამ მოიწვია 7 სხდომა. უნდა ითქვას, რომ სექციის მუშაობა პირველ ხანებში არ იდგა თავის სიმაღლეზე. არ იწვეოდა კრებები, არ იყო ჩაბმული გლეხობა სექციის მუშაობაში და ამის გამო თემში კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა სექციის ხელმძღვანელობის გარეშე. საბჭომ თავის მხრივ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. მას ორჯერ მოუხდა სექციის ხელმძღვანელთა გადარჩევა. ამჟამად სექციის მუშაობა გამოცოცხლებულია, მხოლოდ საჭიროა სექციის წევრთა მიერ მეტი ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოჩენა ადგილობრივ კულტურულ მუშაობის გასაცოცხლებლად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სექციის მიერ სხდომებზე გამოტანილ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. სექციამ სწორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ სამკითხველოს მუშაობას, მის მოწყობას, უღარიბესი გლეხების, მოჯამაგირეების და გლეხი ქალების მიზიდვას სამკითხველოში და სათეატრო საქმიანობის მოგვარებას.

სასოფლო-სამეურნეო სექცია აერთიანებს 37 წევრს. აქედან 18 საბჭოს წევრებია, დანარჩენი კი არა საბჭოს წევრი აქტიური გლეხები, სექციაში მონაწილეობას ღებულობენ გლეხი ქალებიც. სექცია აწარმოებდა გეგმიურ მუშაობას. დღემდე სექციამ მოიწვია 9 სხდომა და გაარჩია 81 საკითხი. სექციამ მეორე ამოცანად დაისახა სასოფ.-სამეურნეო კოლექტივების ჩამოყალიბება გლეხობაში. ჯერ-ჯერობით მან ასეთი დაარსა სოფ. ხაშმში და როზენფელდში. გლეხკომებს კოლექტიურად დასამუშავებლად გადაეცა საფონდო მიწები. როზენფელდში 60 დესეტინის სივრცეზე განზრახულია ხონჯის დათესვა. სექცია ყურადღებას აქცევდა აგრეთვე აგრონომიულ ცოდნის შეტანას გლეხობაში. ტარდებოდა აგრონომიულ საკითხებზე მოხსენება-საუბრები, ეძლეოდათ გლეხებს აგრონომიული რჩევა-დარიგებანი და სხვა. სექცია ზომებს ღებულობდა ტყის მოვლა-დაცვისათვის.

საჭიროა მომავალში ხშირ-ხშირად იწვეოდეს სექციის ხელმძღვანელთა თათბირები, ისმენდეს საბჭოს სხდომებზე სექციის ხელმძღვანელთა საანგარიშო მოხსენებებს და სხვ.

ადგილობრივი.

გორდის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი გორდიდან)

გორდის თემსაბჭოსთან არსებობს 5 სექცია 1) საგზაო-ხიდების და სააღმშენებლო; 2) საექიმო-სასანიტარო, 3) სავაჭრო-საკოოპერაციო; 4) კულტურულ-განმანათლებელი და 5) საფინანსო-საგადასახადო.

საგზაო ხიდების და სააღმშენებლო სექცია შესდგება 16 წევრისაგან. სექციას არ ჰყავს ბიურო. დღიდან გამოყოფისა სხდომა შესდგა 5-ჯერ. განხილულია 14 საკითხი, გარჩეულ საკითხებიდან მოყვანილია სისრულეში ყველა. სექციას აქვს სამუშაო გეგმა.

საექიმო - სასანიტარო სექციას ბიურო არ ჰყავს. არ არის მდივანი გამოყოფილი. სექციას ჰყავს მხოლოდ თავმჯდომარე, რომელიც მდივნობასაც ასრულებს. დღიდან არჩევისა სექციას სხდომა ერთხელაც არ ჰქონია, ხოლო ექიმის მიერ შედგენილია სხვადასხვა ოქმები თემში სისუფთავის დაცვისა და სანიტარული წესის დარღვევის შესახებ.

სავაჭრო - საკოოპერაციო სექცია შესდგება 5 წევრისაგან, ბიურო არც ამ სექციას გამოყოფია: დღიდან არჩევისა სხდომები შესდგა 6-ჯერ, რომელზედაც განხილულია 20 საკითხი. ყველა საკითხი მოყვანილია სისრულეში.

კულტურულ - განმანათლებელი სექცია შესდგება 6 წევრისაგან. დღიდან ჩამოყალიბებისა ჰქონდა 4 სხდომა და განხილულია 14 საკითხი. განხილულ საკითხებიდან ყველა მოყვანილია სისრულეში.

საფინანსო - საგადასახადო სექციაში ირიცხება 4 წევრი. სექციას ჰქონდა 2 სხდომა და განიხილა 5 საკითხი. განხილული საკითხი ყველა განხორციელებულია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სექციების მუშაობაში არ იყო ჩაბმული საბჭოს კანდიდატები და თემის აქტივი. მუშაობას აფერხებდა აგრეთვე ბიუროების უყოლობაც.

ნ. ბ—ძე.

ბორითის საბჭო

(შორაპნის მაზრა).

(წერილი ბორითიდან)

ბორითის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია 7 სექცია: სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ საგანმანათლებლო, საგზაო და ხიდების, სააღმშენებლო, საექიმო-სასანიტარო, საფინანსო-საგადასახადო და საკოოპერაციო.

სასოფლო-სამეურნეო სექცია

სას.-სამეურნეო სექციაში მუშაობს 7 წევრი, სხდომები შესდგა 14ჯერ და განხილულია 22 საკითხი. მოწვეულია აგრონომი და ჩატარებულია ლექციები გლეხობაში სამეურნეო საკითხებზე. მიღებულია ზომები ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვისათვის, სექცია იხილავდა განცხადებებს საკრედიტო ამხანაგობიდან სესხის გატანის შესახებ და თვალყურს ადევნებს გატანილ სესხის დანიშნულებისამებრ მოხმარების საქმეს.

კულტურული სექცია

კულტ-განათლების სექციაში შედის 10 წევრი, სხდომები მოხდა 3 ჯერ და განხილულია 8 საკითხი. სექციის სხდომაზე მოსმენილია სამკითხველოს გამგის მოხსენება და მიცემულია საჭირო პრაქტიკული მითითებანი. თავის დროზე მიღებულ იქნა ზომები სასწავლო ნივთების მოსამარაგებლად სკოლებისათვის.

სექცია ყოფდა კომისიებს საღამო-წარმოდგენების მოწყობისათვის და ასეთი ჩატარდა 4 ჯერ. ლიტ. გასამართლება 2 ჯერ.

სექციის მიერ მიმაგრებულია თემის ყველა სოფლებზე კულტ-ძალები კვირაობით საუბრების ჩასატარებლად გლეხობასთან სხვადასხვა საკითხებზე და ასეთი ტარდებოდა დროგამოშვებით.

საგზაო-ხიდების სექცია

საგზაო და ხიდების სექციაში ირიცხება 28 წევრი, სექციას სამჯერ ქონდა სხდომა და განხილულია 7 საკითხი, აღრიცხულია მუშა-ხელი და მუშა-საქონელი. გზების და ხიდების შეკეთებაზე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის უბნებში მიმაგრებულია სექციის წევრები. ყოფდა კომისიებს ახალი გზების გაყვანის შესასწავლათ.

გაკეთებულია ახალი გზა ერთი კილომეტრის მანძილზე. შეკეთებულია სათემო და სასოფლო მნიშვნელობის გზების უმრავლესობა. სექციის ინიციატივით გაკეთდა ერთი კანადის ბოგირი და კედელი მორივე, გაკეთდა მდინარე კვადლურაზე საურმე ბოგირი და შეკეთდა საცალფეხო ხიდები მდინარე ძირულაზე, კვადლურაზე და დუმალაზე—10.

სააღმშენებლო სექცია

სააღმშენებლო და კეთილ-მოწყობის სექციაში შედის 11 წევრი, სექციის სხდომა შესდგა 2 ჯერ, განხილულია 3 საკითხი. აიგო სოფ. მაქათუბანში 4 წლედის შენობა თვითდაბეგვრის საშუალებით. მთავრდება სოფ. უბისაში სამკითხველოს შენობის აგება, დაწყებულია მუშაობა აფთიაქის და საექიმო პუნქტის შენობის ასაგებად ნაწილობრივ თვითდაბეგვრის საშუალებით და უკვე აკრეფილია 900 მან. შეკეთებულია 7 წლედის შენობა და სხვა.

კოოპერატიული სექცია

საკოოპერაციო სექციაში შედის 7 წევრი, ამ სექციასაც ქონდა სხდომა და განხილულია 6 საკითხი. ჩატარებულია მოხსენებანი კოოპერაციაში წევრთა მიზიდვის მიზნით. სექციამ მიიღო ზომები კოოპერატივში საქონლის მოსამარაგებლად და გამოყოფილია კომისია ფასების დაკლების გატარების შესასწავლად.

საექიმო-სასანიტარო და საფინანსო-საგადასახადო სექციებს მუშაობა არ უწარმოებიათ და მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ საკითხების განხილვა-დამუშავებაში.

მომავალში საჭიროა სექციებმა თავიანთ მუშაობაში ჩააბან მეტი ნაწილი გლეხთა აქტივისა, მიიღონ ზომები გლეხობისათვის აგრო და სანიტარული დახმარების გასაწევად, ხელი შეუწყონ სამეურნეო ობიექტების აღრიცხვის საქმეს და გადასახადის თავის დროზე აკრეფას. იზრუნონ ადგილობრივ ბიუჯეტის გასაძლიერებლად და თვალ ყური ადევნონ მის შესრულებას, სექციები უნდა ყოფდეს კომისიებს თემში სხვადასხვა ორგანოთა მდგომარეობის შესასწავლად. ისმენდეს მათ მოხსენებებს თავიანთ სხდომებზე და აძლევდნენ საჭირო პრაქტიკულ მითითებებს. სამეურნეო სექციამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს და იზრუნოს კოლექტიური მეურნეობათა მოწყობისათვის. თავიანთ მუშაობის საწარმოებლად სექციებმა აუცილებლად უნდა ადგენდნენ სამუშაო გეგმებს ამის მიხედვით, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იქნება ნაჩვენებ დროის ფარგლებში.

ო. გველესიანი.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება

ა. კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. ბაგიროვის მოხსენება თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. მოხსენების გამო სახკომსაბჭომ დაადგინა:

თესვის კამპანიის, როგორც ცენტრალური (ამიერ-კავკასიის), აგრეთვე რესპუბლიკანურ ორგანოებში შეუსუსტებელი ტემპით ატარებენ.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცეს მოაგვარონ მიღებულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება და ა. კ. სახ. კომსაბჭოს პერიოდულად წარუდგინონ შესაფერი ინფორმაცია. ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცეს შეამოწმოს თესვის კამპანიის მიმდინარეობა ადგილებზე, რა მიზნითაც მის განკარგულებაში გამოყოფილი იქნეს 10 პასუხისმგებელი მუშაკი. ა. კ. რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს თავიანთ გააძლიერონ ბრძოლა წყალდიდობასთან. საკავშირო ორგანოების წინაშე აღიძრას შუამდგომლობა წყალდიდობასთან საბრძოლველი საჭიროებათა მინიმალური თანხების გაღების შესახებ. წინადადება მიეცეს რესპუბლიკებს თესვის კამპანიისათვის გაღებული თანხები გამოიყენონ მხოლოდ თავისი საქმისათვის. უწყება-დაწესებულებებს წინადადება მიეცეს მიიღონ ყოველგვარი ზომები დადგენილებების შესრულებაში ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად.

ა. კ. სახ. საგეგმო კომისიას დაევალოს დაამუშაოს სასოფლო მეურნეობისათვის სახელმწიფო თანხების მოწოდების საკითხი და სათანადო დასკვნები წარადგინოს ა. კ. სახკომსაბჭოში. მასვე დაევალოს შეიმუშაოს ღონისძიებები საქონლის გაწყვეტით მოსახლეობისათვის მიღებული ზარალის ანაზღაურების და ამჟამად ადგილებზე მყოფ მექანიკურ ძრავების თესვის კამპანიაში მაქსიმალურად გამოყენების შესახებ.

სათანადო ორგანოებს დაევალოთ არა უგვიანეს აპრილის დამლევისა შეიმუშაონ შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმა. ამ გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღონ გაზაფხულის თესვის კამპანიის გამოცდილება.

საორგანიზაციო მუშაობის შეთანხმებულად წარმოების მიზნით, თესვის კამპანიის შემდგომი მეთვალყურეობა ა. კ. სახკომსაბჭომ დაავალა ა. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ერთ ერთ მოადგილეს.

სესხები კოლექტიურ მეურნეობებს

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში კოლმეურნეობათათვის სესხის მისაცემათ გადადებულია 297.000 მანეთი. ამ თანხებიდან ახლად დაარსებულ ორგანიზაციებისათვის გამოყოფილია 10 პროცენტი (26.200 მანეთი გრძელვადიანი და 3.500 მანეთი მოკლევადიანი სესხი). თელავის საკრედიტო ამხანაგობას მოძრავი შემკეთებელ სახელოსნოს მოსაწყობათ გადაეცა—3.800 მანეთი. კოლმეურნეობათა ტრაქტორებით მომარაგების საქმისათვის გადადებულია 52.000 მანეთი.

ვინაიდან სენაკის, ზუგდიდის და ახალქალაქის მაზრებიდან მიღებული არ არის საჭირო ცნობები, ამ მაზრებისათვის მარაგათ გადადებულია სესხი 30.000 მანეთის რაოდენობით.

თანხების დანარჩენი რაოდენობა განაწილებულია კოლმეურნეობათა შორის შემდეგნაირათ: სიღნაღის მაზრის კოლექტიურ მეურნეობებს—17.800 მანეთი; თელავის მაზრის—19.000 მანეთი, ქუთაისის მაზრის—26.750 მანეთი; ოზურგეთის მაზრის—38.500 მანეთი; თბილისის მაზრის—22.550 მან.; ბორჩალოს მაზრის—16.300 მან.; შორაპნის მაზრის—14.000 მანეთი; გორის მაზრის—33.500 მანეთი და დუშეთის მაზრის კოლმეურნეობებს—11.600 მან.

კოლექტიურ მეურნეობებს სესხი მიეცა იარაღ-მანქანების, მუშა-საქონლის და თესლეულობის შესაძენათ, ვენახების აღსადგენათ და სასოფლო-სამეურნეო შენობების ასაგებათ.

ჩაის მეურნეობის გაფართოება

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ჩაის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ში ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

მთელ საქართველოში ამჟამად ჩაის პლანტაციებს უჭირავს 2.000 დესეტინა, წელს ჩაის ახალი პლანტაციები გაშენებული იქნება ამდენივე სივრცეზე.

ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად ჩაის თესლის საჭირო რაოდენობა უკვე დამზადებულია (1740 ტ. რაოდენობით). თესლის ნაწილი შეძენილია ინდოეთში. ნაწილი დამზადებულია ადგილობრივ.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრო-დახმარების გაძლიერების საქმეს. მთელ საქართველოში ჩაის მეურნეთათვის აგრო-დახმარების გასაწევად დაარსებულია 7 აგრონომიული რაიონი, ყოველ რაიონს უხელმძღვანელებს სპეციალისტი აგრონომი. ამავე რაიონებში იმუშავებს ჩაის მეურნეობის 27 ტეხნიკოსი.

ყოველ რაიონში მოეწყობა აგრონომიული კაბინეტი და 30 საჩვენებელი ნაკვეთი. წელს გამოცხადებული იქნება კონკურსი ჩაის საუკეთესო მეურნეობაზე. საუკეთესო მეურნე გლეხები დაჯილდოვებულნი იქნებიან.

წელსვე გაიხსნება აგრეთვე ჩაის მეურნეობის ტეხნიკოსთა გადასამზადებელი და მოსამზადებელი კურსები.

საერთოდ წელს ჩაის მეურნეობის დარგში აგრონომიულ ღონისძიებების ჩასატარებლად დაიხარჯება 90.000 მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლექტიურ მეურნეობების მოწყობას. ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია 100 კოლმეურნეობა.

ჩაის მეურნეობის პერსპექტიული გეგმით უახლოესი 5 წლის განმავლობაში საქართველოში ჩაის პლანტაციების სივრცე აყვანილი იქნება 20.000 დესეტინამდე. საერთოდ საქართველოში შესაძლებელია ჩაი გაშენებული იქნეს 60—70 ათას დესეტინაზე, რომელზედაც მოსული ჩაი 60 პროცენტით დააკმაყოფილებს მთელ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას.

თესვის კამპანიის ქრონიკა

3 ვაგონი ქერი

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ ცენტრიდან მიიღო 3 ვაგონი სათესლე ქერი, რომელიც განაწილებული იქნა მაზრებს შორის.

აგრო-დახმარების გაძლიერება

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გაზაფხულის თესვის კამპანიაში აგრო-დახმარების გასაძლიერებლად გადასწყვიტა გაადიდოს აგრონომების რიცხვი. მას გარდა წელს მაზრებში დამატებით გაიგზავნება 28 სტაჟიორი და 26 პრაქტიკანტი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი.

აგრონომების რიცხვის გასადიდებლად და სტაჟიორ-პრაქტიკანტების მაზრებში გასაგზავნად გადადებულია 12.292 მანეთი.

სტაჟიორ-პრაქტიკანტები სამუშაოდ გაიგზავნება საცდელ - საჩვენებელ სადგურებში.

მუშათა ცხოვრება

საკომბინაციოდ იყენებენ

რკ. გზაზე, ბოროტმოქმედებების რიცხვი ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა—მაგრამ მისი საბოლოოდ აღმოფხვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება, რადგან ბოროტმოქმედი თანამშრომლებმა, სახაზინო ფულის გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად და ამავე დროს ამ ფულის თავის საჭიროებისათვის გამოსაყენებლად, მიმართეს სხვა საშუალებას: ისინი ხშირად რამოდენიმე თვით აბრკოლებენ სხვადასხვა დაწესებულებებისათვის მიღებულ ფულის გადაგზავნას დანიშნულებისამებრ:

ა. წ. 24 იანვარს, ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტმა თავის მყიდველს, სად. ახალ-სენაკში, გაუგზავნა თამბაქოს ნაწარმოები, რომელსაც დადებული ჰქონდა ფასი—1.068 მან. 30 კაპ. მყიდველმა 24 იანვარს გაგზავნილი საქონელი გამოისყიდა 2 თებერვალს, მაგრამ სად. ახალ-სენაკის მოლარეს, 2 თებერვალს მიღებული ფული, თამბაქოს ტრესტისათვის ჯერაც არ გადმოუგზავნია.

მეორე მაგალითი: ამავე ტრესტმა, 9 იანვარს, გაგზავნა საქონელი ხაშურში 493 მანეთი ფასდადებით, მყიდველმა საქონელი თავის დროზე გამოისყიდა, მაგრამ ხაშურის სადგურმა აღნიშნული თანხა გადმოუგზავნა ტრესტს 20 მარტს.

ასეთი მაგალითები ბევრია, მაგრამ ეს ორი დამახასიათებელი შემთხვევა, მაჩვენებელია იმისა რომ თამბაქოს ტრესტის ფული საკომბინაციოდ აქვს გადაქცეული რკინის გზის ზოგიერთ „კატიონან" თანამშრომლებს.

რკინის გზის გამგეობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ. ვანო.

დაუდევრობა სარონოდო ფარეხში

27 მარტს, საყუდის უფროსის ამხ. ვ. აკიძის განკარგულებით, როგორც საყუდის, ისე სარონოდო ფარეხის ყველა შეკვეთები, უნდა ჩაბარებულიყო სანგარიშოდ 31 მარტს ამ შეკვეთების დამთავრებამ დიდი სარგებლობა მოუტანა რკ. გზას.

შეკვეთების შესრულების გამომკვლევმა კომისიამ, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა, მრავალ მიღწევებთან ერთად აღმოაჩინა ნაკლიც.

განსაკუთრებით სარონოდო ფარეხში, უფროს ოსტატების მხრივ დიდ დაუდევრობას აქვს ადგილი. ოსტატები გულგრილად ეკიდებიან საქმეს და უთავბოლოდ აწერენ ხელს შეკვეთებზე, ისინი არ კითხულობენ, შესრულებულია, თუ არა ეს საქმე, ან თუ შესრულებულია, როგორ არის შესრულებული ამის გამო მუშების ხელფასი ცვალებადია. ხან მეტი, ხან ნაკლები. მჭედლებს, წასულ თვეებში გაკეთებული ჰქონდათ 299 პროც. მარტში კი 109 პროც. ეს გამოიწვია იმან, რომ უფროს ოსტატებს დაუმთავრებელ შეკვეთებზეც აქვს ხელი მოწერილი. ე. ი. მჭედლები წინასწარ იღებენ ის საქმის ხელფასს, რომელიც ჯერ არ შესრულებულა. ეს კი საგრძნობ ზარალს აყენებს ჩვენს წარმოებას. გარდა ამისა თვით შეკვეთების ფასებშიაც არის განსხვავება: ზოგიერთ საქმეზე ფასი თითქმის განახევრებულია. შეკვეთის შესრულებაც არ სწარმოებს წესიერად:

№ 89 შეკვეთა,—500 „ვალიკი"-ს დამზადების შესახებ, შესრულებულია მხოლოდ 300 ცალი. 200 ცალს კი არც თავი და არც ბოლო არ უჩანს. რა იქნა, სად წავიდა არავინ იცის.

მეორე შეკვეთა № 231 საფაბრიკო-საქარხნო სკოლისათვის 60 ც. ნაპირმზომავის დამზადების შესახებ, ნაწილობრივ არის შესრულებული. თებერვალში ხარატებმა და მხვრეტელებმა გააკეთეს 200—240 პრ. მარტში კი 133-151%. პროცენტების დაკლება გამოწვეულია იმით, რომ მათ დაუკავეს გაკეთებული შეკვეთების მიღებული ფული

საერთოდ აქაც ძალიან ცუდათ არის დაყენებული შეკვეთების შესრულების საქმე.

ასეთ უწესრიგო მუშაობის გამო, კომისიამ ვერ გამოარკვია სარონოდო ფარეხის მუშაობა

საჭიროა საყუდის უფროსმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და მიიღოს ზომები სარონოდო ფარეხში, ასეთი დაუდევრობის და შეკვეთების ხელფასის ყალბი საბუთებით მიღების მოსასპობად.

მემანქანე.

—:—

ხელშეკრულება ირღვევა

(ქუთაისი)

მოწამეთისა და ბარიტის ქარხნების მუშებს, ხელშეკრულების ძალით ხელფასი უნდა ეძლეოდეთ თვეში ორჯერ; 13-დან 15-მდე, მაგრამ სინამდვილეში ეს არ ტარდება. ძალიან ხშირად ჯამაგირები რიგდება ერთი კვირის დაგვიანებით. ისე, რომ ხუთ რიცხვში მისაღებ ფულს—მუშები ღებულობენ 18—20 რიცხვებში. მუშებმა ბევრჯერ მიმართეს ამის შესახებ პროფორგანოებსაც და ადგილკომებსაც, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

შრომის ინსპექციამ, სასწრაფო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და აიძულოს ადმინისტრაცია, რათა მუშებს ხელფასი დროზე დაურიგოს.

ნ. მიქაშავიძე.

მეტ ხარჯებს იწვევს

რკინის გზაზე არსებულ წესების თანახმად, ვიდრე ორთქლმავალს მიუბამენ მატარებელს, იგი საყუდში უნდა იქნეს დათვალიერებული და გასინჯული. ზოგიერთი საყუდის უფროსები ნაკლებად ზრუნავენ ამ წესების უნაკლოდ შესრულებაზე და ხშირად დაუთვალიერებლად და გაუსინჯავად გზავნიან სამუშაოდ ორთქლმავლებს.

ასეთი უყურადღებობის წყალობით გადასარბენზე თუ სადგურზე, მუშაობის დროს ორთქლმავლებს ადვილად უფუჭდებათ ესა თუ ის ნაწილი და უვარგისი ხდება სამუშაოდ. რის გამო მატარებლები ბრკოლდებიან სადგურებში და ცდება, როგორც ორთქლმავალი, ისე ბრიგადაც. ამას კი დიდი ზარალი მოაქვს რკინის გზისათვის.

ორთქლმავლების გაფუჭებისა და უვარგისობის გამო სამგზავრო მატარებლები უნაყოფოდ დაბრკოლდა: სად. საგრეჯოში მატ. № 3—58 წუთით, სად. ზაღადერაში ჩქარი მატ. № 2—55 წუთით, სად. ხურდალაში ჩქარი მატ. № 2—2 საათ. და 41 წ. სად. შულავერში მატ. № 11—55 წ., სად. ანში მატ. № 12 3 ს. 45 წ.სად. არჩუთში მატ. № 3—1 საათ. 57 წ. სად. აირუმში მატ. № 3 1 საათ. 51 წ. სად. მალაინში მატ. №8 1 ს. 20 წ. და სხ.

ასეთი უყურადღებობა საყუდებში ყოვლად დაუშვებელია. წევის დარგმა ამ უწესრიგობას უნდა მოუღოს ბოლო და დაიცვას რკინის გზა უნაყოფო ხარჯებისაგან.

გრძელი.

—

გაბერილი შტატი

რკინის გზის სამმართველოს შტატის შემამცირებელი კომისია, რომელმაც უკვე ჩაატარა თბილისის რკ. გზის წარმოება-დაწესებულებებში შტატების შემოკლებები, ადგილებზე ძალიან ცუდათ მუშაობდა; კომისიის წევრები თითქმის სრულებით არ იცნობდნენ თვითეულ დარგის შტატის შემადგენლობას. ამიტომ მოხდა, რომ შემცირებაში მოყვნენ ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც შემცირების შემდეგ უკანვე იღებენ და ხარჯავენ ზედმეტ თანხებს. ამავე დროს კი კომისიამ მხედველობის გარეშე დასტოვა ისეთი თანამდებობები, რომლებიც არავითარ ნაყოფს არ აძლევენ რკ. გზას.

მაგალითად: რკ. გზის გამგეობის ყველა წევრს, ჰყავს თავისი საკუთარი მდივანი, ხოლო ამას გარდა თვით გამგეობას ჰყავს ცალკე მდივანი. ყველა ამ მდივნების მოვალეობას კი ადვილად შეასრულებს სამი მდივანი; ერთი გზის უფროსის, რომელიც დაანაწილებს საქმეებს გამგეობის წევრებზე, მეორე მთელ გამგეობის და მესამე კი შეასრულებს ტეხნიკურ სხვადასხვა დავალებებს.

ამგვარად რკ. გზის სამმართველოში, ორი მდივანი, რომელიც რკ. გზას უჯდება თვიურად არა ნაკლები 200 მანეთისა, სრულიად ზედმეტია.

შტატის შემამცირებელმა კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

წყარო.

—

მუშკორთა წერილებიდან

თამბაქოს ვაჭრობს. გუმბრის ქუჩაზე, ნახ. № 25-ში მცხოვრებ მოქ. ი. თუმანოვს, ამავე ქუჩაზე № 18 სახლში. მოწყობილი აქვს თამბაქოს საჭრელი მანქანა და აწარმოებს თამბაქოს საიდუმლო ვაჭრობას. სააქციზო სამმართველოც, ჩამოართვი მოქ. თუმანოვს მანქანა.

რეზო.

ადმინისტრაციამ პასუხი უნდა მოითხოვოს. ამას წინად ფ. ტ. მთ. კანტორაში, ტვირთის ასაწევ მანქანიდან, რომელიც იდგა მეორე სართულზე, გადმოვარდა ერთი მტვირთველი მუშა, რამოდენიმე ხნის შემდეგ მუშა გარდაიცვალა. გადმოვარდნის მიზეზი იყო მანქანაზე მოთავსებული უქონლობა. მას შემდეგ ორი თვე გავიდა და ადმინისტრაციას კი არავინ პასუხს არ სთხოვს. შრომის ინსპექციამ, მიეცი ადმინისტრაცია პასუხისგებაში.

დარაჯი.

ბიურომ გადარჩევა. რკ. გზის სამმართველოსთან არსებულ აგიტკომის საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება საზოგადოების ბიუროს მუშაობის შესახებ და მოახდინა ახალი ბიუროს არჩევნები.

ბ—ძე.

ზედმეტს ამუშავებენ. საყუდის სამორიგეო „სამილიარონის" თანამშრომლებს ყოველ დღე უხდებათ ზედმეტი მუშაობა. თანამშრომლებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს ადმინისტრაციასაც და ინსტრუქტორსაც, რომ ბოლო მოეღოთ ზედმეტ სამუშაოებისათვის, მაგრამ არც ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევს. ადგილკომი მიაქციე ყურადღება.

ოხრანელი.

მხატვართა წრე კედლის გაზეთთან. რკინის გზის მთავარ სამმართველოს კედლის გაზეთთან ჩამოყალიბდა მხატვართა წრე, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა გაზეთის შინაარსი. საჭიროა სხვა კედლის გაზეთებმაც მიბაძონ ამ მაგალითს.

კანტორის მოხელე.

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვარშავა, 17 აპრილი. ბელორუსთა გრომადის პროცესზე სასამართლო შეუდგა დამცველთა მოწმის—„ვიზვოლენიე"-ს ყოფილ ლიდერ ტუგუტის ჩვენების მოსმენას. ტუგუტის განცხადებით, სეიმში პირველად წარმოთქმული სიტყვით ტარაშკევიჩმა დაამტკიცა, რომ ის არის ბელორუსიის ხალხის წარმომადგენელი. ვიტოსის მთავრობის დროს ტარაშკევიჩმა მიმართა ტუგუტს თხოვნით შეეტანა სეიმში შეკითხვა ბელორუსთა სკოლების დახურვის და ბელორუსულ გაზეთების უმიზეზო კონფისკაციის შესახებ. ტუგუტის ჩარევა უშედეგო გამოდგა. სეიმის ბელორუსული კლუბი ტარაშკევიჩს ბრალს სდებდა ზედმეტ პოლონოფილობაში, რის გამო ტარაშკევიჩი იძულებული გახდა დაეტოვებია პოსტი. „ვიზვოლენიე"-ს დეპუტატი—ქალი კოსმოვსკაია დადებითად ახასიათებს ტარაშკევიჩის პიროვნებას და ამავე დროს აღნიშნავს, რომ არ შეუნიშნავს, რომ ის ყოფილიყო უკიდურესი შეხედულებების. ტარაშკევიჩი ამბობდა, რომ ბელორუსები მიიღებენ ეკონომიურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას პოლონეთის რესპუბლიკის ფარგლებში. კოსმოვსკაია ამტკიცებს, რომ ტარაშკევიჩი უაღრესად იდეური კაცი და დიდი პატრიოტია და არასოდეს არ ეძებდა პირად სარგებლობას. ცნობილი ვექილი იუნძვილი ბრწყინვალედ ახასიათებს ძმებს ლუცკევიჩებს, რომლებიც ყოველთვის იბრძოდნენ ბელორუსულ სკოლისა, ენისა და წიგნისათვის. იაკობინი აღნიშნავს, რომ რაკ-მიხაილოვსკის მიუძღვის დიდი დამსახურება. 1917 წელში იგი ეკუთვნოდა ბელორუსთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც აღებული ჰქონდა პოლონეთის ორიენტაცია. რაკ-მიხაილოვსკი დეპუტატად ყოფნის დროს ძლიერ უბრალოდ ცხოვრობდა. (ადს).

კომუნისტი—მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე

ბერლინი, 17 აპრილი. ბაზელიდან იუწყებიან: ბურჟუაზიული პარტიების 54 ხმის წინააღმდეგ კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების 58 ხმით უმრავლესობით ბაზელის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია კომუნისტი ვიზერი. (ადს).

ჩინეთი და იაპონია

მზადება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამერიკაში

სოციალისტების კანდიდატი

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. ამერიკის სოციალისტურმა პარტიამ ნორმან ტომასი წამოაყენა თავის კანდიდატად პრეზიდენტის არჩევნებში. (ადს).

სპარსეთ-თურქეთის კონფლიქტი მოგვარებულია

თეირანი, 17 აპრილი.- გაზეთების ცნობით, სპარსეთის საგანგებო წარმომადგენლის ფორუის მოლაპარაკების შემდეგ, უთანხმოება სპარსეთის და თურქეთის მთავრობებს შორის მოგვარებულია. (ადს).

გერმანიის კომკავშირის კონფერენცია

ბერლინი, 17 აპრილი. ხემნიცში შესდგა გერმანიის კომკავშირის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ ცეკას ყველა წევრები და ადგილობრივი ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის და ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმების შესახებ და საქმიანი კამათის შემდეგ, რომელიც ეხებოდა პროფკავშირების მუშაობას, ერთხმად შეუერთდა პლენუმების ყველა რეზოლიუციებს. კონფერენციის პატივსაცემად ხემნიცში შესდგა დემონსტრაცია 45.000 მუშის მონაწილეობით.

მიწისძვრა ბალკანეთზე

ვენა, 17 აპრილი. სოფიიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ ბულგარეთში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც გავრცელდა 700 კვ. კილომეტრის მანძილზე. ქალაქები ჩირპანი და ბურაევი სავსებით განადგურებულია, ფილიპოპოლი, ბორისოვი და სხ. ქალაქების ნაწილი დაინგრა. სარკინიგზო კავშირი სამხრეთ-ბულგარეთთან შეწყვეტილია. მოსახლეობა გამოსულია სახლებიდან და ღია ცის ქვეშ იმყოფება. მიწისძვრას ადგილი ჰქონდა მთელი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ნაწილობრივ იტალიაში (ადს).

ვენა, 17 აპრილი. უკანასკნელი ცნობებით, მიწის ძვრამ ბულგარეთში დიდი ზარალი მიაყენა ჩრდილოეთ ოლქებსაც. ძლიერ დაზარალდა შემდეგი ქალაქები: პლევენა, ტირნოვო, ძველი ზაგორა, ფილიპპოპოლი და სხ. სოფიაში რამოდენიმე სახლი დაინგრა.

ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, მიწის ძვრას ადგილი ჰქონდა აგრეთვე რუმინეთში, ქალაქ გიურჯუში, სადაც დაინგრა პროფკავშირის შენობა და დაზიანდა რამოდენიმე სახლი (ადს).

საიმონის დაბრუნება

ქაბული, 17 აპრილი. ინდოეთის პრესის ცნობით, საიმონის კომისია ბომბეიდან გაემგზავრა ლონდონში. (ადს).

ლენინი იტალიის ფულის ნიშნებზე

ვენა, 17 აპრილი. ბელგრადის გაზეთ „ნოვოსტი"-ს ცნობით, იტალიის ზარაფხანა ამას წინად შეუდგა 20 ლირიან ღირსების ფულის მოჭრას. ფულზე გამოხატულია მეფე ვიქტორ-ემანუილი. მაგრამ გამოხატულება ისეა შესრულებული, რომ მისი გადატრიალების შემდეგ შეიძლება ლენინის თავის კონტურების დანახვა. ამის აღმოჩენის შემდეგ მთავრობამ დაითხოვა ზარაფხანის ყველა მუშები და გადაასახლა ზარაფხანის დირექტორი რომანიოლი. (ადს).

ამერიკის სოციალისტური პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. მღვდელი ნორმან ტომასი, რომელიც წამოყენებულია სოციალისტური პარტიის კანდიდატად მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, გამოვიდა ყრილობაზე სიტყვით, რომელშიაც გაილაშქრა მოქმედების რევოლიუციონურ მეთოდების წინააღმდეგ. ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად პარტიიდან წამოყენებულია ჯემს მაურერი, შრომის ფედერაციის პენსილვანიის განყოფილების თავმჯდომარე. სოციალისტური პარტიის ყრილობამ შეიმუშავა პარტიაში მიღების ახალი წესები. ანკეტების ძველი ფორმა გაუქმებულია და შეცვლილია ახალით, რომელშიაც არაფერი არ არის ნათქვამი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესახებ და რომელშიაც ლაპარაკია პარტიის მხოლოდ „დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე". (ადს).

საბჭ. კავშირის მეგობართა საზ-ბის კონფერენცია

ლონდონი, 17 აპრილი. საბჭოთა კავშირის ინგლისელ მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა: 22 აპრილს ლონდონში გაიმართოს საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა კონფერენცია. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის სესია

ამხ. ვაინშტეინის მოხსენება მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

მოსკოვი, 18 აპრილი. საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 17 აპრილს მოსმენილ იქნა ამხ. ვაინშტეინის მოხსენება 1925—26 წ. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის სესია პირველად იხილავს ცნობებს მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ცხოვრებაში გაატარა საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის დირექტივა, ბიუჯეტის უდეფიციტოთ შესრულების შესახებ. საერთო სახელმწიფო რეზერვის შექმნა შემოსავლის აკრეფის დაგვიანების გამო მოხერხდა არა 1925—26 წელში, არამედ 1926—27 წელში, ამხ. ვაინშტეინი მთელი რიგი ციფრებით ასურათებს შეცდომებს 1925—26 წლის ბიუჯეტის შესრულებაში. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობისათვის გადადებული კრედიტები ძალიან დაგვიანებით აღწევს გლეხის მეურნეობამდე. შემდეგ ამხ. ვაინშტეინი დაწვრილებით ეხება საირიგაციო სამუშაოთა და ელექტრომშენებლობის ნაკლულოვანებებს; დასასრულ იგი ახასიათებს სახელმწიფო ფინკონტროლის მუშაობას, რომელსაც მთელი რიგი მიღწევები აქვს.

კამათი ამხ. ვაინშტეინის მოხსენების გარშემო არ გამართულა და მოხსენების გამო დადგენილების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა სესიას, მიღებულ იქნა საფუძვლად და დასამუშავებლად გადაეცა საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიას.

მოხსენება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საღამოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა ახალი კანონი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. სესიამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. კალინინის მოხსენება, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის როლი გლეხის მეურნეობაში და დასახა ახალი კანონის ძირითადი დებულებანი. ამხ. კალინინი თავის მოხსენებაში შეეხო აგრეთვე პურის დამზადების კამპანიასთან, გლეხთა თვითდაბეგვრასთან და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თანამოხსენება ამავე საკითხის შესახებ გააკეთა ამხ. ფრუმკინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გლეხთა მეურნეობისათვის არ არის სამძიმო და დღემდე გლეხობა მას იხდიდა უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის მეორე ხარისხოვანი პროდუქტების გაყიდვით. შემდეგ ამხ. ფრუმკინი შეეხო კანონს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ახალი 1928—29 წელში განსაზღვრულია 400 მილიონი მან. რაოდენობით, რომლიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება თვით გლეხთა მოსახლეობის საჭიროებებს, დაბეგვრის სისტემა ახალი კანონით ისეთია, რომ ერთის მხრით ამსუბუქებს მცირე შეძლების გლეხთა დაბეგვრის სიმძიმეს და მეორე მხრით აძლიერებს სოფლის კულაკური ფენების დაბეგვრას. მიმდინარე წელში სავსებით უნდა იქნას განხორციელებული მთავრობის დირექტივა მეურნეობათა 35 პროცენტის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. ამასთან ერთად აუცილებელია მიღებული იქნას აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ ამავე წელში გამოირკვეს დაბეგვრის ყველა ობიექტები, რომლებიც დღემდე დაფარული იყო ჩვენგან. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვავითაროთ ფართო საზოგადოებრივი კამპანია ყველა აშკარა შემოსავლის წყაროების გამოსააშკარავებლად. ამ მუშაობის შესამსუბუქებლად დეკრეტი ადგილებს ანიჭებს უფლებას დააჯარიმონ ყველა ის პირნი, რომელნიც თავის შემოსავალს დამალავენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაბეგვრისაგან. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ზრდა საერთოდ უმნიშვნელოა გლეხის მეურნეობის შემოსავლის ზრდასთან შედარებით. (ადს)

მოსკოვი, 18 აპრილი. 18 აპრილს, საკავშირო საბჭოს დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. კალინინისა და ფრუმკინის მოხსენებათა გარშემო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა საერთოდ აღნიშნეს განსახილველად წარდგენილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის სისწორე და მიუთითეს მის ზოგიერთ მხარეებზე, რომლებიც კვლავ უნდა დამუშავდეს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს.

18 აპრილს, საღამოთი, გაგრძელდა კამათი ამხ. კალინინისა და ფრუმკინის მოხსენებათა გარშემო. (ადს).

მონარქისტ-ჯაშუშების პროცესი

მინსკი, 18 აპრილი. საოლქო სასამართლოში დამთავრდა მონარქისტ-ჯაშუშების საქმე. ჯგუფის მეთაური მიხაილოვი 1919 წელს კონტრ-რევოლიუციისათვის დახვრეტილი პოლკოვნიკის შვილია. იგი ერთ-ერთი მონარქისტული მებრძოლი რაზმის უფროსი იყო. ჯგუფის მეორე წევრი ლუტკოვიჩი მონარქისტული გაზეთის (ლატვიაში გამოდის) რედაქტორის შვილია. ჯაშუშები დაპატიმრეს საბჭოთა კავშირისა და ლატვიის საზღვრის გადასვლის დროს. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდა იარაღი და კონტრ-რევოლიუციონური ლიტერატურა, კერძოდ, ნიკოლოზ-ნიკოლოზის ძის მოწოდება. ჯაშუშების მთავარი ამოცანა იყო: ფარული წრეების ორგანიზაცია, აჯანყება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ცალკე ტერორისტული აქტების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მოღვაწეების წინააღმდეგ. ჯგუფის მეთაურს მიხაილოვს სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა. ჯგუფის დანარჩენ ორ წევრს სასამართლომ გადაუწყვიტა ხუთი წლის პატიმრობა. (ადს)

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ახალი შადრევნები

ბაქო, 18 აპრილი. სურახანში, მეექვსე სარეწაოზე ამოხეთქა ახალმა შადრევანმა. შადრევანი დღე და ღამეში 400 ტონა ნავთს იძლევა. იმავე რაიონში მეხუთე სარეწაოზე ამოხეთქა შადრევანმა, რომელიც დღე და ღამეში იძლევა 400 ტონა წმინდა ნავთს. (ადს).

ბაქო, 17 აპრილი. აზნავთის კარა-ჩუხურის შადრევანი განაგრძობს მოქმედებას. შადრევანი ძლიერდება. წნევამ მილთან მიაღწია 21-22 ატმოსფერამდე. შადრევანი დღე-ღამეში იძლევა 700 ტონა წმინდა ნავთს. დაწყებულია 6 დიუმიან ნავთსადენის გაყვანა ნავთის გადასაქაჩავად სურახანში. გეოლოგიურმა ბიურომ დანიშნა ადგილი სამი ახალი ჭაბურღილის ამოსათხრელად. (ადს).

სომხეთი

წყალდიდობა

ნახიჩევანი, 18 აპრილი. მდინარე არეზმა აიწია 190 სანტიმეტრით. პარაგის რაიონში ძლიერმა წვიმამ წალეკა რამდენიმე ათეული სახლი, წისქვილი, ბევრი ხეხილი, ხიდები და სხვა. (ადს).

ზომები მიმოსვლის აღსადგენად

ერევანი, 18 აპრილი. სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, მიწათმოქმედების კომისარი ამხ. ერზინკიანი დაინიშნა საგანგებო რწმუნებულად და მას განსაკუთრებული უფლებები ექნება რკინის გზაზე მიმოსვლის აღდგენის საქმეში. დანიშნულ ადგილზე წასვლის წინ ამხ. ერზინკიანმა ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა:

„რადგან ძორაგეთზე საქონლის მატარებლების გატარება შეუძლებელია, სომხეთისათვის ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგები და ჩაიშალოს გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის გაწეული მუშაობა. არ არის საშუალება, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ადგილებზე მიტანილ იქნას სათესლე და საქონლის საკვები, რომელიც რკინის გზით ჩრდილო-კავკასიიდან მოდის. დღეს მე მივემგზავრები იქ, სადაც აღმდგენლობითი მუშაობა სწარმოებს და იმედი მაქვს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში დიდი ძალ-ღონის დახარჯვის წყალობით მოხერხდება პირდაპირი მიმოსვლის აღდგენა თბილის-ერევნის რკინის გზაზე".

როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი

ამ წერილით ჩვენ გვინდა რაც შეიძლება მოკლეთ განვსაზღვროთ მაზრის პროკურორის უფლება მოვალეობანი. ამ საგანზე წინეთაც ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება თუ კიდევ შევეხებით მას ჩვენ და მით ერთგვარ დახმარებას გაუწევთ ადგილობრივ ჩვენს მუშაკებს.

საბჭოთა კავშირი შეუჩერებლად იზრდება ეკონომიურად და მტკიცდება პოლიტიკურად. ამასთან ერთად თანდათან რთულდება სამოქალაქო ურთიერთობა და მუშაობა შედარებით წინანდელთან უფრო მძიმე ხდება. ასეთ მდგომარეობას ზედ ერთვის ის გარემოება, რომ ჩვენს მეურნეობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დათმობილი კერძო ინიციატივას—კერძო კაპიტალს. აქ ძველი, ბურჟუაზიული და ახალი სოციალისტური სისტემა ერთი მეორეს ებრძვის. ჩვენი კანონი კერძო ინიციატივას აძლევს გასაქანს იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო არის თვით პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის. ამ კანონების გატარების დროს სამი მთავარი მოვალეობა აქვს დაკისრებული პროკურორს: სამოსამართლო-საგამომძიებლო მეთვალყურეობა, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებზე საერთო ზედამხედველობის გაწევა და კულტურული მუშაობის წარმოება.

შევეხოთ პირველს. დღემდე პროკურორი მთელ თავის მუშაობის დროს ანდომებდა მხოლოდ საგამომძიებლო და სამოსამართლო საქმეებს, მთავარი ე. წ. საერთო ზედამხედველობის წარმოება კი უკანა რიგში იყო მოქცეული, ამ მხრით ან სრულებით არაფერი კეთდებოდა, ან თუ კეთდებოდა, ძალიან ცოტა.

პროკურორი მთელ თავის დროს სასამართლოებში პროცესებზე მონაწილეობას ანდომებდა და ამიტომაც არამც თუ საერთო ზედამხედველობა მოიკოჭლებდა, არამედ შეიძლება საგამომძიებლო ორგანოებიც ხშირად პროკურორის სათანადო მეთვალყურეობის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. ეს ასე იყო დღემდის, მაგრამ არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს მომავალშიაც. ამხანაგებს ეცოდინებათ, რომ [illegible] გასამარტივებლად უკვე სათანადო ნაბიჯები არის გადადგმული. რუსეთის სისხ. სამ. საპრ. კოდექსის პროექტის მიხედვით პროკურორის პროცესში მონაწილეობა მეტად შემცირებულია. ასე რომ, პროკურორი ამ მხრით ახლო მომავალში ოთხმოცი პროცენტით განიტვირთება და მით საშუალება მიეცემა ეს თავისუფალი დრო საგამომძიებლო ორგანოებზე მეთვალყურეობას და საერთო ზედამხედველობის გაჯანსაღების საქმეს მოანდომოს. ეს გარემოება პროკურორს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომკვლევისა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობას.

წინასწარი გამოძიება და მოკვლევა უნდა გავაჯანსაღოთ და მით დახმარება უნდა გაუწიოთ სახალხო და სამაზრო სასამართლოებს. იუსტიციის მუშაკებმა კარგათ უნდა იცოდენ თუ რა დიდ მნიშვნელობა აქვს კარგად და სრულიად უნაკლოდ გამოძიებული საქმის გაშვებას სასამართლოს ორგანოებში „ვოლოკიტის" და საქმის გაჭიანურების მოსასპობათ. რამდენი შემთხვევაა, რომ არა სათანადოთ გამოძიებული საქმე იდება და იგზავნება გამოძიების შესავსებათ, რითაც ამ საქმის ხელმეორედ გარჩევა გვიანდება, ჭიანურდება და ამით ის კარგავს მთელ თავის მნიშვნელობას როგორც ჩვენთვის, ისე საზოგადოებისათვის. ამას ბოლო უნდა მოეღოს. პროკურორი ვალდებულია სისტემატიურად ადევნოს თვალყური გამოძიებისა და მოკვლევის წარმოებას, ის კვირაში ერთხელ მაინც უნდა უსინჯავდეს საქმეს გამომძიებელს და აძლევდეს სათანადო მითითებებს და დარიგებას. პროკურორს კარგათ უნდა ყავდეს შესწავლილი თვითეული გამომძიებელი, როგორც ცოდნის მხრით, ისე როგორც პიროვნება. მან უნდა იცოდეს თუ როგორ ასრულებს თავის მოვალეობას გამომძიებელი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოკვლევის საქმის სათანადოთ გაჯანსაღებას. მონაკვლევი მასალა ხომ სახ. სასამართლოებში მიდის და თუ ის სრული და უნაკლო არ არის, ამით სახ. სასამართლოებს ჩვენ ვაყენებთ მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ მაზრის პროკურორი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყრას მოკვლევის საქმეს და სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ის. პროკურორი პერიოდიულათ უნდა ათვალიერებდეს და ახსნა-განმარტებას აძლევდეს როგორც მაზრის, ისე რაიონის მილიციის ორგანოებს. პროკურორის თვითეული დათვალიერება უნდა აღინიშნებოდეს მილიციის სათანადო წიგნებში. ამით ცენტრალურ პროკურატურას საშუალება ექნება რევიზიის დროს შეაფასოს თუ როგორი არის პროკურორის მუშაობა ამ დარგში.

პროკურორი რაც შეიძლება ხშირად უნდა ათვალიერებდეს მაზრის გამასწორებელ სახლს. უნდა ეცნობოდეს პატიმართა მდგომარეობას: ხომ არა აქვს ადგილი უკანონოთ დაპატიმრებას (თუ ასეთს აღმოაჩენს, მას იქვე შეუძლია მისცეს განკარგულება განთავისუფლების შესახებ), როგორია მოპყრობა ტუსაღებისადმი ადმინისტრაციის მხრით, ხომ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ულუფას, არის თუ არა დაცული სისუფთავე, სწარმოებს თუ არა პატიმრებში კულტურული მუშაობა და სხვა. ყველა ამას პროკურორი ყურადღებას უნდა აქცევდეს და უნდა ღებულობდეს ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად სამაზრო ხელისუფლების საშუალებით.

თ. დოლიძე.

ა.-კ. კომკავშირის ორგანიზაციათა მეხუთე ყრილობა

კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო

საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო ყრილობის 14 აპრილის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო.

ამხ. ხაჩიკიანი (თბილისი) ლაპარაკობს ახალი კვალიფიციური მუშაკების მომზადების საკითხზე. „მომზადების ძირითადი ფორმა,—ამბობს იგი,—არის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები, საბრიგადო და ინდივიდუალური შეგირდობა. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები დღემდე იმყოფებიან არა საწარმოო ერთეულებთან, არამედ სახალხო განათლების ორგანოებთან. ამის შედეგია ის, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მოსწავლენი იღებენ ცალმხრივ ცოდნას, რომელსაც ისინი ვერსად ვერ იყენებენ".

ამხ. ავანესოვი (ბაქო) ეხება ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხს. „სამღვდელოების მუშაობა ეხლა,—ამბობს იგი,—სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ჩვენ კი არაფერს არ უპირდაპირებთ მათ მუშაობას. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგიერთ კომკავშირთა შორის ვამჩნევთ ერთგვარ რელიგიურ განწყობილებას".

ამხ. ბასიევი (სამხრეთ-ოსეთი) პარტიული შემადგენლობა საკმაო მონაწილეობას არ იღებს კომკავშირის მუშაობაში. ამ.-კავკასიის უჯრედთა ბიუროების შემადგენლობაში სულ არის პარტიის მხოლოდ 2.157 წევრი და კანდიდატი. ეს რიცხვი არაა საკმაო. სუსტად სწარმოებს ქალიშვილთა აქტივის დაწინაურება.

ამხ. პარონიკიანი (სომხეთი) აღნიშნავს, რომ არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა ტროცკიზმთან, ვინაიდან ტროცკიზმი, მისი აზრით, საბოლოოდ არ მოსპობილა. კვლავ უნდა ვაწარმოოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ტროცკიზმი.

ეხება რა მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, ამხ. პარონიკიანი აღნიშნავს, რომ ის აქტივი, რომელსაც ევალება მუშაობა მოჯამაგირეთა შორის, ძალიან სუსტია და ამიტომ ჩვენი მუშაობა მოჯამაგირეთა შორის მოიკოჭლებს. საჭიროა მოჯამაგირეთა კომიტეტების ხელმძღვანელთა განათლების დონის ამაღლება.

ამხ. ბაჯიევა (აზერბეიჯანი) ამბობს, რომ ცეკას და საოლქო კომიტეტის მომხსენებლები ეხლა, 1928 წელში იმეორებენ იმავე სიტყვებს, რომლებსაც ქალიშვილთა შორის მუშაობის შესახებ ამბობდნენ 1921-23 წლებში. ჩვენ დღემდე ვერ შევსძელით ქალიშვილთა ჯეროვნად ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში. ამის მიზეზს ამხ. ბაჯიევა ხედავს იმაში, რომ პარტიის წევრები და კომკავშირელები საზოგადოებრივ მუშაობაში არ აბამენ თავის ცოლებს და დებს. მუშაობა ქალიშვილებს შორის მოიკოჭლებს იმიტომაც, რომ ჩვენს კომიტეტებს არ ჰყავთ სპეციალური მუშაკები ამ დარგისათვის.

ამხ. ზარენბო (აჭარისტანი) ამბობს, რომ მუშა-ახალგაზრდობის ფიზიკურად გაჯანსაღების საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული. ფიზკულტურის ორგანიზაციები ზრდის მაგივრად უკანასკნელ ხანებში მცირდება. ეს ხდება იმის გამო, რომ ფიზკულტურის წრეებს არ აქვთ საკმაო თანხები და ახალგაზრდობის გული უცრუვდება ამ წრეებში მუშაობაზე.

ბაქო, 17 აპრილი. 15 აპრილს ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო. კამათში გამოსულმა ორატორებმა კავშირის მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აღნიშნეს მთელი რიგი დეფექტები. სუსტია აქტივის თეორიტიული მომზადება და აგრეთვე საოლქო კომიტეტის კავშირი ქვედა საფეხურის ორგანიზაციებთან. აქტივი არ აქცევს საკმაო ყურადღებას კულტმუშაობას და სხვ.

15 აპრილის საღამოს სხდომა

ამხ. რახმანოვის საბოლოო სიტყვა

15 აპრილს საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. რახმანოვი, თავისი სიტყვის დასაწყისში ის ეხება კომკავშირის სამხედრო მუშაობას და აღნიშნავს, რომ სამხედრო მუშაობის საქმეში კავშირს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ამ მუშაობის სუსტი ადგილია ისეთი ორგანიზაციის არასაკმაოდ გამოყენება, როგორიცაა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება. ეხება რა ახალგაზრდობის ფიზიკურ გაჯანსაღების საკითხს, ამხ. რახმანოვი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურის საინსტრუქტორო კადრის სოციალური შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საჭიროა კომკავშირის მუშაობის გაძლიერება და განმტკიცება ანტირელიგიურ ფრონტზე, რისთვისაც ურწმუნოთა საზოგადოებაში ჩაბმულ უნდა იქნენ ენერგიული აქტიური კომკავშირელები. ამასთანავე ერთად საჭიროა კავშირის კულტურული მუშაობის გადათვალიერება და მასში ისეთი ღონისძიებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალგაზრდობაზე სარწმუნოებრივ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. პარალელურად საჭიროა მიღებულ იქნეს დამსჯელი ღონისძიებები გაუსწორებელ კომკავშირელების მიმართ,

გადადის რა საკითხზე ჰასაკგადაცილებულ კომკავშირელთა შესახებ, ამხ. რახმანოვი ამბობს, რომ საოლქო კომიტეტი საჭიროდ სთვლის ჰასაკგადაცილებულთა საუკეთესო ნაწილის პარტიაში მიღებას, ხოლო დანარჩენებისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობის უზრუნველყოფას.

დასასრულ ამხ. რახმანოვი ამბობს: „პარტხელმძღვანელობა უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა. ეჭვს გარეშეა, რომ იმ სიძნელეებს, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე, ჩვენ წარმატებით დავძლევთ მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის საშუალებით".

ამხ. ეგოროვის მოხსენება

ამხ. რახმანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ამხ. ეგოროვი გამოდის მოხსენებით შემდეგ თემაზე: კომკავშირის ამოცანები შრომის სფეროში და მუშათა ახალგაზრდობის განათლება.

„ჩვენი კავშირის განვითარების ეხლანდელ პერიოდში—განაცხადა ამხ. ეგოროვმა,—ეკონომიური და საგანმანათლებლო მუშაობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ღებულობს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საკითხზე საფაბრიკო-საქარხნო სკოლების შესახებ და ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს დიდი მიღწევები აქვს. მიუხედავად ამისა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები სრულიად მოწყვეტილი არიან ჩვენი მრეწველობისაგან და კვალიფიციურ ძალებს ამზადებენ ყოველგვარ გეგმის გარეშე. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევუთანხმოთ სამეურნეო ორგანიზაციებს საფაბრიკო-საქარხნო სკოლების წარმოებასთან მიმაგრების საკითხში.

„პროფტექნიკურ განათლებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის პრაქტიკაში,—ამბობს მომხსენებელი,—აქამდის ბევრი არანორმალური მოვლენები არსებობს. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს თითქმის ხუთი სხვადასხვა ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება და მთელი ადმინისტრატიულ-პედაგოგიური ხელმძღვანელობის გადასვლა სახალხო განათლების განყოფილებასთან არსებულ პროფგანათლების ქვე-განყოფილებების ხელში".

შემდეგ ამხ. ეგოროვი ამბობს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ინდივიდუალურ-საბრიგადო შეგირდობას. უნდა დაისვას საკითხი საბრიგადო შეგირდობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ტიპზე გადასვლის შესახებ.

ეხება რა შრომის სკოლებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მეორე საფეხურის სკოლებს. ამ ტიპის სკოლებს საჭიროა მივსცეთ სამეურნეო და საწარმოო განხრა, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე ინდუსტრიალურ-სამრეწველო ტეხნიკუმებს.

კომკავშირი აქამდის ყურადღებას არ აქცევდა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების და მეთოდიური ხელმძღვანელობის საკითხებს, შემდეგისათვის ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

გადადის რა საკითხზე მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის, სამუშაო ხელფასის, შრომის დაცვის და უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ, მომხსენებელი ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ წარმოებაში ჩაბმულ მუშა ხელის რაოდენობა გაიზარდა, მოზარდთა შორის უმუშევრობა ხანგრძლივ ხასიათს ატარებს. უკვე ეხლა ჩვენ გვყავს 5 ათასამდე მოზარდი უმუშევარი. უმუშევართა საერთო რიცხვიდან თითქმის 87 პროცენტს არასოდეს არ უმუშავნია. სამუშაო ხელფასის სფეროში ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ აქამდის ვხედავთ მეტად დიდ განსხვავებას მოზარდთა სამუშაო ხელფასსა და მოზრდილ მუშების ხელფასს შორის, ჩვენი ამოცანაა მოზარდის სამუშაო ხელფასი იმდენად შეუთანხმოთ მუშათა ქსელს, რომ არ იყვეს განსაკუთრებით დიდი განსხვავება შეგირდთა ქსელიდან მუშათა საერთო ქსელზე გადასვლის დროს. ამასთანავე საჭიროა იმ მოზარდთა სამუშაო ხელფასის გადიდება, რომლებიც მუშაობენ შინამრეწველობაში".

ეხება რა ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხს ამხ. ეგოროვი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მოზარდთა ყოველწლიური მასსიური საექიმო შემოწმების ნაცვლად შემოღებულ იქნას სისტემატიურ საექიმო მეთვალყურეობაზე გადასვლა.

დასასრულ ამხ. ეგოროვი ამბობს: „მუშათა ახალგაზრდობა უნდა მონაწილეობდეს წარმოების ცხოვრებაში უმთავრესად საწარმოო თათბირების საშუალებით. კავშირმა გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, როგორიცაა სამუშაო დროის გაცდენა, მუშაობიდან ნაადრევად წასვლა და სხვა. კომკავშირის პრესამ ყოველმხრივ უნდა დაუჭიროს მხარი ამ ბრძოლას.

16 აპრილის დილის სხდომა

კამათი ამხ. ეგოროვის მოხსენების გარშემო

ბაქო, 17 აპრილი. 16 აპრილის დილის სხდომაზე ამხ. ეგოროვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ შეგირდების დაავადმყოფების დიდ პროცენტს თამბაქოს, საფეიქრო და პოლიგრაფიულ წარმოებებში. შვიდწლედებში მოწაფეები არავითარ სპეციალურ ცოდნას არ ღებულობენ, შეგირდი,—ინდივიდუალები არ ღებულობენ არავითარ კვალიფიკაციას, ვინაიდან ოსტატების უმრავლესობა შეგირდებს იყენებს სრულიად უბრალო სამუშაოზე.

მთელი რიგი ორატორები მიუთითებდენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის პედაგოგების არადამაკმაყოფილებელ შერჩევაზე. არ არსებობს შინამრეწველობაში მომუშავე ახალგაზრდობის აღრიცხვა, რაც ხელს უშლის მუშაობის სწორად დაყენებას ამ სფეროში. სამეურნეო ორგანოები უპასუხისმგებლონი არიან მრეწველობისათვის კვალიფიციურ მუშა-ძალის მომზადების საქმეში. ზოგიერთი ორატორები ილაშქრებოდენ ყოველწლიურ საექიმო შემოწმების გაუქმების წინააღმდეგ.

ამხ. ეგოროვის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ეგოროვი ამბობს, რომ მრეწველობის განვითარება ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მოითხოვს უნივერსალური ტიპის კვალიფიციურ ძალას და ამიტომ ასეთი მუშის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უპასუხებს რა ორატორებს, რომლებიც გამოვიდნენ ყოველწლიური საექიმო შემოწმების გაუქმების წინააღმდეგ, ამხ. ეგოროვი ამბობს,—„ჩვენ ვფიქრობთ, არსებულ პირობებში კავშირს უფლება აქვს გადავიდეს მუშათა ახალგაზრდობის შრომისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატიურ კონტროლზე. ეს ჩვენ გაცილებით მეტ პრაქტიკულ შედეგებს მოგვცემს ახალგაზრდათა დაავადმყოფების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

16 აპრილის საღამოს სხდომა

ამხ. გუმედინის მოხსენება

ბაქო, 17 აპრილი. 16 აპრილის საღამოს სხდომაზე პიონერთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გუმედინმა.

„ამხანაგებო,—ამბობს ის,—ბავშვთა შორის მუშაობა ამიერ-კავკასიაში უმთავრესად განისაზღვრება იმით, რომ ჩვენი ქვეყნის ბავშვთა თაობიდან აღვზარდოთ თაობა, რომელიც თავისი მუშაობით ხელს შეუწყობს სოციალისტურ საზოგადოების და აგრეთვე ამ საზოგადოების აღმშენებლობის ამოცანებს. ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ძირითადი ფორმაა პიონერთა ორგანიზაცია, ამიტომაც ამ ორგანიზაციის გამოცოცხლება უმთავრესი საკითხს წარმოადგენს ბავშვთა აღზრდის საქმეში".

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს ბავშვთა კომორგანიზაციების ინტენსიურ ზრდას და ამბობს, რომ ამჟამად ამიერ-კავკასიაში ბავშვთა კომორგანიზაციების რიგებში ითვლება 180.000 ბავშვი.

მიუხედავად ამისა, ბავშვების აღზრდის პრობლემას ძლიერ ცოტა ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რის შედეგათ თვით კოლექტივებშიაც კი ადგილი აქვს უმსგავსო მოვლენებს. კომკავშირელები, მათ შორის თვით აქტივის ტები, ხშირად უყურადღებობას იჩენენ პიონერთა მოძრაობისადმი. ასეთ დამოკიდებულებას სასტიკი და ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ეხება რა სკოლების ქსელის ზრდას, ამხ. გუმედინი ამბობს, რომ ბავშვთა სკოლების ქსელი მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 150—200 პროცენტით.

სარწმუნოების საკითხების გარშემო მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ბავშვებს შორის მუშაობის გაძლიერება ანტირელიგიურ ფრონტზე, სადაც მდგომარეობა არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი.

ამხ. ფროლოვის მოხსენება

ამხ. გუმედინის შემდეგ პიონერთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფროლოვი.

თავის მოხსენებაში ამხ. ფროლოვი ამბობს, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში პიონერთა მოძრაობა ამიერ-კავკასიაში იზრდებოდა აღმავალი ხაზით.

პიონერთა მოძრაობაში მნიშვნელოვანი საორგანიზაციო მიღწევები გვაქვს. მიუხედავათ ამისა, ეს მიღწევები ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა გადიდებულ მოთხოვნილებებს და ამით აიხსნება ბავშვების მასიური გამოსვლა პიონერთა ორგანიზაციიდან.

შემდეგ ამხ. ფროლოვი ეხება ამიერ-კავკასიის პიონერთა მოძრაობის ცალკე მომენტებს და ამბობს:

„პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანი სისტემის საფუძველზე პიონერთა ორგანიზაციების მუშაობაში შევიტანოთ გამოცოცხლების ელემენტები, დაუახლოვოთ ეს მუშაობა სხვადასხვა ჰასაკის და სოციალურ მდგომარეობის ბავშვთა ნამდვილ მოთხოვნილებებს. პიონერთა წინამძღოლებს და ბავშვთა კომორგანიზაციების ბიუროებს უნდა დავახმაროთ ქვეყნის კულტურული ძალები და განვითარებული სპეციალისტები, უნდა შესამჩნევად გავაუმჯობესოთ პარტიული და კომკავშირის ხელმძღვანელობა პიონერთა მოძრაობაში და მივაპყროთ საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება პიონერთა მოძრაობისაკენ. პიონერებს შორის მომუშავეთა შემადგენლობა გაუმჯობესებულ უნდა იქნეს ხარისხობრივათ. ერთხელ და სამუდამოთ უნდა ჩამოვაყალიბოთ პიონერთა მოძრაობის მატერიალური ბაზისი. დადგა დრო, როცა სერიოზულად და ენერგიულად უნდა მოვუდგეთ ბავშვთა შორის აღმშენებლობითი მუშაობის წარმოების საკითხებს, ვინაიდან ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარება".

კამათი ამხ. გუმედინის და ფროლოვის მოხსენების გარშემო

ამხ. გუმედინის და ფროლოვის მოხსენებათა გარშემო დაიწყო გაცხოველებული კამათი, რომელსაც მოუნდა 16 აპრილის საღამოს სხდომა და 17 აპრილის დილის სხდომა. კამათში გამოვიდა 20 დელეგატი.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ ბავშვთა კომუნისტური აღზრდა ადგილებზე ძლიერ მოიკოჭლებს პიონერ-მუშაკთა ნაკლებობის გამო; ბავშვები ხშირათ უხელმძღვანელებოთ რჩებიან და ხელში უვარდებიან მასწავლებლებს, რომლებიც ხშირად კულაკების და მღვდლების შვილები არიან.

შირსაკოვი აღნიშნავს, რომ პიონერთა წინამძღოლებს არ უწევენ დახმარებას უჯრედები და ამიტომ წინამძღოლები თავს ანებებენ მუშაობას. წინამძღოლები კოლექტივებში თითქმის ყოველ თვეში იცვლება, რაც მეტად აფერხებს პიონერ-კოლექტივების მუშაობას. არ არის მოწესრიგებული პიონერ-კოლექტივებს შორის საშუალებათა განაწილების საკითხი: ზოგიერთი კოლექტივი ღებულობს მეტ თანხას, ზოგი ნაკლებს, თუ ყველა თანხებს თავს მოუყრით ბიუროსთან, გაცილებით უფრო ადვილი იქნება საშუალებათა განაწილება კოლექტივებს შორის.

მეხტიევი ჩერდება პიონერთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის პრობლემაზე და აყენებს საკითხს ხელმძღვანელი შემადგენლობის გამუშავების შესახებ.

კასპაროვი საჭიროდ სთვლის სასკოლო კოოპერაციის რეორგანიზაციას საწარმოო პრინციპის მიხედვით. საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ბავშვთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად.

17 აპრილის დილის სხდომა

ამხ. ფროლოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. ფროლოვი თავის საბოლოო სიტყვაში უმთავრეს ყურადღებას აქცევს პრაქტიკულ ღონისძიებებს ბავშვთა კომორგანიზაციებისათვის პარტიისა და კომკავშირის მიერ ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერების სფეროში. საჭიროა კომკავშირის კომიტეტებმა პარტიულ კომიტეტებთან ერთად პრაქტიკაში შემოიღონ მიმაგრებულ კომუჯრედთა თათბირების მოწვევა, პიონერთა მოძრაობის საკითხების განსახილველად.

ამხ. გუმედინის საბოლოო სიტყვა

ამხ. გუმედინი საბოლოო სიტყვაში ჩერდება სკოლის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ საჭიროა [illegible] სოციალური აღზრდის სისტემის გადათვალიერება, გარდა ამისა, საჭიროა პიონერორგანიზაციებსა და სკოლას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. სასკოლო ქსელი კომუნისტური აღზრდის ჩარჩოებში უნდა იქნეს მოქცეული.

ეხება რა უპატრონო ბავშვების საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ერთი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში თავშესაფარებში მოთავსებულ იქნა 36.000 უპატრონო ბავშვი, მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა მოუწყობელი, მიღებულია ენერგიული ზომები დარჩენილ უპატრონო ბავშვების მოსაწყობათ. მეხუთე ყრილობამ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს უნდა მისცეს დირექტივა, რომ მეექვსე ყრილობისათვის, თუ შესაძლებელია უფრო ადრეც, არ იქნეს არც ერთი უპატრონო ბავშვი ამიერ-კავკასიაში. საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა ძალები დავრაზმოთ ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის გარშემო.

ამხ. ფროლოვისა და გუმედინის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოხსენებების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 20 კაცის შემადგენლობით.

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ, 18 აპრილს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში გაიხსნა თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რაიკომების წევრებისა და უჯრედთა მდივნების მონაწილეობით.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ინფორმაციული მოხსენება თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ; უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანია; მასების მონაწილეობა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში.

გუშინდელ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. სვანიძის მოხსენება. დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ხვედელიძემ, შონიამ, მამიევმა, გუდავაძემ, პრეობრაჟენსკიმ, ავაქოვმა, მაჩაიძემ და პევცოვმა.

კამათის გაგრძელება და დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო პლენუმის მეორე სხდომისათვის, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 5 ნახ. საათზე.

პენსიების დანიშვნის ახალი წესი

საქართველოს სოცდაზღვევის მთავარმა კომიტეტმა სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილების თანახმად, შეიმუშავა პენსიების დანიშვნის ახალი წესები.

ამ წესების მიხედვით შრომის ინვალიდს უფლება ეძლევა მიიღოს პენსია დამზღვევ ორგანოებიდან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა სამუშაოს იშოვის, ან აქვს შემოსავლის სხვა რაიმე წყარო, ხოლო ერთი პირობით: პენსიის ჯამი და ხელფასი, ან სხვა რაიმე შემოსავალი, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს იმ ხელფასის ჯამს, რომელსაც იგი იღებდა ინვალიდობის გამო სამუშაოდან მოხსნის დროს.

დღემდე არსებული კანონი პენსიის მიღების უფლებას ანიჭებდა იმ შრომის ინვალიდს, რომელსაც პენსიის მეტი სხვა შემოსავალი არ ქონდა. პენსიონერებს ეკრძალებოდა ერთსა და იმავე დროს მიეღო პენსია და კიდეც ემუშავა. მისი ჯანმრთელობისათვის ასატან საქმეზე.

პენსიის მიღების უფლებას კარგავს ის შრომის ინვალიდი, რომლის შემოსავალი, ხელფასი იქნება ეს თუ სხვა რაიმე წყარო, არ არის იმაზე ნაკლები, რასაც იგი ღებულობდა ხელფასის სახით ინვალიდობის გამო სამუშაოდან მოხსნის დროს. მაგალითად თუ შრომის ინვალიდს აქვს შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან იმდენივე, რამდენსაც ის იღებდა სამუშაოდან მოხსნამდე, ის მოკლებულია პენსიის მიღების უფლებას. პენსია მოესპობა აგრეთვე იმ პირს, რომელიც იშოვის ახალ სამუშაოს და მისი ხელფასი არ იქნება იმაზე ნაკლები, რომელსაც ის იღებდა პენსიის დანიშვნამდე.

პენსიის დანიშვნის ახალი წესები შეღავათებს ანიჭებს მესამე კატეგორიის შრომის ინვალიდებს, რომელთაც საერთოდ შრომის უნარი დაკარგული აქვთ 50—70 პროცენტამდე.

მათ შეუძლიათ იმუშაონ თავიანთ ჯანმრთელობის მიხედვით ახალ სამუშაოზე და ამავე დროს მიიღონ პენსია და ხელფასიც შემდეგ პირობებში: მესამე კატეგორიის ინვალიდს, რომელიც სამუშაოდან მოხსნამდე იღებდა მაგალითად თვეში 90 მანეთს და ამის მიხედვით ეხლა მას ეძლევა პენსია 30 მ. რაოდენობით შეუძლია იშოვოს ახალი სამუშაო და ხელფასის სახით კიდევ მიიღოს 60 მანეთი. თუ ეგივე ინვალიდმა თავისი შრომით აიღო უფრო მეტი, მაგალითად 70 მანეთი, პენსიის სახით 30 მანეთის ნაცვლად მიეცემა 20 მანეთი და სხვა. მაგრამ თუ იმავე პირმა თავის შრომით აიღო იმდენივე (90 მან.), რამდენსაც ის იღებდა ინვალიდობამდე—მას ესპობა პენსია.

შეიძლება პენსიონერმა სამუშაო ვერ იშოვოს, მაგრამ მან გაიჩინოს შემოსავლის სხვა წყარო (გარდა სხვისი შრომის ექსპლოატაციისა), ამ შემთხვევაში მას პენსია ეძლევა ზევით მოყვანილ მაგალითების მიხედვით.

რაც შეეხება 1-ლ და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, მათ სურვილიც, რომ ქონდეთ მუშაობის, ჯანმრთელობა საშუალებას არ მისცემთ გააგრძელონ შრომა, ვინაიდან 1-ლ და მეორე კატეგორიაში ჩარიცხულნი არიან ისეთი ინვალიდები, რომელთაც შრომის უნარი სრულებით დაკარგული აქვთ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიონალურ დასნეულების გამო გამხდარი ინვალიდებისათვის პენსიების დანიშვნის დროს მხედველობაში არ შეიძლება მიღებული იქნეს მათი ქონებრივი მდგომარეობა. ამ სახის ინვალიდებს ენიშნებათ პენსია მიუხედავად მათი ქონებრივი მდგომარეობისა.

ვინაიდან ამ ახალ წესებს შეუძლია გამოიწვიოს ერთგვარი ბოროტმოქმედებანი, ამიტომ სოცდაზღვევის კომიტეტმა დაადგინა დაარსოს საექსპერტო ბიუროები და შრომის ინვალიდთა ჯანმრთელობის შემოწმების საქმე დააყენოს საღ ნიადაგზე.

ამხ. თეოფილე ჩიჩუას ხსოვნას

საშინელმა სევდამ შეარყია სული და გული, როცა, მოსკოვიდან გამომგზავრებულმა, დერბენტის სადგურზე უცაბედათ წავაწყდი გაზეთში ამხ. თეოფილეს გარდაცვალების ამბავს. დაუღალავი და პატიოსანი მებრძოლი მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სიყრმიდანვე, სკოლის სკამიდან მეგობარი და ამხანაგი არ შეიძლება არ იგლოვოს გულმა, როცა ულმობელი სიკვდილი უდროოდ იტაცებს ლამაზს, მშვენიერს და შინაარსით სავსე სიცოცხლეს, როცა მუხანათურათ გგლეჯავს ხელიდან საყვარელ მეგობარს, მებრძოლ ამხანაგს, რომელთანაც ერთად გვივლია ტანჯვისა და დალხინების გზაზე.

ისე, როგორც ჩვენ ბევრმა მისმა ძველმა მეგობრებმა და ამხანაგებმა, ამხ. თეოფილემაც საშინელი სიღარიბის, გაჭირვების, სიმშილისა და სიცივის გზით გაიკაფა წინ სავალი გზა უშრეტი ენერგიისა და საერთო საქმისადმი გულწრფელი და თავგამოდებული სიყვარულის წყალობით.

ამხ. თეოფილემ მწარე გაჭირვებაში გმირულად დააღწია თავი უცოდინარობას და ის, რაც მან საკუთარი ენერგიისა და მონდომების წყალობით შეიძინა (ცოდნა გამოცდილება) მშრომელი ხალხის ინტერესებს და მის ბედნიერების გამოჭედვის საქმეს მოახმარა.

ამხანაგ თეოფილეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი მუშებისა და მშრომელი გლეხკაცობის გათვითცნობიერების და მათი ამოძრავების საქმეში ძველი რეჟიმების წინააღმდეგ. ამხ. თეოფილეს არალეგალურ წრეებში, განსაკუთრებით გურიაში, არა ერთი და ორი ასეული აქტიური რევოლიუციონერი აღუზრდია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის გურიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების გამაგრების და ჩამოყალიბების საქმეში დაწყებული 1904 და 1905 წლებიდან. ამხ. თეოფილე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მშრომელ გლეხკაცობაში, როგორც კარგათ ცნობილი ძველი რევოლიუციონერი ბოლშევიკი.

მის ღვაწლს არ დაივიწყებს საბჭოთა საქართველოს გამარჯვებული მუშები და გლეხები. მით უმეტეს არ დაივიწყებს მას კომუნისტური პარტია და მისი ძველი გვარდია, რომელსაც ეკუთვნოდა ამხ. თეოფილე.

ა. დოლიძე.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის სამდღიური

დადგენილება № 23

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

უპატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შესაქმნელად სამდღიურის ჩატარების შესახებ, ამა წლის აპრილის 22, 23 და 24-ს.

უპატრონო ბავშვთა დახმარების ლენინის სახელობის ფონდის შექმნის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ფულად შეწირულებათა ყულაბებით მოგროვება ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში და სხვ. ქალაქებში, სადაც ეს მიზანშეწონილად იქნება ცნობილი და ტეხნიკურად შესაძლებელი.
2. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში ყველა სანახაობისა და გასართობის საწარმოო, მისი საერთო შემოსავლის 10 პროც. რაოდენობით.
3. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში თბილისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ქუთაისისა და ფოთის ყველა სასტუმრო, მისი სამი დღის საშუალო ბრუნვის 10 პროც. რაოდენობით.
4. დაიბეგროს სამდღიურის განმავლობაში ყველა რესტორანი, რომელსაც მე-4 და მე-5 ხარისხის პატენტი აქვს, მისი დღიური საშუალო ბრუნვის 10 პროც. რაოდენობით, სამი დღის განმავლობაში.
5. დაიბეგროს სამი დღის განმავლობაში გამოუნაკლისად ყველა კაზინო, ლოტო, პტი-შვო და სხვ. აზარტული სათამაშოების საერთო შემოსავლის 15 პროცენტის რაოდენობით.
6. შეგროვებულ იქნეს შემოწირულებანი ნივთებითა და სხვ. საგნებით.
7. დაიბეგროს სამი დღის განმავლობაში ქ. თბილისის გოგირდის აბანოების ნომრები 10 პროცენტის რაოდენობით.
8. წინადადება მიეცეს თბილისის აღმასკომს გამოყოს სამდღიურის განმავლობაში ტრამვაის ორი ახალი ვაგონი №№ 1 და 2 მარშრუტისა, რომელთა საერთო შემოსავალი გადაირიცხება უპატრონო ბავშვთა დახმარების რესპუბლიკანურ ფონდში.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ
კ. ხომერიკი.

სრულიად საქარ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ
დ. აფციაური.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლა რკინის-გზებზე

გასული წლის დეკემბერში ჩატარებულ აღწერის მიხედვით ა.-კ. რკინისგზებზე ითვლებოდა 562 უპატრონო ბავშვი. მათ შორის 150 იყო 15 წლის ჰასაკის.

ცალკე რესპუბლიკებს შორის უპატრონო ბავშვების ეს რიცხვი ნაწილდება შემდეგნაირად: აზერბეიჯანში—374, საქართველოში—177 და სომხეთში —11.

ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლას ეხლა მიქცეული აქვს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება და ა.-კ. რკ. გზების განათლების ცენტრალურ საბჭოს ა.-კ. ცაკთან არსებულ ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდში გადაერიცხა 80.310 მანეთი.

ეს თანხა რესპუბლიკებს შორის განაწილებულია ასე: საქართველოს ცაკმა მიიღო—25.000 მან., აზერბეიჯანის ცაკმა—25.000 მ. და სომხეთისამ—5.000 მანეთი. დანარჩენი 25.000 მანეთი დატოვებულია ა.-კ. ცაკის განკარგულებაში.

10 აპრილიდან მთელ ა.-კ. რკინისგზებზე დაიწყო უპატრონო ბავშვების მოკრება.

აზერბეიჯანში, სადაც უპატრონო ბავშვების უფრო მეტი რიცხვია, შენდება სპეციალური სახლი ბავშვების მოსათავსებლად. შენობის ასაგებად უკვე გადადებულია —50.150 მანეთი.

სატყეო მეურნეობის მოსაწესრიგებლად

(საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება)

საკავშირო სახკომსაბჭომ გაეცნო საკავშირო სავეგმო კომისიის მოხსენებას საბჭოთა კავშირის სატყეო მეურნეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სატყეო ფონდი 800 მილიონ დესეტინას უდრის. საბჭოთა კავშირის ტყეებში თავმოყრილი უძვირფასესი ჯიშები. შემოსავალმა ტყეებიდან გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს. 1914 წ. შემოსავალი ტყეებიდან შეადგენდა 85 მილიონ მანეთს, 1926 წ. კი ტყეებმა სახელმწიფოს მისცა 217 მილიონი მანეთი.

სატყეო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ადგილობრივ საშუალებათა შევსებას. 1926—27 წ. ადგილობრივმა ბიუჯეტმა ტყეებიდან მიიღო 64 მილიონი მანეთი.

ტყეების აღდგენა უფრო ნელის ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე გაჩეხვა. გამოუსადეგარმა სივრცემ სატყეო ფონდში გადააჭარბა 250 მილიონ დესეტინას. ამ ფართის ადგილებიდან ერთი მესამედი მაინც—80 მილიონ ჰექტარამდე—მორწყვისა და ახალი ხეების დარგვით შეიძლება მშვენიერ ტყეებათ იქნეს გადაქცეული.

საბჭოთა კავშირის ტყეების დიდი ნაწილი დაჭაობებიანებულია და ამიტომ ამ ადგილებში, გაჩეხვის შემდეგ, ბუნებრივი გზით ტყეების აღდგენა არ ხდება.

დიდ ზიანს აყენებს ტყეებს თვითნებური გაჩეხვა, ასე მაგალითად, 1925—26 წ. გაძლიერებული გაჩეხვის რაიონებში თვითნებურად იქნა მოჭრილი 45 მილიონი კუბიკური მეტრი ხე ტყე, ე. ი. იმის ნახევარზე მეტი, რაც გაცემული იქნა სატყეების ნებართვით.

საკავშირო სახკომსაბჭომ, გაეცნო რა მოხსენებას, დაამტკიცა დეკრეტი სატყეო მეურნეობის მოწესრიგების შესახებ. თავის დადგენილებაში საკავშირო სახკომსაბჭომ სცნო, რომ სატყეო მეურნეობა ტყით ღარიბ რაიონებში გაძლიერებული გაჩეხვისა და ტყით მდიდარ რაიონებში ტყის მარაგის დალუპვისა და ამ რაიონების არასაკმაოთ გამოყენების გამო, ვერ უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ხეტყის მასალაზე.

სახკომსაბჭომ აღნიშნა აგრეთვე მეტყევეთა და ტყის მცველების შრომის მძიმე პირობები, რაც იწვევს იმას, რომ გამოცდილი სპეციალისტები სტოვებენ სამსახურს ამ დარგში და ხშირად იცვლება ტყის მცველთა შემადგენლობა.

სახკომსაბჭომ აღიარა, რომ მოსახლეობა არა საკმაოდ კმაყოფილდება ხე-ტყის მასალით, ეს იწვევს ტყეების თვითნებურად გაჩეხვას და ამწვავებს ურთიერთობას ტყის მუშაკებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკებს არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველ აგვისტოსა წარმოადგინონ სატყეო მეურნეობის განვითარების ამომწურავი გეგმა.

ამავე დროს საკავშირო სახკომსაბჭომ მიუთითა, რომ საჭიროა დღემდე სუსტად გამოყენებულ ტყეების დამუშავების დაწყება. ხე-ტყის მოჭრა გათვალისწინებულ გეგმის გარეშე უნდა შეწყდეს ყველა სატ. რაიონებში. გაჩეხილი და განადგურებული ტყეები აღდგენილი უნდა იქნეს მელიორაციისა და გამოსადეგ მიწებზე ახალი ტყეების გაშენებით.

ხე-ტყის გამმზადებლებს დაევალოს ხე-ტყის მოჭრის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის სიმდიდრეთა დაცვას.

საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ აღიარა დაჭაობებიანებულ ტყების გაშრობა, ტყის დასაცურებელი გზების მოწყობა, ტყის მუშაკების მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყების მოწყობის, აღდგენის და დაცვის გაძლიერება, ბრძოლის გაძლიერება ტყის მავნებლებთან და ხანძრებთან.

საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ აღიარა აგრეთვე ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების რიცხვის შემცირება. ძირითად დამამზადებელ ორგანიზაციების რიცხვში დატოვებული იქნება სატყეო კოოპერაცია იმ რაიონებში, სადაც სატყეო კოოპერაცია ტყეების დამუშავებას აწარმოებს უშუალოდ კოოპერატიულად გაერთიანებულ მოსახლეობის საშუალებით.

კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

ამიერ-კავკასიაში მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე საზოგადოების ცნობით წელს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მუშათა საბინაო აღმშენებლობის დასახმარებლად დახარჯული იქნება სულ 2.494.892 მან. ამ თანხიდან ცენტრალური კომუნალური ბანკი გაიღებს 650.000 მან., რომელიც რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად განაწილდება: საქართველოს—195.000 მან., აზერბეიჯანს—305.000 მან. და სომხეთს 149.500 მან. ადგილობრივი ფონდებიდან საქართველო მიიღებს—513.000 მან., აზერბეიჯანი—835.000 მან. და სომხეთი—54.200 მან. რესპუბლიკანური ფონდიდან კი საქართველოს მოუწევს 65.000 მან., აზერბეიჯანს—130.000 მან. და სომხეთს 40.000 მანეთი.

ამგვარად საქართველო წელს მიიღებს სულ 773.000 მანეთს, აზერბეიჯანი—1.270.000 მან. და სომხეთი—208.700 მანეთს. მთელი ეს თანხა უნდა მოხმარდეს უკვე დაწყებულ სახლების დამთავრებას.

დაწყებული საბინაო აღმშენებლობა ცალკე რესპუბლიკებში იძლევა შემდეგ სურათს: საქართველოში ამჟამად შენდება 27 სახლი 125 ბინით. აღნიშნული სახლების აგება დაჯდება სულ 1.032.824 მანეთი. აზერბეიჯანში შენდება 12 სახლი 310 ბინით. მათი აგება დაჯდება 2.312.804 მან.; სომხეთში შენდება 8 სახლი 70 ბინით და მათი აგება დაჯდება 817.368 მან.

ამგვარად გადადებული თანხები უნდა მოხმარდეს პირველ რიგში დაწყებული შენობების აგებას, ხოლო მეორე რიგში ამავე თანხებით დაწყებულ უნდა იქნეს ახალი სახლების აგება.

დღეს, 19 აპრილს, საღამოს 5 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-4 გაფართოებული პლენუმის მეორე სხდომა

რაიკომის პრეზიდიუმის წევრთა და უჯრედების მდივნების დასწრება აუცილებელია

დღის წესრიგში:

მოხსენება თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ და მასების მონაწილეობის შესახებ მ. და გ. ინსპექციის მუშაობაში.

ქრონიკა

თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდატი აცხადებს თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ დღეიდან 29 აპრილამდე საავიაციო-საინჟინერო პოლიგონის რაიონში ავლაბრის და კუკიის ტბის ახლოს იწარმოებს საავიაციო ნაწილების სასწავლო სროლა თვითმფრინავებიდან.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის წევრები

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამ. კ. შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლათ ა. კ. რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირში დანიშნულია ამხ. სიზოტენკო, მის მოადგილეთ ამხ. ათაბეკოვი.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს დირექტორის დანიშვნა

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა. კ. დეპეშათა სააგენტოს დირექტორათ დანიშნულია ამხ. ფიალკოვსკი.

დეპეშათა სააგენტოს ყოფილი დირექტორი ამხ. გოკი გადაყვანილია სამუშაოთ ა. კ. სამხედრო სამომხმარებლო კოოპერაციაში.

ტურისტების სურსათ-სანოვაგით მომარაგება

ზაფხულობით საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობს მრავალი ტურისტი, რომლებიც იძულებული არიან სურსათ-სანოვაგე შეიძინონ უმთავრესათ, კერძო პირებისაგან.

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ყაზბეგში, ფასანაურში და რამდენიმე სხვა ადგილას მოაწყოს სასადილოები და ღამის გასათევი პუნქტები, სადაც ტურისტები სურსათ-სანოვაგეს და ღამის გასათევს მიიღებენ კოოპერატიულ ფასებში.

ყურძნის კაკლის ექსპორტი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მარსელის სააგენტოსაგან მიიღო წერილი, რომელშიაც სააგენტო ეკითხება კომისარიატს, შესაძლებელია თუ არა საქართველოდან გატანილი იქნეს საფრანგეთში ყურძნის კაკალი და თუ შესაძლებელია —როგორის რაოდენობით, როდის და რა ფასებში.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი პრინციპიალურად შესაძლებლად სცნობს მიიღოს ეს წინადადება, რომელიც აძლიერებს საექსპორტო შესაძლებლობას; კომისარიატი ამჟამად ამუშავებს ამ საკითხის დეტალებს.

საშუალოდ საქართველოს ვენახებში მოდის 131.044,4 ცენტნერი ყურძენი. აქედან ღვინოს სწურავენ 114,663.9 ცენტნერიდან. ამ რაოდენობიდან ღებულობენ 1.638 ტონა კაკალს. ყურძნის კაკლის საორიენტაციო ფასი იქნება 60 კ.—1 მან. ფუთზე.

საფრანგეთში ყურძნის კაკლისაგან ამზადებენ ყურძნის ზეთს, რომელსაც სამელისათვის ხმარობენ.

სამხედრო-სანიტარული ცოდნის გავრცელება

მოსახლეობაში სამხედრო-სანიტარული ცოდნის გავრცელების მიზნით საქართველოს ყველა მაზრებში ეწყობა სანიტ. წრეები.

ამჟამად მაზრებში ჩამოყალიბებულია 42 წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 3000 კაცამდე.

თბილისში წარმოება-დაწესებულებებთან მოწყობილია 48 წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 1600 მუშა მოსამსახურე.

მილიციის შვიდი წლის თავისათვის

◆ **მადლობის გამოცხადება.** მ. გ. მილიციის 7 წლის თავის გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. ბერიამ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ენერგიული მუშაობისათვის მადლობა ეცხადება მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის ყველა თანამშრომლებს.

◆ **კურსანტების გამოშვება** გუშინ საბურთალოზე მოხდა მილიციის სკოლის კურსანტების გამოშვება. სკოლა დაამთავრა 32 კაცმა.

◆ **საზეიმო სხდომა.** 20 აპრილს, მ. გ. მილიციის 7 წლის თავის შესრულების გამო, მუშათა ახალ კლუბში შესდგება საზეიმო სხდომა. სხდომის დასასრულ მოხდება მილიციის მუშაკთა დაჯილდოვება.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება კოლმეურნეობებს.** თბილისის აღმასკომმა თბილისის მაზრაში არსებულ კოლექტიურ მეურნეობებისათვის სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაძენად გადასდო 16 ათასი მანეთი.

◆ **სახლების მდგომარეობის გამოკვლევა.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა გამოიკვლიოს კერძო პირთა სახლების მდგომარეობა. სახლი რომელიც აღმოჩნდება მოუვლელი, ჩამოერთმევა მეპატრონეს.

პროფკავშირებში

◆ **კონფერენცია.** 24 აპრილს თბილისში შესდგება მედსანშრომის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკანური კონფერენცია.

სხვადასხვა

◆ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო** საზოგადოების წლიური კრება შესდგება პარასკევს, 20 აპრილს, სღ. 7 ს. საქ. მუზეუმის აუდიტორიაში. კრებაზე გაიმართება კამათი ალ. ნიორაძის მოხსენების გარშემო. შემდეგ პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საქართველოს ფინანსიური პოლიტიკა მე-14 საუკუნეში“. დასასრულ მოისმენილი იქნება საზ-ბის წლიური ანგარიში.

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა) დღეს საღამოს 7 ს. შესდგება გრამატიკის სემინარის მუშაობა. ამავე დღეს 6 ს. შესდგება არაქართული სკოლების ქართული ენის სემინარი და კაბინეტის ბიუროს სხდომა.

◆ **შაბათს,** 21 აპრილს, დილის 10 საათზე, საქ. პროფსაბჭოს ახალ დარბაზში შესდგება მეჭედავთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგშია თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენება. ყველა უმუშევართა დასწრება აუცილებელია.

ბრძოლა წყალდიდობასთან

მტკვრის დონე

გუშინ დილიდან მტკვარში კვლავ დაიწყო წყალმა მატება. დღის 12 საათზე მდინარის დონე უდრიდა 261 სანტიმეტრს, ნაცვლად წინა დღის 246 სანტიმეტრისა.

ამავე დროს წყალთა სამმართველოს ბორჯომიდან ატყობინებენ, რომ იქაც მტკვრის დონე თანდათან მატულობს და 18 აპრილს დილით მიაღწია 185 სანტიმეტრს.

რა გაკეთდა ოზურგეთის მაზრაში

წყალდიდობასთან მებრძოლ ოზურგეთის სამაზრო სამეულმა ცენტრალურ საგანგებო კომისიაში წარადგინა მოხსენება მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების შესახებ.

სოფ. შემოქმედში მდ. ბჟუჟზე სწარმოებს ნაპირების გამაგრება 4 ადგილას და ითხრება ახალი არხი ბჟუჟის ძველ კალაპოტში გადასაშვებად. 18 აპრილამდე შესრულებული იყო ყველა სამუშაოთა 40 პროცენტი. მდ. არკუნაზე სწარმოებს ახალი არხის გათხრა მდ. ბჟუჟისა და არკუნას შესაერთებლად. სოფ. ზემო სურებთან მდ. სუფსაზე დაწყებულია ჯებირებისა და ძელყორეების აგება. სამუშაოები სანახევროთ დასრულებულია.

თელავის მაზრაში

თელავის მაზრიდან მიღებულია ცნობა, რომ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად დაწყებული სამუშაოები ბევრგან დამთავრებულია. ამჟამად სასწრაფოდ სწარმოებს მუშაობა სოფ. ახმეტის დასაცავად წყალდიდობისაგან და მდ. დურუჯის ნაპირებზე ჯებირების მოსაწყობად.

სტუდენტები პრაქტიკაზე

ახლოვდება სამოსწავლო წლის დასასრული. უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ზაფხულის პერიოდში სტუდენტები გაიგზავნებიან სხვადასხვა წარმოებებში პრაქტიკული მუშაობის ხასიათარებლად.

ამ მიზნით რკინისგზების განათლების ცენტრალურმა სამმართველომ რკინისგზებზე უკვე გამოჰყო ადგილები პრაქტიკანტებისათვის. კერძოდ, ა.-კ. რკინისგზებზე სამუშაოდ გაიგზავნება 157 პრაქტიკანტი. აქედან— 88 სტუდენტი იქნება ამ.-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებიდან.

ამ.-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები ა.-კ. რკ. გზების სალიანდაგო დარგში მიიღებენ—35 ადგილს, წევის დარგში—27-ს, ექსპლოატაციის დარგში—16-ს, ელექტრო-ტექნიკურში—5-ს, სამეურნეო-მატერიალურში და სპეციალობათა დარგებში —3-ს და ხე-ტყის მასალათა დამზადებაში —2-ს.

გარდა პრაქტიკანტებისა, ა.-კ. რკ. გზებზე სამუშაოდ, სტაჟიორების სახით მიღებული იქნება 50 კაცი, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი. აქედან 33 ადგილი დაეთმობა ამ.-კავ. უმაღლეს სასწავლებლებს.

ა.-კ. უმაღლეს სასწავლებლების სტაჟიორები გზების ცალკე განყოფილებათა შორის განაწილებული იქნებიან შემდეგნაირად: სალიანდაგო განყოფილებაში—10 კაცი, წევის განყოფილებაში —10, ექსპლოატაციაში—5, ელექტრო- ტექნიკურში—5 და სამეურნეო-მატერიალურში —3.

გარდა ამისა, ადგილობრივ ტრანსპორტის ხაზით პრაქტიკის გასავლელად რუსეთში გაგზავნილი იქნება თბილისის რკ. გზის ტექნიკუმის 4 მსმენელი. ამასთანავე სტაჟის მისაღებად გაგზავნილი იქნება კიდევ 6 კაცი, რომელთაც დაამთავრეს აღნიშნული ტექნიკუმი.

307 ვაგონი ფართალი

ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ფართლეულის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

უკანასკნელ ხანებში ფართლეულის ბაზარზე შემჩნეული ზოგიერთი ქსოვილების ნაკლებობა გამოწვეულია მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე კვარტალში გეგმით გათვალისწინებულ ფართლის შემოტანის შეფერხებით, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ტრანსპორტის არა ნორმალური მუშაობით დიდი ზამთრის გამო. სამაგიეროთ მესამე კვარტალში ფართლის შემოტანა იწარმოებს დაუბრკოლებლად.. მიმდინარე საოპერაციო წლის მესამე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი), ამიერ-კავკასიაში სულ შემოტანილი იქნება 307 ვაგონი ფართალი. ამ შორის 300 ვაგონი მიღებული იქნება საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ძირითადი გეგმის ანგარიშში, ხოლო 7 ვაგონი—სათადარიგო ფონდიდან.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, მისაღებ 307 ვაგონ ფართალიდან, აზერბეიჯანს მიეცემა—136 ვაგონი, საქართველოს —129 და სომხეთს —42 ვაგონი.

ფართლეულ შემოზიდავს კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები და საფეიქრო ვაჭრობის ამიერ-კავკასიის განყოფილება.

კოოპერაცია შემოზიდავს და გაანაწილებს—240 ვაგონს, სახ. ვაჭრობის ორგანოები 20 ვაგ., საფეიქრო ვაჭრობის განყოფილება—40 ვაგონს.

307 ვაგონიდან თბილისს, ბაქოს და ერევანს მიეცემა 114 ვაგონი, დანარჩენი განაწილებული იქნება პროვინციებს შორის.

ბამბის მეურნეობის რაიონებისათვის გამოყოფილია: საქართველოში— 1 ვაგონი, აზერბეიჯანში— 11 ნახ. ვაგონი და სომხეთში— 2 ნახ. ვაგონი. მეხამლეობის რაიონებში ფართალს გაგზავნის სამომხმარებლო კოოპერაცია.

წყალსადენის გაყვანა

ხენაკსა და ფოთში

ხენაკის მაზრიდან დაბრუნდა წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟ. ზ. ზეზეჭკორი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩაეტარებია ტექნიკური გამოკვლევები ქალ. ხენაკში და ფოთში ახალი წყალსადენის გასაყვანათ.

წყალთა მეურნეობის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ აღნიშნული წყალსადენის გაყვანაში დაინტერესებულია ქ. ხენაკი, რკინის გზა, ქალ. ფოთი და ფოთის ნავთსადგური. წყალსადენის გასაყვანათ წინასწარი ტექნიკური გამოკვლევები უკვე დასრულებულია. წყალსადენის სათავე იქნება ეკის მთის მახლობლათ, სადაც იწყება საუცხოვო მთის წყაროები. წყალსადენი დღე-ღამეში გამოუშვებს 3 მილიონ ვედრო წყალს, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ყველა ოთხი უწყების მოთხოვნილებას. რკინის გზის ხაზზე ხენაკიდან ფოთამდე არსად არაა წყალსადენი და სადგურ ქვალონში და შალადიდში წყალი მოაქვთ ცისტერნებით. ფოთის ნავთსადგური კი წყალს ღებულობს მექანიკური საქაჩავების საშუალებით, რაც ძალიან აძვირებს მოსახმარებელ წყალს.

ახალი წყალსადენი, თანახმად სატექნიკო გეგმისა, გაყვანილი იქნება ეკის მთიდან ხენაკამდე და შემდეგ რკ. გზის ხაზის გასწვრივ მაგისტრალური მილების საშუალებით წყალს მიაწვდიან ქალ. ფოთს და ფოთის ნავთსადგურს.

წყალსადენის გაყვანა დაჯდება 1,000.000 მ.

რკინის გზებზე

რკ. გზის სკოლების განათლების კომისარიატებისათვის გადაცემის შესახებ

ა.-კ. რკინისგზების განათლების ცენტრალურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა 1926—27 წლის ანგარიში და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე სამეურნეო წლისათვის.

გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სხდომაზე საკითხმა ა.-კ. რკ. გზის სოციალმზრდელობითი და პოლიტგანათლების სკოლების რესპუბლიკანური განათლების კომისარიატების ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ.

აღნიშნული საკითხი არსებითად ამოწურულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ფაქტიურად ამიერ-კავკასიაში ეს სკოლები უკვე 1925 წლიდან იმყოფებიან განათლების კომისარიატების ზედამხედველობის ქვეშ. მიუხედავად ამისა საკითხმა მაინც ცხოველი კამათი გამოიწვია.

კამათში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების სახ. კომისარმა ამხ. დავ. კანდელაკმა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს განათლების კომისარიატი წინააღმდეგია რკ. გზების სოციალმზრდელობითი და პოლიტგანათლების სკოლების ასეთი გადაცემისა.

— ჩვენ ვფიქრობთ—დასძინა ამხ. კანდელაკმა, რომ რკინისგზების და პროფორგანოების მიერ წამოყენებული მოტივები განათლების კომისარიატებისათვის ამ სკოლების გადაცემის შესახებ არ არის სწორი. ეს სკოლები ენ და დარჩენ რკინისგზის განკარგულებაში, ან ყოველ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ტრანსპორტზე კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობის წარმოებაში.

ტრანსპორტზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების გადაცემამ განათლების კომისარიატებისათვის შეუძლია ცუდად იმოქმედოს ტრანსპორტზე საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაზე, რადგან განათლების კომისარიატები ვერ შესძლებენ შეინარჩუნონ ამ დაწესებულებების ის მატერიალური დონე, რომელიც მიღწეულია ის. სატრანსპორტო ორგანოების გამგებლობაში არსებობის პერიოდში.

თვით საქართველოს განათლების კომისარიატსაც არ შეუძლია ამ სკოლების აყვანა თავის ადგილობრივ ბიუჯეტზე, რადგან ეს უკანასკნელი მეტად განსაზღვრულია.

— ჩვენ ნათლად ვხედავთ—სთქვა დასასრულ ამხ. კანდელაკმა, რომ რკინისგზების სკოლებში საქმის დაყენების შედეგები მეტად დიდი და ძვირფასია და ამისათვის მათი გადაცემა ჩვენს განკარგულებაში მიგვაჩნია არამიზანშეწონილად.

ამხ. კანდელაკის აზრი სავსებით გაიზიარეს აზერბეიჯანის და სომხეთის განათლების სახ. კომისარიატების წარმომადგენლებმა.

საბჭომ, დაადგინა—რკინისგზის სკოლების გადაცემა განათლების კომისარიატებისათვის შეჩერდეს კიდევ სამი წლით.

სწავლის ფული სოციალმზრდელობით სკოლებში

ა.-კ. რკ. გზ. განათლების ცენტრალურმა სამმართველომ აუკრძალა სკოლებს ა.-კ. რკ. გზებზე არსებულ სოციალმზრდელობით სკოლებში ა.-წ. 1 ოქტომბრიდან შემოიღოს ფული სწავლებისათვის.

27.857 მანეთის ზარალი

ა.-კ. რკ. გზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა აგი საქმე გზებზე მომხდარ შემთხვევების შესახებ.

გამოირკვა, რომ ამ შემთხვევებს გზისათვის მიუყენებიათ 27.857 მანეთის ზარალი.

დამნაშავენი დასჯილი არიან შესაფერისად ადმინისტრაციული წესით. ზოგიერთები—სამსახურიდან დათხოვნით.

ხელოვნება

სახ. კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენა

16 აპრილს, სახელმწიფო კონსერვატორიამ თბილისის მუშათა თეატრში მოაწყო თავის მოწაფეების ნახევარ წელიწადში შესრულებულ მეცადინეობის საჩვენებელი წარმოდგენა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ საოპერო კლასის მხოლოდ ის მოწაფენი, რომლნიც ამ წელს ამთავრებენ სწავლას კონსერვატორიაში. საკითხმა თუ რამდენად შესაძლებელია მათი გამოყენება ოპერის სცენაზე; მიიზიდა ამ წარმოდგენაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია. ეს საკითხი ამ შემთხვევაში ჩაითვლება უმთავრესად, ვინაიდან კონსერვატორიის სხვადასხვა პროფესორებთან ვოკალურ გავარჯიშების დამთავრება სრულებით არ უზრუნველყოფს ამ გავარჯიშების სცენაზე გამოყენებას; ვინაიდან ეს დამოკიდებულია როგორც მომღერლის ხმის ხარისხზე, ისე ამ ხმის სასურველ შეხამებიდან ორკესტრის ხმოვანებასთან და სცენიურ მდგომარეობათა დრამატიულ შინაარსის შეგრძნების ნიჭზე.

წარმოდგენა მიმდინარეობდა საოპერო კლასის ხელმძღვანელის; ცნობილი მომღერლის ს. ინაშვილის მიერ დამუშავებულ გეგმის მიხედვით და მისი მეთაურობით. წარმოდგენის სხვადასხვა ნაწილების შეფასება ბადავს სხვადასხვა შთაბეჭდილებას. თუ მივიღებთ მხედველობაში; რომ მუშათა თეატრის დარბაზის აკუსტიური პირობები პირველხარისხოვნად ვერ ჩაითვლება,—უნდა ვსცნოთ, რომ ეს შთაბეჭდილებანი დამოკიდებული იყვნენ აგრეთვე მუსიკის სხვადასხვა ხასიათიდან: ამ მუსიკის ყველა გახმაურებულ ადგილებში მომღერალთა ხმა იჩრდილებოდა. მეორე მოქმედება რიმსკი—კორსაკოვის ოპერიდან „მეფის საცოლე“ ჩატარდა ისე, რომ გამოურკვევლად დარჩენ ნავრუზაშვილის (კლ. პროფ. შულგინასი) და პრეიხის (კლ. პროფ. ზელენინისა) ხმების ნამდვილი ღირსებანი. ნავრუზაშვილმა დაამთავრა კონსერვატორია შარშან და ამ წარმოდგენაში მონაწილეობდა შემთხვევით; მოწაფე გოცირიძის ავადმყოფობისა გამო. ორკესტრის გახმაურების გამო ჩვენ ვერ მოვისმინეთ გარკვეულად ვერც ერთი მუსიკალური ფრაზის დამთავრება ნავრუზაშვილის და პრეიხის სიმღერაში; ცხადი კი იყო, რომ ორივე მომღერლის ხმა კარგი ხარისხისაა, საკმარისად დამუშავებული და კარგი მუსიკალურ გემოვნების გამომხატველი. სცენიურად კი ყველა მონაწილეთ ამ მოქმედებაში აკლდათ თავისუფალი მიხვრა-მოხვრა. გერმესაშვილი—ლიკოვის როლში, მოსული თავის საცოლოსთან,—იჩენდა ამ მდგომარეობისათვის შეუფერებელ უმოძრაობას.

სრულებით სხვა შთაბეჭდილება დასტოვა დუეტმა (ორი ხმისათვის ხასიმღერო) ვერდის ოპ. „აიდიდან“ ოჭიარენკოს და შახსუვარიანის შესრულებაში. ს. ინაშვილის მიერ შესანიშნავად, მხატვრულად მოფიქრებული გრიმი და გარეგანი შეხედულება ამნერისა (ოჭიარენკო) ყველა მის წვრილმან დეტალებშიც კი დამუშავებული მიზანსცენა, შეერთებული ოჭიარენკოს მშვენიერ ხმოვანებასთან, სასიმღერო ფრაზას გამომეტყველებასთან, სიმღერის ორკესტრთან ხელსაყრელად შეფარდება, სცენაზე დაუსიფალი მოძრაობა და სხ. დამამტკიცებელია, რომ ოჭიარენკოს შემოქმედება ოპერის სცენაზე იქნება ნაყოფიერი. ვოკალური განვითარება ოჭიარენკომ მიიღო მასწავლებელ კირილოვას კლასში. რაც შეეხება შახსუვარიანს (აიდა); ჩვენის აზრით, მისი ხმა სადათ ვერ ჩაითვლება; ვინაიდან შუა და ქვემო ფენები. არის ფრიად სასიამოვნო ელფერისა; მაგრამ ძალიან მკრთალი; ლითონ-მოკლებული და ავადმყოფ შთაბეჭდილების წარმომშობი. ეს გარემოება სამწუხაროა, ვინაიდან ზემო ფენები მისი ხმისა იშლება თავისუფლად და მომღერალი. იჩენს კარგ მუსიკალობას, მეხსიერებას და გამოცნებას, როგორც მან, ისე მისმა მასწავლებელმა უნდა მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება. შესაძლებელია საჭიროდ აღმოჩნდება შახსუვარიანის მკურნალობა ექიმთან.

ოპ. „სევილიელი დალაქიდან“ მეორე სცენა (მეორე მოქმედებიდან) ცოცხლად ჩატარებულ იქნა იაკოშვილის (კლ. პროფ. შულგინასი); ოპერის მასხიობის პრივალოვისა; (მღეროდა ავადმყოფ მოწაფის გოძოშვილის მაგივრად); ხამაშურიძის (კლ. მასწ. ვრონსკისა) და პ. კანდელაკის (კლ. პროფ. შულგინასი) მიერ; მათ შორის დიდ ყურადღებას იპყრობენ ხამაშურიძე (ბაზილიო) შესანიშნავ დაბალ ბანის პარტიონი და კანდელაკი (ბარტოლო); რომლის ხმა კარგი ელფერის ბანია: და სცენასთან, როგორც სჩანს, კარგი ნაცნობობა, გაუკვლევენ მას გზას ოპერის სცენაზედაც. ხამაშურიძის ხმის მონუმენტალური სიდიადე-კი წარმოადგენს ფრიად იშვიათ მოვლენას. და მისი მოქნილად ამოძრავება გაუხსნის ხამაშურიძეს კარებს ყველა საოპერო სცენაზე. სცენის უბრალო, მაგრამ საინტერესო კონსტრუქცია, მიღებული ინაშვილის მიერ ორიგინალურია და ამტკიცებს, რომ იგი ეძებდა გამოსავალს მუშათა თეატრის სცენის ძნელ პირობებიდან: გამოსავალი იპოვნა ზემოხსენებულ კონსტრუქციაში. ამ სცენაში ვერ დავეთანხმებით მხოლოდ სიყმაწვილეს და წარმოსადეგ შთაბეჭდილებას ბარტოლოს შეხედულობიდან, სტილიურად კი, როგორც ბარტოლო—ისე ბაზილიო ჩაითვლებიან გამართლებულად.

დიდი ინტერესი გამოიწვია ნიკოლაძის (კლ. პროფ. შულგინასი) ხმის ბუნებრივმა სიმდიდრემ, კარგად დამუშავებამ ტექნიკურად და აქ მომღერლის საერთოდ დიდმა მუსიკალობამ. სცენა ოპ. „ევგენი ონეგინი“-დან, სადაც ტატიანა (ნიკოლაძე) — სწერს ონეგინს წერილს, საერთოდ ძნელია, ვინაიდან მისი უნაკლოობ. დამოკიდებულია, როგორც ტექნიკურ მომზადებისაგან, ისე მომღერლის მხატვრულ აზროვნებისა და ინტუიტიური განცდებისაგან.

ნიკოლაძის ხმა უეჭველ სცენიურია, შეიცავს „ლითონის“ თვისებებს, ელფერი აქვს ფრიად ლამაზი და კილო—სუფთა და სწორი. თავისი ვოკალური მომზადებით ნიკოლაძე ოპერის სცენისათვის მისაღებია, მაგრამ საჭიროა, რომ მან მიაქციოს ყურადღება თავისი ხმის დაბალ ფენების გაძლიერებას და რომ სასიმღერო ფრაზის დამთავრება იყოს სრული და არა სწრაფად მოწყვეტილი, როგორც ადგილი ჰქონდა წარმოდგენის დროს. საერთოდ კი მას უნდა ახსოვდეს, რომ თეატრის სივრცეში თანასწორად დანაწილდება მხოლოდ მორგვალებული და არა შეკვეცილი ნაწილი სასიმღერო ფრაზისა, თუ ეს შეკვეცილობა არ არის გამოწვეული დრამატიული მდგომარეობით.

„რიგოლეტოს“ მე-4 მოქმედებაში მონაწილენი თავისი სცენიური შემოქმედებით ამტკიცებენ, რომ ს. ინაშვილის შრომამ მათ გაწვრთნაზე უნაყოფოდ არ ჩაიარა. მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს დეტალურად დამუშავებული მიზანსცენა მადლენას (პრეიხი) და ჯილდას (გერმესაშვილის) შორის, ტიპიურია სპარაფუჩილე (კანდელაკი), დრამატიულად უტყუარია თვით რიგოლეტო (ჩახუნაშვილი, კლ. მასწ. კირილოვასი). წვრილმანი ნაკლისები არ სცვლიან შთაბეჭდილებას, რომ ამ მოწაფეებს აქვთ ნათელი წარმოდგენა ამ სცენის დრამატიულ მნიშვნელობაზე. ძალიან კარგად ჟღერდა ელეფთეროვა, (კლ. პროფ. შულგინასი) გარეგანი შეხედულობა და გრიმი, ხმას ამოძრავებს თავისუფლად, მაგრამ თვით ხმას, მუშათა თეატრის აკუსტიურ პირობებში, ჩვენის აზრით, აკლია რბილი და ყურთასმენისათვის სასიამოვნო მისაღები ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ კილო ამ ხმას აქვს სუფთა და სწორი, ზემო ფენები—კი მოძრავი და თავისუფალი.

საგულისხმოა, რომ სცენები „სევილიელ დალაქიდან“ და „რიგოლეტოდან“ შესრულებული იყვნენ ქართულ ენაზე. მართალია, თარგმანში მოიპოვება მრავალი ადგილი, სადაც არ არის გატარებული ფონეტიური შეფარდება სიტყვისა მუსიკასთან, მაგრამ არც რუსული ბანია თავისუფალი ამ ნაკლულევანებისაგან. ინაშვილის ეს ნაბიჯი ჩაითვლება ერთერთ პირველ ცდათ ჩვენი ოპერის ნაციონალიზაციისაკენ. ეს ნაბიჯი მიზანშეწონილია.

ორკესტრს ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

ქ. მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ქართული მწერლობა“.** სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანო „ქართული მწერლობა“-ს მორიგი ნომერი (მე-4) გამოვა მაისის დამდეგისათვის. არჩეულია ახალი რედაქცია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი რედაქტორი—სიმონ ხუნდაძე, სარედაქციო კოლეგია: ბ. ფუჩიძე, გ. კოტეტიშვილი, ტ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია. რედაქციის მდივანი—ი. გრიშაშვილი.

მასალების მიღება ხელოვნთა სასახლეში ყოველდღე 10—3 საათამდე.

◆ **„ოქტომბერი“.** პროფსაბჭოს დიდ დარბაზში დღეს 7 ს. მოხდება ახალ სურათის „ოქტომბერი“-ს სასინჯი ჩვენება.

◆ **ოპერის სეზონი დაიხურა 15 აპრილს.**

◆ **ნეჟდანოვას კონცერტი.** 21 და 22 აპრილს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ნეჟდანოვას კონცერტი.

◆ **„ჯუმა-მაჩიდ“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ჯუმა-მაჩიდ“. დადგმა კ. პატარიძის.

◆ **მოცეკვავე გელცერის გასტროლი.** 22 აპრილს ოპერის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის ეკატერინე გელცერის გასტროლი.

◆ **აკადემიური დრამის სეზონი** დაიხურება 1 მაისს.

◆ **სათეატრო ტექნიკუმი.** მომავალ სეზონიდან თბილისში გაიხსნება სათეატრო ტექნიკუმი.

◆ დღეს სალ. 7 საათზე, —ტრამვაის კლუბში მუშა-კითხველთა საღამოზე მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია პროლეტარული მწერლები: ქ. ლორთქიფანიძე, დ. რონდელი, ბ. ბუაჩიძე, ს. ეული, შ. ნავთლუღელი, ვ. ლურსმანიძე, ა. მაშაშვილი, გ. შინატიძე, ი. ხოშტარია, გ. ხეჩუაშვილი.

სასამართლო

„კოოპერატორი“

ჩვენ თავიდანვე ავალაპარაკებთ საბრალმდებლო დასკვნას, საიდანაც საკუთარ დასკვნას თვითონვე გამოიტანთ.

ლაპარაკია „კოოპერატორ“ ევგენი ვლადიმერისძე დოლიძეზე.

...„1926 წელს დეკემბერში „ზაკმისოტრეგ“-ის ლიკვიდაციისა და უკანასკნელის მუშკოოპთან შეერთების გამო, ევგენი დოლიძე სხვებთან ერთად გადაყვანილ იქნა მუშკოოპის თანამშრომლად. პირველად ის დაინიშნა ხორცის გამნაწილებელ პუნქტის გამგეთ. შემდეგ გადაყვანილ იქნა № 41 მაღაზიის გამგეთ. 1927 წლის მარტში, მას 70 მანეთი „დანაკლისი“ აღმოუჩინეს და გარდა ამისა შეატყვეს ისეთი მოქმედება, რომელიც კოოპერაციის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა“...

„ამიტომ (!) ის № 41 მაღაზიიდან მოხსნეს და № 54 მაღაზიის გამგეთ გადაიყვანეს“...

„აქედანაც მისი გამოუსწორებლობისა და 301 მანეთის დანაკლისის გამო, როგორც არა სანდო და გამგის თანამდებობასათვის შეუფერებელი პიროვნება, გადაიყვანეს № 59 მაღაზიაში ხორცის სექციის გამგეთ (!)“...

„მაგრამ მის მიერ წარდგენილ საჩივრის გამო ისევ აღდგენილ იქნა მაღაზიის გამგეთ“...

„მაგრამ აქაც 1927 წლის სექტემბერს „დააკლდა“ 93 მანეთი, ხოლო 4 ოქტომბერს—75 მანეთი და, როგორც უვარგისი მუშკოოპის მოსამსახურეთა რიგებიდან დათხოვნილ იქნა“...

როგორც ხედავთ, ევგენი დოლიძე მიუხედავად იმისა, რომ გამგეთ არ ვარგოდა, აქამდე მაინც სულ მუდამ გამგეთ იყო.

ეხლა გავეცნოთ, როგორ ემსახურებოდა „მუდმივი გამგე“ კოოპერაციის მიზანს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ცხელ ცხელ ცირკულარს ღებულობდა, რომლითაც მას ეკრძალებოდა კერძო ვაჭრების მომარაგება,—დოლიძე № 59 მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს უხვად აძლევდა კერძო ვაჭრებს ნისიათ მსუქან-მსუქან ხორცს.

„კოოპერატორ“ დოლიძეს ფულის უკან დაბრუნებაზე ლაპარაკის ჩამოგდებაც „ეთაკილებოდა“ კერძო ვაჭრებთან.

ერთხელ სთხოვა კერძო ვაჭარს ფული, მაგრამ ისიც თავისი დანაკლისის დასაფარავად. ამ შემთხვევაში კერძო ვაჭარმა „ხათრი არ გაუტეხა“ დოლიძეს და № 59 მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს 371 მანეთი მიართვა გაფლანგულ თანხის დასაფარავად.

ერთი სიტყვით, კერძო ვაჭარმა არამად არ ჩაურონია დოლიძეს ნაამაგარი.

დოლიძე არ იცავდა მუშკოოპის გამგეობის მიერ შემუშავებულ ნიხრს საქონელზე. მას თავისი საკუთარი ნიხრი ჰქონდა.

მაგალითად, სამწვადე ხორცი, რომლის გაყიდვა გირვანქობით 70 კაპეიკზე ძვირად არ შეიძლებოდა, ყოველთვის მანეთად იყიდებოდა ამ მაღაზიაში, სადაც დოლიძე გამგეობდა“.

დამატებით ყოველივე ამისა, დოლიძეზე ეხლაც ირიცხება „წვრილ ფული“, რომელიც მუშკოოპის მაღაზიის სალაროს დააკლო „კოოპერატორმა“.

ამას ლაპარაკობს საბრალმდებლო დასკვნა. ახლო მომავალში გაიგებთ სასამართლოს დასკვნასაც.

ზერ.

შემთხვევები

დაჭრა.

გუშინწინ ღამით სერგო ნიკოლოზისძე რაზმაძემ ქუჩაზე გადიდით მძიმედ დასჭრა თავისი ცოლის ძმა—გერასიმე ბეგლარისძე გრიქუროვი. გრიქუროვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. დაჭრის მიზეზი ირკვევა. რაზმაძე დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობა

გუშინ, დღისით თვითმკვლელობის მიზნით ქალ. მარქსის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ვიღაც უცნობი ქალი დაახლოებით 18 წლისა.

ქალის გვამი ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არ არის.

გვამის პოვნა

გუშინ დილით პეტრიის და გუნიბის ქუჩების კუთხეში იპოვნეს სამი თვის ბავშვის გვამი მამრობითი სქესის.

გვამს ემჩნევა ძალდატანებით სიკვდილის ნიშნები.

გუშინ, დილით წყალზე დახმარების პუნქტის თანამშრომლებმა მტკვარში იპოვნეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

„ფინაგენტი“

გიორგი ვასილის ძე ხიზანაშვილი დაიარებოდა თბილისის მაღაზიებში და მაღაზიის მეპატრონეებს ეცნობოდა, როგორც „ფინაგენტი“. უკანასკნელად მან ერთერთ რესტორანის მოიჯარადრეს მოსთხოვა „სესხათ“ ასი მანეთი, მაგრამ ხიზანაშვილს ოინები არ გაუვიდა და იგი გუშინ დააპატიმრეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა.

გამოირკვა, რომ ხიზანაშვილს არავითარი კავშირი არა აქვს საფინანსო ორგანოებთან. ხიზანაშვილს აღმოაჩნდა თაღლითობის 15 რეგისტრაცია.

ფეხბურთი

ლენინგრადი („დინამო“)—თბილისი
(„გემო-კვების“ მუშაკები)

მესამე შეხვედრა ლენინგრადელებთან, რომელიც გაიმართა სამშაბათს, 17 აპრილს, ძალიან გაცხოველებით ჩატარდა. სტუმრებთან თამაშობდა თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი—„გემო-კვების მუშაკები“.

„არსენალის“ სასტიკი დამარცხების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ გემო-კვების მუშაკებიც ვერ გაუძლებდენ ლენინგრადელების იერიშებს, მაგრამ თამაშის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ გემო-კვების მუშაკების სახით სტუმრებს ძლიერ „მოწინააღმდეგესთან“ აქვთ საქმე.

თბილისელებმა ამ შეხვედრაში კარგი კლასის გარდა გამოაშკარავეს საკმაო ამტანობაც. თუ მოსკოველებთან შეხვედრაში გემო-კვების მუშაკები მეორე ტაიმში სუსტად თამაშობდენ დაღლილობის გამო, ლენინგრადელებთან შეხვედრაში მათ ბოლომდი არ შეუნელებიათ თამაშის ტემპი; და რომ თბილისის გუნდში თავის ადგილზე ყოფილიყვენ მარცხენა და მარჯვენა გარე-მარბები, შეხვედრა, უთუოდ, თბილისის გამარჯვებით დამთავრდებოდა.

გუნდები ორივე ტაიმში ძალიან მონდომებით თამაშობდენ, ხშირად იყო კრიტიკული მომენტები ორივე გუნდის კარებთან, მაგრამ შეხვედრის ბოლომდი გუნდების იერიშებს რეალური ნაყოფი არ გამოუღია და მატჩი დამთავრდა 0:0.

აღსანიშნავია, რომ სტუმრების მხრიდან განსაკუთრებით კარგათ თამაშობდენ ბეკები—ეჟოვი და კრონილოვი.

„დინამო“— „დინამო“-ა

დღეს მეოთხე შეხვედრაში ლენინგრადელებთან თამაშობს „დინამო-პირველი“, გუნდი გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით.

შეხვედრა დაიწყება ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 19 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: გიორგი შომშვილი, მიხეილ ტარიკუდი, ანტონინა პუგაჩი, კაშლიშნიკოვა, მირონ მანუკოვი, მარტიროს ოსხიანცი, კარაპეტ ვონძკოიანი, სოფიო უხანოვა, ამირაღა, გუშუზ, ხაჩოვი, ბენიამინ სიტველოვი, ლასო სარქისოვა, ანნა ლაშკიანი, კარაპეტ მიკირტიჩიანცი, მინა ლოზიაშვილი, ნინო გარგამიშვილი, ფადაროვი გეურქ, რაზმაძე ანტონ, არტაშეს გაზარიანი, გიორგი მოსესოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ანგელინა დიდია, ურნა ევტიევა, ელენე კანტაკუზინ, გუბელიძე, დონდაროვი, ელენე მიხაილოვა-ალექსეევა, ანდრო ტრუბაევი, შალვა მნაცაკანოვი, მალინი ოგან.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: კონსტანტინე ჯაოშვილი, ალექსანდრე ლობჟანიძე, აკაკი გოგოძე, არჩილ კაკაშვილი, ვლადიმერ ავლოხოვი, ოლია კიკოლაშვილი, ეკატერინე აკოპოვა, იოსებ ქამენსკი, გევონდ ბახეკიანცი, იოსებ ალიხანაშვილი, ვასილი ფილიპენკო, პეტრე ჩევარდი და პავლე ბესტროზანოვი.

რკინისმჭედელთა მეშვიდე სექციიდან: ევგენი ორელიძე, ანნა მაღლაშვილი, ნიკოლოზ გრიგორიევი, ივანე ზაალიშვილი, სტეფანე ვოსკრესენსკი, შიო არაქელაშვილი, სტეფანე ბებიაშვილი, ბიქტორ ნიორაძე, ევგენი ფირცხალავა, ვლადიმერ ბებიაშვილი, ვასილ პოპოვი, ზაქარია გელიტაშვილი და ნიკოლოზ გარიანი.

უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად

უმუშევართა კვალიფიკაციის აწევის მიზნით, შრომის ბირჟამ აღმშენებელ მუშათა კავშირთან დაარსა გადამზადებელი კურსები. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში კურსებზე გაიარა 211 კაცმა. ამათგან 45 კალატოზია, 40 მლესავი, 68 მეარმატურე და 53 ტიხრებზე მომუშავეები. ბირჟას უმუშევართა გადამზადება დაუჯდა 11.746 მანეთი. აქედან სტიპენდიის სახით კურსანტებს მიეცათ 5813 მანეთი.

◆ **ქალაქის გამწმენდი კოლექტივი.** შრომის ბირჟამ გადასწყვიტა დაარსოს ქალაქის გამწმენდი კოლექტივი უმუშევრებისაგან.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** წელს თბილისის მაზრის კეთილმოსაწყობად მაზრაში მოეწყობა საზოგადო სამუშაოები, თბ. შრ. ბირჟაში აღრიცხულ უმუშევრებისათვის.

◆ **ახალი სამკერვალო.** მკერავთა კავშირი შრომის ბირჟასთან ერთად აწყობს სამხედრო ტანისამოსის ახალ სამკერვალოს, რომელშიაც იმუშავებენ მკერავთა კავშირის უმუშევარი წევრები.

ნარევი

ანატოლ ფრანსის ტვინი

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ა. ფრანსი გარდაიცვალა 1924 წ. ნოემბერში, როცა ის 81 წლის იყო. მისი ტვინი, რომელიც ამოიღეს გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, შესასწავლად წაიღო ქ. ტურის ორმა ცნობილმა ანატომმა, რომლებმაც ამ მუშაობას მოანდომეს სამი წელი. შესწავლის შედეგები მათ გამოაქვეყნეს წარსული წლის ნოემბერში. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნობები ძლიერ საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით, პირიქით, ზოგიერთ მხრივ, პირდაპირ იმედების გამაცრუებელი უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით იმ მეცნიერთა თვალსაზრისით, რომლებიც ტვინის გარეგნულ და აგებულობის თავისებურობაში ხედავენ ამა თუ იმ პიროვნების თვალსაჩინო გონებრივ თვისებების ახსნას.

ასე მაგ., ა. ფრანსის ტვინი (გარსის გამოკლებით) იწონის 1.017 გრამს, ე. ი. 25 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე საშუალო გონებრივ თვისებების მქონე ადამიანის ტვინი იწონის. აქედან ორივე ნახევარსფეროზე (თანაბრად) მოდის სულ 854 გრამი, ე. ი. 28 პროცენტით ნაკლები ნორმალურთან შედარებით. მაგრამ სამაგიეროთ, არაჩვეულებრივათ განვითარებულია ა. ფრანსის ტვინის ხვეულები, ისე რომ სპეციალისტი-ანატომები მათ ადარებენ დახელოვნებული იუველირის ნამუშევარს. ეს ამტკიცებს ტვინის ნაცრისფერი ნივთიერების უდიდეს განვითარებას.

ვინაიდან ა. ფრანსის ტვინი ჯერ კიდევ არ არის ზედმიწევნით გამოკვლეული მიკროსკოპიულად, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია თქმა იმის, თუ რით განირჩევა ეს ტვინი სხვა ადამიანების ტვინებისგან.

ავტომობილების მსხვერპლნი

თანამედროვე ცივილიზაციამ დიდ ქალაქებში წარმოშვა მთელი რიგი თავისებური „საფრთხეები“, ასეთებია: რძისა და საჭმლის „საფრთხე“ (რძის და სხვ. პროდუქტების მოწამვლის საფრთხე), ფილტვების ავადმყოფობა, როგორც ნახშირისა და მინერალური მტვერით სუნთქვის შედეგი და სხვ.

ამავე „საფრთხეების“ რიცხვს ეკუთვნის „ავტო-საფრთხე“. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში 100.000 კაცზე იღუპება:

ავტომობილების კატასტროფის გამო	18,9
ხუნაგისაგან	5,2
წითელასგან	9,0
ხველა-ყივანახველასაგან	10,4

სარეკორდო ციფრით—18,9—აღნიშნულია მოკლულთა რიცხვი. ამ რიცხვში არ შედის დაჭრილ-დასახიჩრებულები. ავტომობილის მსხვერპლთა უმეტესობა მოდის ბავშვებზე (4-დან 14 წლამდე), ისე, რომ ავტომობილი მოქცეულ უნდა იქნეს საბავშვო ჰასაკის ავადმყოფობათა რიგში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ალექსანდრე ნიკოლოზისძე ბალდავაძეს.

კითხვა:

მყავს დედინაცვალი, რომელიც განაგებს მამიჩემის დატოვებულ ქონებას და არც მიშვებს სახლში არც მაძლევს ქონების ნაწილს. ქონებას შეადგენს: სახლები თბილისში, ავეჯეულობა. დღის მზითვი და სოფელში მიწები. ვარ უმუშევარი კავშირის წევრი. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ზემოდჩამოთვლილი ქონების ნაწილი?

პასუხი:

ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, შვილს აქვს მემკვიდრეობის უფლება მამის მიერ დატოვებულ ქონებაზე, თუ მამას ანდერძით არ მოუსპია ეს უფლება. თქვენი უფლება მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გარდაიცვალა თქვენი მამა, რამდენი წლის იყავით და სად იყავით თქვენ იმ დროს და ფლობდით თუ არა თქვენ სამკვიდრო ქონებას, თუნდა ნაწილობრივ, თქვენი მამის გარდაცვალების შემდეგ. რადგან თქვენს შეკითხვაში არც ერთი ამ გარემოებათაგანი არ არის გაშუქებული, გარკვეული პასუხი ვერ მოგეცემათ.

გიორგი ქარაგაძეს. ქუთაისი

კითხვა:

ვცხოვრობ ქ. ქუთაისში. მიჭირავს ერთი ოთახი; მამა ჩემი ოთახის ქირას იხდიდა თვიურად რვა მანეთს,—მის გარდაცვალების შემდეგ სახლის ქირა უნდა ვიხადო მე; ამჟამად უმუშევარი ვარ, ვარ მიწა-ტყის კავშირის წევრი, ჩემს კმაყოფაზე იმყოფება ჩემი მცირე წლოვანი ძმა—და დედა. მე თვითონ 18 წლისა ვარ. რამდენი უნდა გადავიხადო თითო კვადრატულ მეტრზე.

პასუხი:

თქვენ—როგორც უმუშევარი და პროფკავშირის წევრი, ვალდებული ხართ იხადოთ თითო კვადრატულ მეტრზე უმცირესი გადასახადი იმ ბინის ქირის ნიხრისა, რომელიც დაწესებულია ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მუშათა და მოსამსახურეთათვის. (ეს გადასახადი—სრულიად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 4 ივლისის 5 და 9 მუხლების დადგენილების თანახმად ბინის ქირის შესახებ არ შეიძლება იქნეს 3 კაპ. ნაკლები თითო კვადრატულ მეტრზე).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 19 აპრილს, საღამოს 6 საათზე ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში (ოთახი № 19) შესდგება სვერდლოვის სახელ. კომ. უნივერს. მსმენელთა მეცადინეობა.

დასწრება აუცილებელია.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია ბიურო კოლექტივის სხდომა. ბიურო-კოლექტივი სთხოვს ამხ. ხამ. მამულიას, ერ. ახრიბეკოვს, კ. მეგრელიძეს, დ. ბუდილიევს, მარიამ ორახელაშვილს, არ. რუხაძეს, ხერ. ამაღლობელს, სიმ. ხუნდაძეს, გ. კვიცარიძეს, გ. იმედაძეს, ალ. ქეიშილს და კალანძეს დაესწრონ აღნიშნულ სხდომას.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო -განაწილებითი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ისაკოვთან:

დიმიტრი მთვარელიძე, ალექსანდრე ყამარაული, სიმონ დარახველიძე, კონსტანტინე ჩხეტია, მინას მელიქოვი, არჩილ კვერაძე, დავით ნასარიძე, ავეტისოვი (გემოკვების მუშაკთა კავშ.) პროკოფი კეკელიძე, გიორგი მონტანი, ანტონ კოპოვი, ქებურია („ხლებოპროდუქტ.), პრეობრაჟენსკი, შიო ორჯონიკიძე, იაროსლავსკი, პროკოფი მეგრელიშვილი, ლენტორ რუხაძე, აპოლონ ჯავახიძე, ეჯუბოვი, შმთარიოვი (საქ. პროფსაბჭო), გორგიჯანოვი, ვასილ კისლუხინოვი, გ. გარსევანიშვილი, მიხ. ჟამალოვი, გიორგი საყვარელიძე, გ. კარახანიანი, ზელენკი, ანდრია ტკაჩენკო, ანდრია კალანდაძე, გარეგინ თარხანოვი, ზოსიმე ჩიხაძე, კირილე ბესელია, კირილე ენუქიძე, პიტოევი (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა), ვლადიმერ ცაგარელი, გრიგოლ ჭაბუკიანი, ეცეკოვი (თაგდიცვა-ავიაქიმი), ბირიუკოვი, ვლადიმერ ცაბაძე, ხუციევი (თბილისის პოლიტგანი), კაპიტონ მელიქიძე, აკაკი ლომაია, ლევან ტატულოვი, ალექსანდრე სტურუა, დემეტრაშვილი (ხეზე მომუშავეთა კავშ.) ევგრაფ მამულაიშვილი, აზარაშვილი (საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი), ნიკოლოზ ბოკუჩავა, გრიგოლ პასეცკი და მიხეილ ნიორიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მოგვეცეთ განსაკუთრებული მადლობა უძღვნათ ექიმებს ზანდუკელს, მაჭავარიანს, რეკვავას და მიქელაძეს, რომლებმაც არ დაზოგეს შრომა, ენერგია და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ [illegible] დან დაეხსნათ [illegible] ძველი ბოლშევიკი [illegible] ჩიჩუა, რომლის [illegible] წუთებამდე ისინი თავს დასტრიალებდენ.

ანეტა ჩიჩუა.

ჩვენი ფოსტა

მასწავლებელ ალექსანდრე გომელაურს.— მიღებულია თქვენგან ორი მანეთი. გთხოვთ გვაცნობოთ მისამართი.

ლანჩხუთის მე-3 კომუნართა სახელობის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 16 აპრილს, გარდაიცვალა ამავე სკოლის გამგე აგრონომი

ვარლამ იოსების-ძე ღლონტი

დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში, შაბათს, 21 აპრილს, 12 საათზე. ნ. 977

ლანჩხუთის შვიდწლედის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება პატიოსანი მშრომელის, სპეტაკ ადამიანის, ლანჩხუთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის გამგის აგრონომ

ვარლამ იოსების-ძე ღლონტის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ლანჩხუთში ა. წ. დღით შაბათს, 21 აპრილს. 2121

ლანჩხუთის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კავშირის წევრის, კარგი ამხანაგის აგრონომ

ვარლამ იოსების-ძე ღლონტის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღეთ დანიშნულია შაბათი, 21 აპრილი. 2121

ლანჩხუთის 9 წლედის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას 9 წლედის ყოფილი მასწავლებლის, ლანჩხუთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგის აგრონომ

ვარლამ იოსების-ძე ღლონტის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავების დღეთ დანიშნულია შაბათი, 21 აპრილი, ქ. ლანჩხუთში. 2121

გულდამწვარი მშობლები: იოსები და ანა, ძმები: ნიტიფო, სიმონ და შალვა; დები—კატო, მატრონე და მაშო; რძალი—ფეოდორა; მამიდა—ქრისტინე, სიძე—ავქსენტი, ძმისშვილები: ზინა და გრიშა, დიშვილები: ლიდა, ლადო და შალიკო ქებურიები, ჟენია, შოთა და გოგი წილოსნები და ნინა ყაზაიშვილი ამით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 16 აპრილს, ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი ქ. ლანჩხუთის სოფ. ახ. სკოლის გამგე

ვარლამ (ვალოდია) ღლონტი

რომლის დაკრძალვა მოხდება ა. წ. 21 აპრილს, დღით შაბათს, 2 საათ., ქ. ლანჩხუთში. ნ. 977

კვირას, აპრილის 22, შუადღის 1 საათზე დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

ჯვებე (ნიკო) იოსელიანის

რასაც აუწყებენ მეგობრებ-ნათესავებს გულდამწვარი ჭირისუფალნი. (შ)

ანეტა ჩიჩუა შვილებით ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებმაც განსაკუთრებული თანაგრძნობით გაიზიარეს მწუხარება განსვენებული ძველი ბოლშევიკის

თეოფილე ბესარიონ ს-ძე ჩიჩუას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, ქალიშვილი სოფიო (ფაჩუჩა), ბიძაშვილები: ნინიჩკა და მალალეინ პლატონის-ძე ცოლშვილით და ბიცოლა დარია სოკოლოვები, სიძე დიმიტრი იოსების-ძე ვეზირიშვილი ცოლშვილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 16 აპრილს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე (სადრო) დავითის-ძე აბაშიძე

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ხუთშაბათს 4 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2123

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ნინუცა, შვილები: მიხეილ და გიორგი, ქალიშვილები: თათუშა, ელენე და ეკატერინე, სიძეები ნიკოლოზ მაჭავარიანი და ირაკლი ძაგანია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

ალექსანდრე (კვიტა) ნიკოლოზის-ძე დადიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება მთავარ (მიხეილის) საავადმყოფოდან 4 საათზე 19 აპრილს, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2132

ილია გიორგის-ძე ბოჭორიშვილი, მშობლებით, დებით, ძმებით და ცოლშვილით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში უდროოდ გარდაიცვალა მისთვის დაუვიწყარი ბიძაშვილი

შალვა არტემის-ძე ბოჭორიშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში ხუთშაბათს, 19 აპრილს. 2129

ღრმათ დამწუხრებულნი: ძმა დავით სოლომონის-ძე ვაჩნაძე ცოლით ბარბარე გიორგის ასულით და შვილით თეიმურაზით, დები: ნინა სოლომონის ასული ტურიაშვილი-ვაჩნაძე და ბარბარე სოლომონის ასული ლომიძე-ვაჩნაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ორშაბათს, ა. წ. 16 აპრილს, ქალ. ბაქოში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

დიმიტრი სოლომონის-ძე ვაჩნაძე

ბაქოდან მოსვენება დილის 7 ს. 20 წ. 19 აპრილს, ცხედრის გამოსვენება სადგურიდან საღამოს 4 ნახ. საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

სახკინმრეწვის თეატრები
აპოლო — გრანდიოზულად დადგმული ფილმი „სიკვდილი მასკარადზე“ 1927 წლის გამოშვება
არფასტო — სეზონის საუკეთესო კომედია ნამდვილი მამაკაცი კარმენ ბონის მონაწილეობით.
სოლეი
დარბაზი — ამერიკის საყვარელი მსახიობი ტარზანი სურათში გუქონის ნაპირების საიდუმლოება
ოდეონი — უცხოეთის ორიგინალური კომედია „ბედმა უმტყუნა“
პროლეტარი ავლაბარი — ამერიკული ტრიუკებიანი კინო რომანი 4 სერიათ აფრიკის ასული 1 და 2 სერია ერთად.
ანონსი: მალე რევოლიუციონური სურათი „ოქტომბერი“ 0—14

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 21 აპრილს, დღის 12 საათზე ღვინის აღმართზე № 19 ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება 120 ვედრო ძმარი, 120 ვედრო ღვინო, 8 ცარიელი კასრი. ნ. 978

ქ. თბილისის 1-ლი რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ვ. პ. ბაბუნია

ამით აცხადებს, რომ ის 21 აპრილს 1928 წ. დღის 1-ლ საათზე, სახლში № 4 არკადიევის ჩიხი, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შალვა ჩხაიძის მოძრავ ქონებას: გარდეროზის შკაფს, ბუფეტს, სასადილო მაგიდას, ხავერდის სუფრას და რკინის საწოლს შეფასებულს ორას სამოც (260) მანეთად, გევორქ გალუსტოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4-ე სანოტარო კანტორის აღსრულების წარწერისა 1927 წ. 9 დეკემბრის თარიღით № 4487. 2125

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 21 აპრილს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 4 (ღვინის სარდაფში) არხანგელის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სტ. ხაჩატუროვის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა ზომის ღვინის ბოჩკებს შეფასებულს 186 მანეთად. სურსათ გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 23 მარტს 1928 წ. თარიღით, № 921 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. ნ. 979

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 23 აპრილს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 8 ვერის დაღმართზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ესტატე ხორბალაძის მოძრავ ქონებას: ერთი მატორი „ამასი“-ს სისტემის, ორი დიდი ტრანსმისიებით და ერთი სახარატო აწყობილი საშუალო ზომის შეფასებულს 350 მანეთად, ლითონზე მომუშავეთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 აპრილს 1928 წ. თარიღით, № 1114 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 980

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად ჰკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8. საათამდე 13—

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელ. ეფ. № 1—90 25—11.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9 -12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ 1—25 ტელ. 12—76

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება -სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.
ბროსეს ქ. № 7 (ქესამე საბჭოსა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი
ი. ი. ჭერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

დაკარგვა: სოფელ განათლების წითელი ოქტომბრის კოლექტივის სახელზე მოცემული საკონტროლო დავთარი № 128—1926 | 27 წ. ნავთის უაქციზოთ შესაძენათ. ჩ. გ. 2130

დაკარგვა: არაშენდის ს. კ. პ. (ბ) უჯრედის საკანდიდატო ბარათი № 19835 თამარა ალიკოშვილის სახელზე, 2131

დაკარგვა: პარტიულ ბილეთი № 0863995 ელისე ივანეს ძე თოდრაძეს სახელზე, ჩ. გ. 2131

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 50 იასონ გუგულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2125

დაკარგვა: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 1029 მიხეილ რისძე მაჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 2124

დაკარგვა: საანგარიშო წიგნაკი № 126, სოლომონ პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე, ჩ. გ 2119

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 11280 რამან ფალავანდიშვილის სახელზე ჩ. გ. 2120

დაკარგვა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 30534 პეტრე ლუარსაბის ძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 2124

დაკარგვა: კომპარტიის მანდატი № 2698 ალექსანდრე ივანეს ძე ხარებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1806

ამიერპოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კაშის ქ. № 62